დამოუკიდებელი და ზეპარტიული

WWW.ASAVALI.COM

# ასავალ დასავალი

2024 წლის 18 - 24 მარტი

N 13 1531

ფასი 3 ლარი და 90 თეთრი



## ვშიშობთ, როინ შავაძის მკვლელები ხვალ-ზეგ გაეროს, ევროპარლამენტისა თუ სხვა ევროსტრუქტურების საპატიო ლოჟებში არ გამოჯგიმონ, როგორც ძებნილი ზურაბ ადეიშვილი!

2-3



## გუშინ - ნაცები, დღეს - „ახლები“

10-11

ნიკა ანზორის ძე გვარამია, რომელმაც მამამისის გვერდით ძაღლი დამარხა, ნიკა ანზორის ძე მელიას თავის გვერდით პოლიტიკურად დამარხავს!



## 17 მარტს, 65 წლის წინათ, გალაქტიონი მთელი დღის მშიერი იყო!

6-7





## წერილი მეგობარს - მოსამართლე ნინო ბაქაქურს!

8

ვეტინგის მოთხოვნა ქართველი მოსამართლეების მიერ, ფაქტობრივად, იმის პირდაპირი აღიარებაა, რომ ისინი დებილები, გაბახებულები და უტვინოები არიან!





## აბსოლუტური გიჟი უნდა იყო, რომ არ გესმოდეს — რუსეთი ომს არ წააგებს!

4-5

გოგა ხაინდრავა:

დღეს მსოფლიო ისე ახლოსაა ბირთვულ კატასტროფასთან, როგორც არასდროს!



26-29

## მერაბ კოსტავას მეუღლის უცნობი დღიურები

# როინ შავაძის მთავარი მკვლელი ნაცფიურერი სააკაშვილია!

*2024 წლის 13 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოში ნაფიცმა მსაჯულებმა გამამტყუნებელი ვერდიქტი გამოუტანეს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის (კუდ-ის) აჭარის მთავარი სამმართველოს ორ ყოფილ თანამშრომელს, რომელიც სააკაშვილის რეჟიმის მიერ ჩადენილ ერთ-ერთ ყველაზე სასტიკ დანაშაულში — სერჟანტ როინ შავაძის მკვლელობაში მონაწილეობდა.*




შავაძის მკვლელობაში ბრალდებულებმა — **აჭარის კუდ-ის უფროსის ყოფილმა მოადგილემ ალი ბალაძემ და ყოფილმა სპეცრაზმელმა მამუკა ბერიძემ** თავად ინებეს, რომ მათი საქმე ნაფიც მსაჯულებს განეხილათ, მაგრამ, **როცა თორმეტი ნაფიცი მსაჯულიდან რვამ ისინი დამნაშავედ ცნო, ხოლო მოსამართლემ 12-12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, განაჩენს არ დაეთანხმნენ.** მსჯავრდებულთა ოჯახის წევრებმა ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი და მოსამართლის მიერ განსაზღვრული სასჯელი წივილ-კივილით გააპროტესტეს — ამ ქვეყანაში სამართალი არ არსებობსო!

ის კი არა, ერთ-ერთი მსჯავრდებულის ოჯახის წევრმა, ახალგაზრდა ქალმა, ტელეკამერების წინ სრული სერიოზულობით განაცხადა — **ეს უდანაშაულო ადამიანები მხოლოდ ბრძანებას ასრულებდნენ, ხოლო შავაძის მკვლელობის ორგანიზატორები სხვები არიანო!**

თითქოს უკანონო ბრძანების შესრულება დანაშაული არ იყოს!

თითქოს ბალაძესა და ბერიძეს უდანაშაულო სერჟანტის მკვლელობაში მონაწილეობა იმიტომ უნდა შერჩენოდათ, რომ მისი მოკვლის გადაწყვეტილება სხვებმა მიიღეს და მკვლელობის სცენარიც სხვებმა მოიფიქრეს!

ჰოდა, იმ სხვებში ერთ-ერთი მთავარი გახლავთ **აჭარის კუდ-ის ყოფილი უფროსი თეიმურაზ პატარიძე,** რომელსაც ზემდგომებმა დაავალეს — ინფორმაცია გვაქვს, რომ შავაძე უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობს და მისი „ოპერატიული შესწავლა“ დაიწყეო! აჭარის კუდ-ის უფროსის **ზემდგომი,** ცხადია, საქართველოს **შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მაშინდელი უფროსი დათა ახალაია** იყო, ხოლო ახალაიას ზემდგომი — **შინაგან საქმეთა მაშინდელი მინისტრი ვანო მერაბიშვილი.** გამოძიებითაც დადგენილია, რომ **პატარიძე-ახალაიასა და ახალაია-მერაბიშვილს** შორის სატელეფონო საუბრები სწორედ მაშინ მიმდინარეობდა, როცა ბათუმში **როინ შავაძეს** უკანონოდ აკავებდნენ, ფიზიკურად უსწორდებოდნენ და ქობულეთი-ქაქუთის გზაზე დასახვრეტად მიჰყავდათ.

**რუსეთ-საქართველოს ომიდან ახალდაბრუნებულ როინ შავაძეს 2008 წლის 16 აგვისტოს ბათუმის ერთ-ერთ კაფეში, ათეულობით მოქალაქის თვალწინ, თავს დაესხა და აგ-**







## ვშიშობთ, როინ შავაძის მკვლელები ხვალ-ზეგ გაეროს, ევროპარლამენტისა თუ სხვა ევროსტრუქტურების საპატიო ლოჟებში არ გამოჯგიმონ ისევე, როგორც ძებნილი ზურაბ ადეიშვილი – გერმანიის ბუნდესტაგში!

## კვირგვინოსნები

**ფრანცისკე**
*რომის პაპი*



**ასეთ სიტუაციაში უკრაინას უნდა ეყოს ვაჟკაცობა და თეთრი ბაირაღი აღმართოს!**

„„ახალი თაობა“

**ირაკლი კობახიძე**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



ცდილობდნენ, საზოგადოება მოეტყუებინათ, რომ **სააკაშვილი მომაკვდავ მდგომარეობაში იყო** და შეიძლებოდა, ნებისმიერ დღეს დამდგარიყო ფატალური შედეგი. **დამტკიცდა, რომ ეს სრული სიცრუე იყო.**

„ინტერპრესნიუსი“

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



არაფერი აზიანებს **ქართველების ნდობას** ევროპული ღირებულებების მიმართ უფრო მეტად, ვიდრე **ძალადობრივი კრიმინალების შეფარება უკრაინისა და ევროპის მიერ. ზურაბ ადეიშვილს** ადრე თუ გვიან **ქართული მართლმსაჯულების ხელი მისწვდება** და როგორც მიხეილ სააკაშვილი, ისე აღმოჩნდება ციხეში.

„რეზონანსი“

**თეა წულუკიანი**
*კულტურის მინისტრი*



**მიხეილ სააკაშვილი და ზურაბ ადეიშვილი** არიან ქართული სასამართლოს მიერ ცნობილი კრიმინალები. **ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია, რომ კრიმინალი ზურაბ ადეიშვილი თავისუფლად დასეირნობს ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში.** გადმოეცეს საქართველოს სამართალდამცველ ორგანოებს.

„ახალი თაობა“

# სააკაშვილს, რომელიც დათო ცინდელიანისა და პაატა ქარდავას დამხვრეტ ჯალათს – რომან შამათავას ეროვნულ გმირს ეძახის, როინ შავაძის დამხვრეტებიც გმირებად მიაჩნია!





რომან შამათავა

**ტომატების კონდახებით გაუსწორდა აჭარის კუდ-ის სპეცრაზმი, რომელსაც ადგილზე ხელმძღვანელობდა აჭარის კუდ-ის უფროსი თეიმურაზ პატარიძე.** სასტიკი ცემისაგან გონდაკარგული სერჟანტი ავტომობილის უკანა სავარძელზე მოათავსეს და ქობულეთი-ქაქუთის საავტომობილო გზის მიმართულებით წაიყვანეს, ქობულეთისა და გურიის საზღვართან კი მანქანიდან გადმოსვეს, სავალი გზის გადაღმა, ქარსაცავი ხეების მიმდებარე ტერიტორიაზე დააყენეს და „კალაშნიკოვებიდან" მრავალჯერადი გასროლით დახვრიტეს.

აი, ასე, ყოველგვარი გამოძიების, ყოველგვარი მტკიცებულების, ყოველგვარი სასამართლოს გარეშე, პირდაპირ დააყენეს და დაცხრილეს, როგორც ბოლშევიკური რეჟიმი სჩადიოდა გასული საუკუნის 30-იან წლებში.

**თუ ეჭვი ჰქონდათ, რომ სერჟანტი როინ შავაძე უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდა და სამშობლოს ღალატობდა, ჯერ გამოძიება უნდა ჩაეტარებინათ, მისი დანაშაულის დამადასტურებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა შეეკრიბათ, ბრალი ოფიციალურად წაეყენებინათ, სასამართლოს წინაშე წარედგინათ და მოსამართლის მიერ გამოტანილი განაჩენის შესაბამისად დაესაჯათ...** ასე მოიქცეოდა დემოკრატიული ქვეყნის დემოკრატიული ხელისუფლება, მაგრამ მაშინ საქართველო იყო ავტოკრატიული ქვეყანა, რომელსაც სისხლზე დაგეშილი, სადისტური და ჯალათური რეჟიმი მართავდა.

**როინ შავაძე სამშობლოს მოღალატე კი არა, სამშობლოს ჯარისკაცი გახლდათ, რომელიც 2008 წლის აგვისტოში ოკუპანტების წინააღმდეგ იბრძოდა და ფრონტზე საკუთარი თვალით იხილა საქართველოს მაშინდელი სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის უსამშობლობის, უვიცობისა და უპასუხისმგებლობის სავალალო შედეგები, რის გამოც აღშფოთებას ვერ მალავდა.**

სწორედ ამიტომ დასჭირდა სააკაშვილის რეჟიმს **შავაძის** თავიდან მოშორება!

სააკაშვილის რეჟიმმა **როინ**







თეიმურაზ პატარიძე, დათა ახალაია, ვანო მერაბიშვილი

**შავაძე** თავიდან მოიშორა, როგორც სახიფათო მოწმე!

თუმცა, უდანაშაულო სერჟანტის უკანონო დაკავებასა და მკვლელობას ფორმალურ-სამართლებრივი საფუძველი ხომ სჭირდებოდა? ვინაიდან არ არსებობდა არავითარი მტკიცებულება, რომელიც რუსულ სპეცსამსახურებთან შავაძის თანამშრომლობას დაადასტურებდა, რეჟიმმა თავის მიერვე არაერთგზის აპრობირებულ პრიმიტიულ ხერხს მიმართა — **დახვრეტილ სამხედრო მოსამსახურეს ნარკოტიკი ჩაუდო.**

გამოძიებით დადგენილია, რომ სერჟანტის დახვრეტის შემდეგ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტში დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ყალბი ოქმი შეთითხნეს, რომელშიც ჩაწერეს, თითქოს შავაძეს დაკავებისას ნარკოტიკული ნივთიერება აღმოაჩნდა. **კუდ-ში შეთხზული ვერსიის მიხედვით, ნარკოდანაშაულისათვის დაკავებულმა შავაძემ, რომელიც ბათუმიდან თბილისში გადაჰყავდათ, გზად ავტომანქანის გაჩერება ითხოვა, რათა ბუნებრივი მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინა. ამის შემდეგ მან ერთ-ერთ სპეცრაზმელს ცეცხლსასროლი იარაღი წაართვა, სხვა სპეცრაზმელთა მიმართულებით გაისროლა და გაიქცა, მაგრამ საპასუხო ცეცხლი გაუხსნეს და ორმხრივი სროლის დროს დაიღუპა.**

ამ ყალბი ვერსიის გასამყარებლად სპეცდანიშნულების რაზმის წევრებმა „მაკაროვის" ტიპის პისტოლეტიდან რამდენჯერმე გაისროლეს მათივე ავტომობილების მიმართულებით, შემდეგ კი იგივე „მაკაროვი" შავაძის ცხედრის სიახლოვეს დააგდეს.

ნაცრეჟიმი არამხოლოდ სადიზმითა და ცივსისხლიანობით, არამედ **უნიჭობითაც** გამოირჩეოდა და ამიტომ მოიფიქრა, რომ სასტიკად ნაცემმა და ძვლებში დალეწილმა სერჟანტმა, რომელსაც განძრევაც კი არ შეეძლო, სპეცრაზმელს იარაღი წაართვა... **რეალურად, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზით არის დადასტურებული, რომ როინ შავაძეს ცემის შედეგად მარცხენა მხრისა და ბარძაყის ძვლები ჰქონდა მოტეხილი, ხოლო ნეკნები — ჩამსხვრეული, რის გამოც სპეცრაზმელებისათვის ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევასა და გაქცევას კი არა, სწრაფი ნაბიჯებით სიარულსაც კი ვერ შეძლებდა.**

გარდა ამისა, სამედიცინო ექსპერტიზით დადგინდა, რომ **შავაძის** ცხედარს აღენიშნებოდა მრგვალი ფორმის თერმული დაზიანებები, რომლებიც სხეულზე ანთებული სიგარეტისა და ცეცხლსასროლი იარაღის ლულის ზემოქმედებით უნდა ყოფილიყო მიყენებული.

სააკაშვილის რეჟიმის მიერ ჩადენილი ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და საზარელი დანაშაულის — **როინ შავაძის** მკვლელობის ხელახალი და ეფექტიანი გამოძიება საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას სტრასბურგის სასამართლომ დაავალა, რომელმაც დაადგინა, რომ სიმართლეს არ შეესაბამებოდა საქართველოს წინა ხელისუფლების მტკიცება, თითქოს სერჟანტის მკვლელობა დაკავებისას მისი გაქცევის აღსაკვეთად საჭირო ძალის გამოყენებას მოჰყვა. **სწორედ ხელახალი გამოძიების ფარგლებში, როინ შავაძის მკვლელობის საქმეზე სისხლის სამართლის პასუხისგებაში 12 პირი იქნა მიცემული, რომელთაგანაც ორი — აჭარის კუდ-ის ყოფილი უფროსი თეიმურაზ პატარიძე და სპეცრაზმელი გიორგი არაბული დღემდე იძებნება, კიდევ ორს — აჭარის კუდ-ის უფროსის ყოფილ მოადგილე ალი ბალაძესა და სპეცრაზმელ მამუკა ბერიძეს 12-12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, დანარჩენი ბრალდებულებისთვის კი სასამართლოს განაჩენი ჯერ არ გამოუტანია.**

**როინ შავაძის მკვლელობის საქმეზე სამართალი აღდგენილად მხოლოდ მაშინ ჩაითვლება, როცა სასტიკი დანაშაულის ორგანიზატორები – აჭარის კუდ-ის ყოფილი უფროსი თეიმურაზ პატარიძე და მისი ზემდგომები – დათა ახალაია და ვანო მერაბიშვილი განსასჯელის სკამზე დასხდებიან!**

თუმცა, **როინ შავაძის** მთავარი მკვლელი **ნაცფიურერი მიხეილ სააკაშვილია,** რომელმაც 21-ე საუკუნის საქართველოში მე-20 საუკუნის 30-იანი წლების ბოლშევიკურ-ფაშისტური რეჟიმი აღადგინა და უდანაშაულოდ დახვრეტილ ადამიანთა სისხლის ტბები დააყენა!

იმაშიც დარწმუნებული ვართ, რომ სააკაშვილს, რომელიც **დათო ცინდელიანისა** და **პაატა ქარდავას** დამხვრეტ ჯალათს — **რომან შამათავას** ეროვნულ გმირს ეძახის, როინ შავაძის დამხვრეტებიც გმირებად მიაჩნია!

**და კიდევ:** ვშიშობთ, როინ შავაძის მკვლელები ხვალ-ზეგ გაეროს, ევროპარლამენტისა თუ სხვა ევროსტრუქტურების საპატიო ლოჟებში არ გამოჯგიმონ ისევე, როგორც ძებნილი **ზურაბ ადეიშვილი — გერმანიის ბუნდესტაგში!**

ნეოლიბერალურ მარაზმში გადავარდნილი ევროკავშირისაგან აღარაფერი უნდა გაგვიკვირდეს, რადგან იქ, სადაც სამართალს ყოველდღე აბახებენ, ხოლო ღმერთს ყოველდღე კლავენ, ყველაფერი ნებადართულია!

**ჯაბა ხუბუა**

## სააკაშვილის რეჟიმმა როინ შავაძე თავიდან მოიშორა, როგორც სახიფათო მოწმე!

## კვირგვინოსნები



**დონალდ ტრამპი**
*აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი*

**ბაიდენი დემოკრატიისთვის სერიოზული საფრთხეა.**

„რეზონანსი"



**მამუკა მდინარაძე**
*საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი*

ვერ მიხვდნენ, რომ **ნაცი ნაცია, კაცი კაცია და ქალი ქალია,** ვერ წარმოიდგინეს, რომ **ნაცის განნაცება** არის ურთულესი ფსიქომოვლენა.

„პირველი არხი"



**მარიამ ლაშხი**
*პარლამენტარი*

**ადეიშვილი** არაევროპული ღირებულებებისა და ქმედებების პირდაპირი გამოხატულებაა — **ნამდვილად პარადოქსია, რომ ევროპაში ასეთ შეხვედრებს ვხედავთ.**

„რეზონანსი"



**სანდრო ბრეგაძე**
*„ქართული მარშის" ლიდერი*

**სალომე ზურაბიშვილი** ძალიან ოსტატურად თამაშობს ოპოზიციონერობას, **რეალურად აკეთებს „ქართული ოცნების" საქმეს** და მე აღფრთოვანებული ვარ ამ ქალბატონის სამსახიობო ოსტატობით.

„ალია"



**გივი მიქანაძე**
*პარლამენტარი*

**„თბილისი პრაიდი"** არის ერთ-ერთი ის დაჯგუფება, რომელიც კონკრეტულ პოლიტიკურ სუბიექტებს შესაბამის **დავალებებს, მითითებებსა და ინსტრუქციებს კარნახობს.**

„რეზონანსი"

***საქართველოს მთავრობამ ოფიციალური წერილით გამოხატა შეშფოთება იმის გამო, რომ გერმანიის ბუნდესტაგსა და ევროკავშირის სტრუქტურებში ქართული მართლმსაჯულების მიერ ძებნილ სისხლის სამართლის დამნაშავეს — სააკაშვილის რეჟიმის გენერალურ პროკურორსა და ამჟამად უკრაინის გენერალური პროკურორის მრჩეველ ზურაბ ადეიშვილს უმასპინძლეს.***





## გოგა ხაინდრავა:

# დღეს მსოფლიო ისე ახლოსაა ბირთვულ კატასტროფასთან, როგორც არასდროს!

*— ევროკავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში* ***ზურაბ ადეიშვილის*** *მასპინძლობა ძირს უთხრის აღქმას, რომ ევროპული ბიუროკრატია სამართლებრივი სახელმწიფოს იდეის ერთგულია — ვკითხულობთ საქართველოს მთავრობის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში, ხოლო საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ გერმანიისა და ბელგიის კომპეტენტურ ორგანოებს ადეიშვილის დაკავებისა და თბილისში ექსტრადირების თაობაზე მიმართა.* ***ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე კინორეჟისორ გოგა ხაინდრავას ვესაუბრებით:***

— ბერლინსა და ბრიუსელში ადეიშვილის ვოიაჟები კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ არავითარი დასავლური ღირებულებები აღარ არსებობს და ევროპული დემოკრატიის შესახებ შექმნილი მითი ბოლომდე დანგრეულია. ჩერჩილის ცნობილი გამონათქვამია, რომ პოლიტიკაში არ არსებობს მუდმივი მეგობრობა და მტრობა, არსებობს მხოლოდ მუდმივი ინტერესები... ვიღაცის ინტერესებს სჭირდება, რომ **ადეიშვილი** ციხეში კი არა, გერმანიის პარლამენტის საპატიო ლოჟაში იჯდეს? იჯდება ადეიშვილი გერმანიის პარლამენტის საპატიო ლოჟაში! **ვიღაცის ინტერესებს სჭირდება, რომ სააკაშვილმა რუსებზეც იმუშაოს და ამერიკელებზეც? იმუშავებს სააკაშვილი რუსებზეც და ამერიკელებზეც!**

**— იმუშავებს თუ მანამდეც მუშაობდა?**

— მუშაობდა და დღემდე მუშაობს, უბრალოდ, ახლა იმდენი საშუალება აღარ გააჩნია, რამდენიც ხელისუფლებაში ყოფნის დროს ჰქონდა. 2008 წელს სააკაშვილმა საქართველო რუსეთთან ომში ამერიკელების დავალებით ჩააბა და ახლა რომ ხელისუფლებაში იყოს, იმავეს გააკეთებდა. უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ **არესტოვიჩს** ტყუილად კი არ უთქვამს — **დღეს საქართველოს სააკაშვილი და მისი გუნდი რომ მართავდნენ, რუსეთს მეორე ფრონტს გაუხსნიდნენო!**

ისიც გავიხსენოთ, რომ **პოროშენკოს** მიერ უკრაინიდან გაძევებული და მოქალაქეობაჩამორთმეული, უპასპორტო სააკაშვილი მთელ მსოფლიოში თავისუფლად მოძრაობდა, ხოლო უკრაინის ხელისუფლებაში მასხარა **ზელენსკის** მოსვლის შემდეგ **პუტინი** იყო პირველი და ერთადერთი ლიდერი, ვინც მას სააკაშვილისათვის უკრაინის მოქალაქეობის აღდგენისაკენ მოუწოდა.

**— სხვათაშორის, რამდენიმე დღის წინათ ცნობილი გახდა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დავით კეზერაშვილს ვიზა არ მისცა...**

— ქართული სახელმწიფოს მიერ ძებნილი **კეზერაშვილი** წლებია, მთელ მსოფლიოში უპრობლემოდ გადაადგილდება, რადგან საჭირო და გამოსადეგი ფიგურაა იმავე ბნელი ძალებისათვის, რომლებიც ადეიშვილს გერმანიის პარლამენტსა და სხვა ევროპულ სტრუქტურებში მასპინძლობენ. უცხოური სპეცსამსახურები კეზერაშვილს სწორედ უსაფრთხოებისა და ხელშეუხებლობის სანაცვლოდ აფინანსებინებენ ნაციონალურ მოძრაობასა და ტელესაროსკიპო „ფორმულას“, რომლებიც პირდაპირ და ღიად ეწევიან ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას ისევე, როგორც **კაპიტან ბიბაურის** ორგანიზაცია **„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“, ლომჯარია, „ისფედი“** და სხვა ე.წ. არასამთავრობოები. ესენი არიან ქართული სახელმწიფოს მტრები, რომლებიც უცხოური სპეცსამსახურებიდან ფინანსდებიან და მათ დაკვეთებს ასრულებენ.

უცხოური სპეცსამსახურების დავალებებს ასრულებს **მამუკა ხაზარაძეც,** რომელმაც განაცხადა — ამერიკაში დახურული შეხვედრები მქონდაო... რა დონის კრეტინი უნდა იყო და როგორ არ უნდა გესმოდეს პოლიტიკა, რომ ასეთი რამ თქვა! როდის იყო, უცხო ქვეყანაში სამუშაო ვიზიტით ჩასულ პოლიტიკოსებს დახურული



**„სრული შიზოფრენიაა, რომ ნაცმოძრაობის გუშინდელმა თავმჯდომარე მელიამ და ნაცსექტის გუშინდელმა იდეოლოგმა გვარამიამ დღეს „ახლები“ დაირქვეს!“**

## კვირგვინოსნები

**ნინო ფოჩხუა**
*ექსპერტი*



**2008 წლის ომზე გამოძიება დასაწყებია,** ყველაფერს უნდა დაერქვას თავისი სახელი, რათა მომავალმა თაობამ იცოდეს უახლესი ისტორია და **მომავალში აღარ გამოჩნდნენ ადამიანები, ვინც სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის „გაპრავებას“ დააპირებენ.**

„იმედინიუსი“

**ირაკლი ლეჟარია**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



სწორედ რომ **2008 წლის ომის ფაქტებზეა სააკაშვილი და მისი გუნდი პასუხისგებაში მისაცემი,** იმედი მაქვს, დადგინდება, თუ რა დონეზე უღალატა მიშამ ხალხს.

„იმედინიუსი“

**თამთა მეგრელიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**„ხალხის ძალა“** ამ მძიმე მოღალატეობრივ პროცესზე **2008 წლის ომზე** საუბრით არ შემოიფარგლება და იღებს პასუხისმგებლობას, რომ **არჩევნების შემდეგ დააინიცირებს გამოძიებას 2008 წლის ომის შესახებ.**

„იმედინიუსი“

**ზურაბ ჯაფარიძე**
*„გირჩი — მეტი თავისუფლების“ თავმჯდომარე*



**მიხეილ სააკაშვილმა** შეცდომა დაუშვა, როდესაც **აქცენტები გადაიტანა ჯანმრთელობის პრობლემებზე და ამ გზით ცდილობდა თავისუფლების მიღწევას** — შედეგებს ახლა იმკის.

„TV პირველი“

**მიხეილ სააკაშვილი**
*პატიმარი*



ჩემთვის ფული არასდროს ნიშნავდა არაფერს, **არც სახლი მაქვს საქართველოში და არც კარი,** თუ არ ჩავთვლით ერთ დაყადაღებულ ვენახს, დიახ, ეს იყო ჩემი ფილოსოფია, ჩემი აზროვნების სტილი.

„პირველი არხი“



„სად ჰყავს უკრაინას ხელისუფლება?! ზელენსკები, არახამიები, პოდოლიაკები და გონჩარენკოები „შნირები“ არიან, რომლებმაც უკრაინა არ დაინდეს!“

# „აბსოლუტური გიჟი უნდა იყო, რომ არ გესმოდეს — რუსეთი ომს არ წააგებს!»

შეხვედრები ჰქონდათ? დახურულ შეხვედრებს აგენტები მართავენ და არა — პარტიის თავმჯდომარეები.

**— როგორ ფიქრობთ, გერმანიისა და ბელგიის შესაბამისი უწყებები ყურად იღებენ საქართველოს გენერალური პროკურატურის ოფიციალურ მიმართვას ზურაბ ადეიშვილის დაკავებისა და თბილისში ექსტრადირების შესახებ?**

— მარტო ადეიშვილი კი არა, ევროპას ბევრი ძებნილი დამნაშავე აფარებს თავს, მათ შორის, გლდანის ციხის ჯალათი **„ქილერა“ და დათა ახალაია...** ნუთუ ევროპული ქვეყნების სპეცსამსახურებმა ამის შესახებ არაფერი იციან?

**ნუთუ ჩვენს „პარტნიორებსა“ და „მეგობრებს“ არ აწუხებთ, რომ მათ ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილდებიან ქართველი ხალხის სისხლში გასვრილი კრიმინალები და სახელმწიფო დამნაშავეები?**

მაგრამ აკი, გითხარით — ევროპული დემოკრატიის, სამართლისა თუ სხვა მაღალი ღირებულებების შესახებ ყველანაირი მითი უკვე დამსხვრეულია და ეს ზღაპრები ანა ნაცვლიშვილმა, სალომე სამადაშვილმა და სალომე ზურაბიშვილმა ერთმანეთს მოუყვნენ!

**— რას იტყვით იმასთან დაკავშირებით, რომ უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლები საქართველოს ხელისუფლებას ეუბნებიან — ჩვენ კი არ უნდა გადმოგცეთ ადეიშვილი და ლორთქიფანიძე, არამედ თქვენ უნდა დაგვიბრუნოთ უკრაინის მოქალაქე სააკაშვილიო?**

— სად ჰყავს უკრაინას ხელისუფლება?! **ზელენსკები, არახამიები, პოდოლიაკები და გონჩარენკოები** „შნირები“ არიან, რომლებმაც უკრაინა არ დაინდეს, რადგან უკრაინა მათი სამშობლო არ არის! შეხედეთ, რა ხდება — ასეულათასობით უკრაინელის სიცოცხლე ეწირება ევროპის შიშებსა და ამერიკის დიდებას, თუმცა, ამერიკის დიდება უკვე წარსულს ჩაბარდა ისევე, როგორც ამერიკული დემოკრატია და ლიბერალიზმი.

**ევროპაც და ამერიკაც გარყვნილების ბუდედ გადაიქცა! – ეს უნდა ითქვას და უნდა ვიცოდეთ, ვისთან გვაქვს საქმე.**

მადლობა ღმერთს, საქართველოს ხელისუფლებას ერთადერთი სწორი პოზიცია უკავია და ქართველი ერის ეროვნული, სუვერენული ინტერესების დაცვაზეა ორიენტირებული. დღეს მსოფლიოში ისეთი ვითარებაა და საქართველოს მნიშვნელობა იმდენად არის გაზრდილი, რომ ჩვენ გვაქვს შანსი და შესაძლებლობა, ჩვენი ინტერესები დავიცვათ, სხვანაირად ვერ გადავრჩებით, როგორც ერი და სახელმწიფო.

დღეს მსოფლიო ისე ახლოსაა ბირთვულ კატასტროფასთან, როგორც არასდროს. ახლანდელ ვითარებასთან შედარებით კარიბის კრიზისიც კი ბავშვური თამაში იყო.

**— გგონიათ, რომ ატომური იარაღის გამოყენებისა და ბირთვული ომის საფრთხე რეალურია?**

— კი არ მგონია, ვხედავ, რომ ასეა. წარმოიდგინეთ, უკრაინაში ნატო-ს ჯარების შეყვანაზე დაიწყეს ლაპარაკი, რაც პირდაპირ ბირთვული ომის წინაპირობაა. **აბსოლუტური გიჟი უნდა იყო, რომ არ გესმოდეს — რუსეთი ომს არ წააგებს!** ვერ წააგებს კი არა, **არ წააგებს არავითარ შემთხვევაში,** რადგან აღმოჩნდა, რომ რუსეთი არის მსოფლიოში ნომერ პირველი ბირთვული ქვეყანა, რომელიც ყველაზე დიდ და ყველაზე ძლიერ ატომურ იარაღს ფლობს!

**პუტინმა განაცხადა, რომ, თუ რუსეთის სუვერენიტეტსა და არსებობას საფრთხე დაემუქრება, ბირთვულ იარაღს გამოიყენებს, რასაც საფრანგეთის პრეზიდენტი პასუხობს — მზად ვართ ბირთვული ომისთვის, რადგან ატომური იარაღი ჩვენც გაგვაჩნიაო! წარმოგიდგენიათ, სადამდეა საქმე მისული?**

ქართველმა ხალხმა უნდა იცოდეს სიმართლე, რომელიც სულაც არ არის სახარბიელო, მაგრამ, თუ რეალობა გვეცოდინება, გადავრჩებით. მსოფლიოს გარყვნისა და გადაგვარების მიუხედავად, ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო ნოეს კიდობანში ზის, რადგან ჩვენ ეს დავიმსახურეთ უფლისადმი სიყვარულის, ერთგულებისა და თავდადების გამო.

**— საპარლამენტო არჩევნებამდე სულ უფრო ნაკლები დრო რჩება და ოპოზიციის ფლანგზე ერთგვარი დაჯგუფება თუ გადაჯგუფება მიმდინარეობს... რამდენად აქვთ ხელისუფლებაში მოსვლის შანსი ნაცებსა და კოლექტიურ ნაცებს?**

— სრული შიზოფრენიაა, რომ ნაცმოძრაობის გუშინდელმა თავმჯდომარე **მელიამ** და ნაცსექტის გუშინდელმა იდეოლოგმა **ბვარამიამ** დღეს „ახლები“ დაირქვეს! საერთოდ, რაღაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ე.წ. ოპოზიციის ლიდერები **მამუკა ხაზარაძე, ხაბეიშვილი, კიკუ ვაშაძე და ხაზარაძე არიან? აქეთ — შარვალჩახდილი გირჩი ჯაფარიძე და ლიაკა ხოშტარია, რომელიც პირდაპირ რუსეთზე მუშაობს!**

ნაციონალური მოძრაობის გარდა, ვერცერთი ოპოზიციური წარმონაქმნი 5-პროცენტიან ბარიერს ვერ გადალახავს და მე თუ მკითხავთ, ვერც ნაცებმა უნდა გადალახონ... თუ ადამიანს გონებისა და ღირსების ნატამალი შერჩენია, **ხაბეიშვილს, კიკუ ვაშაძეს, კირკიტაძესა და წითლიძეს** როგორ უნდა მისცეს ხმა?!

**— თქვენი აზრით, არჩევნების წინ სალომე ზურაბიშვილს სააკაშვილს შეაწყალებინებენ?**

— ნაცებსა და მათ პატრონებს სააკაშვილი პატიმრობაში სჭირდებათ, რათა ამ თემით ისპეკულირონ და თავიანთი სექტაც მუდმივად ბელადის გათავისუფლების მოლოდინში ჰყავდეთ ისევე, როგორც „დათა თუთაშხიაში“ არქიფო სეთურის სექტა ელოდება ჭაში მჯდომი ზებოს მიერ ზარის დარეკვას. აბა, ციხიდან გამოშვებული სააკაშვილი იგივე ხაბეიშვილი იქნება და ორ ხაბეიშვილს რა თავში იხლიან?!




„ნაცებს სააკაშვილი პატიმრობაში სჭირდებათ! ციხიდან გამოშვებული სააკაშვილი იგივე ხაბეიშვილი იქნება და ორ ხაბეიშვილს რა თავში იხლიან?!“



„ლიაკა ხოშტარია პირდაპირ რუსეთზე მუშაობს!“

*ესაუბრა*
***გიორგი ძაძამია***

## კვირგვინოსნები



**ლევან ალაფიშვილი**
*კონსტიტუციონალისტი*

შეცდომაა ოპოზიციის განცხადება — **არ ვაპირებთ კოალიციას ნაციონალურ მოძრაობასა და „ქართულ ოცნებასთანო“.** ვადამდელი არჩევნებისთვის მზად არიან?!

„ახალი თაობა“



**ნანა კაკაბაძე**
*„ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე*

რაც „ქართულმა ოცნებამ“ „მეგობრებს“ **უარი უთხრა მონობაზე, ლგბტ პრაიდების ჩატარებაზე და დაიწყო დამნაშავე ნაცების გასამართლება, „დაუძინებელი მეგობრებისათვის“** საქართველოს ხელისუფლება მიუღებელი გახდა.

„იმედინიუსი“



**სოსო შატბერაშვილი**
*„მემარცხენე ალიანსის“ თავმჯდომარე*

პრეზიდენტს დიდი ხანია, გადაწყვეტილი აქვს, **კოლექტიური ნაცმოძრაობის ლიდერი გახდეს. ზურაბიშვილი** შეიწყალებს **სააკაშვილს,** ოღონდ არჩევნებამდე ერთი-ორი თვით ადრე.

„საერთო გაზეთი“



**ლევან ნიკოლეიშვილი**
*ექსპერტი*

**არახამიამ** იმ ქვეყნის **ენა არ იცის,** საიდანაც „ფესვები“ გააჩნია, **არც ის ენა იცის,** სადაც ცხოვრობს და ფულს შოულობს, **ყველაზე კარგად იმ ენაზე მეტყველებს,** რომელთანაც ომი აქვს, ჯიბეში კი ამერიკული პასპორტი უდევს.

„იმედინიუსი“



**დავით არახამია**
*უკრაინის უმაღლესი რადის დეპუტატი, ფრაქცია „ხალხის მსახურის“ ხელმძღვანელი*

უკრაინასთან ურთიერთობის ნორმალიზაციისთვის, **საქართველომ უნდა შეწყვიტოს ავიამიმოსვლა რუსეთთან და გაათავისუფლოს მიხეილ სააკაშვილი.**

„ინტერპრესნიუსი“

*გალაკტიონ ტაბიძის თვითმკვლელობის შემდეგ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზამ დასკვნაში ჩაწერა: კუჭი ცარიელი იყო, აღინიშნებოდა მხოლოდ ლორწოვანი, მღვრიე სითხე მცირე ოდენობით!*

# გუშინ, 17 მარტს, 65 წლის წინათ, გალაკტიონი მთელი დღის მშიერი იყო!



ეს ზუსტად ის ფანჯარაა, საიდანაც 1959 წლის 17 მარტს, საღამოს 6 საათზე, გალაკტიონი გადმოხტა. ფოტო მოგვიანებით, 21-ე საუკუნეშია გადაღებული, ვიდრე ვაკეში „ლეჩკომბინატის“ ისტორიულ შენობას სამშენებლო ბიზნესით გატაცებული ვანდალები დაანგრევდნენ.

ზუსტად 65 წლის წინათ, 1959 წლის 18 მარტს, **მე-4 სამმართველოს საავადმყოფოდან — ე. წ. ლეჩკომბინატიდან** პათოლოგიური ანატომიის ინსტიტუტს სპეციალურ სითხეში მოთავსებული ბიომასალა გადაეგზავნა. ეს იყო წინა დღეს, 17 მარტს, ამავე საავადმყოფოს ეზოში ტრაგიკულად დაღუპული **გალაკტიონ ტაბიძის ტვინი.** ამ დრომდე ის ზაქარია ფალიაშვილის, ნიკო ნიკოლაძისა და სხვა რამდენიმე ცნობილი ადამიანის ტვინებთან ერთად რესპუბლიკური საავადმყოფოს პათანატომიის დეპარტამენტის სარდაფში ინახებოდა, თუმცა, დღეის მდგომარეობით, ამ დაზიანებული და უფუნქციოდ დარჩენილი შენობიდან სხვაგან გადაიტანეს თუ დროის მტვერში ჩაიკარგა, არავინ იცის.

**გალაკტიონ ტაბიძის** ცხედრის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის მონაცემებით, 1959 წლის 18 მარტს ტაბიძის თავის ტვინი და ღვიძლი აღებულ იქნა გაუკვეთავად. თავის ტვინი შემდგომი მეცნიერული კვლევისთვის გადაეცა პათოლოგიური ანატომიის ინსტიტუტს, ხოლო ღვიძლი — მე-4 სამმართველოს საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებას. მე-4 სამმართველოს საავადმყოფო კარგა ხანია, აღარ არსებობს, ხოლო რესპუბლიკური საავადმყოფოს პათანატომიის დეპარტამენტის შენობა, სადაც გენიოსის ტვინი ინახებოდა, დღეს უფუნქციოა და დასანგრევად არის განწირული.

**პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელის გია ბურკაძის ინფორმაციით,** *არ არსებობს ზემონახსენებ პირთა ტვინების კვლევების დამადასტურებელი ოქმები, ქილებს, რომლებშიც საკვლევი მასალა იყო დაცული, დაკრული ჰქონდა მხოლოდ მათი ვინაობის დამადასტურებელი ეტიკეტები — უკვე სუსტად მიწებებული და ეჭვი იყო, რომ ეს ეტიკეტები ვინმეს შეიძლება არეულადაც მიეკრა. არ არსებობდა არავითარი დოკუმენტაცია, იდენტიფიკაციისათვის საჭირო იყო* ***დნმ****-ის ანალიზის გაკეთება. ამ ტვინების, მათ შორის, გალაკტიონის ტვინის, კვლევა არ ჩატარებულა, ის ინახებოდა სპეციალურ ხსნარში პირვანდელი სახით, ყველასგან მიუწვდომელ და დაცულ ადგილზე. სანამ მე მანდ ვმუშაობდი, პასუხს ვაგებდი მათ უსაფრთხოებაზე, ახლა პენსიონერი ვარ და ამ მასალების დღევანდელი ადგილმდებარეობისა და დაცულობის შესახებ ინფორმა-*

## კვირგვინოსნები

**ბექა დავითულიანი**
*პარლამენტარი*



ამ ქვეყანაში **რადიკალური ოპოზიციის სურვილი და მიზანია, რომ სასამართლო არ იყოს დამოუკიდებელი** და მასზე იყოს დამოკიდებული. **„ვეტინგის“ სისტემა** მათთვის არის ინსტრუმენტი, რომ **სასამართლო დაიქვემდებარონ.** ჩვენ ამას არ დავუშვებთ, მორჩა, ვინც გინდა, გვითხრას.

„რეზონანსი“

**გურამ მაჭარაშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**„თბილისი პრაიდს“, ლგბტ თემის წარმომადგენლებს, მათ დამცველებს, რადიკალურ ოპოზიციასა და არასამთავრობოების დიდ ნაწილს** აფინანსებს ერთი პატრონი — **ეს არის უცხოური ძალა.**

„იმედინიუსი“

**ემზარ გოგუაძე**
*ექსპერტი*



კიდევ ერთხელ მკაფიოდ დადასტურდა, რომ **ოპოზიციად წოდებულნი** გამტარებელი არიან იმ პოლიტიკის, რასაც საქართველოში **ლგბტ პროპაგანდა და გაუკუღმართებული ცხოვრების წესის დანერგვა** ჰქვია.

„იმედინიუსი“

**ვახტანგ ძაბირაძე**
*პოლიტოლოგი*



**მელია-ბგარამიას** ერთობით „ოცნებამ“ **წინასაარჩევნო საჩუქარი** მიიღო. თუ ოპოზიციურ ფლანგზე პროცესები ასე გაგრძელდება, მაშინ **„ქართულ ოცნებას“ პირველ ადგილზე გასვლა გარანტირებული აქვს.**

„ახალი თაობა“




# დღეს:

ცია არა *მაქვს.*

ერთ-ერთ ექიმ-პათოლოგანატომს ახსოვდა, რომ ამ შენობაში, პათანატომიის აუდიტორიაში — კედლისკენ ხელმარცხნივ პრეპარატები იდო და ერთში ორი ტვინი იყო მოთავსებული, ზედ ეკრა მათი ვინაობის აღმნიშვნელი ეტიკეტები. სავარაუდოდ, ერთ-ერთი იყო გალაკტიონის ტვინი.

**ინესა მერაბიშვილი, აკადემიკოსი:** — გალაკტიონ ტაბიძის ნიღაბი თაბაშირისგან გააკეთეს სამხატვრო აკადემიიდან მოყვანილმა პირებმა და ის სახელმწიფო უნივერსიტეტში, გალაკტიონის კაბინეტში ინახებოდა. ეს ნიღაბი მეც გამომიფენია. **ალექსანდრე შუშანაშვილმა** დეტალურად შეისწავლა გალაკტიონის გარდაცვალებასთან დაკავშირებული საგამოძიებო მასალები, გაზეთშიც გამოაქვეყნა და წიგნიც გამოსცა, თუმცა, გალაკტიონის ტვინის შენახვისა და კვლევის შესახებ ინფორმაცია ჩემთვის უცნობია.

●

**გალაკტიონ ტაბიძის** გარდაცვალების საქმეზე ორჯერ დაიკითხა მისი ძმისშვილი **ნოდარ ტაბიძე,** რომელმაც ის 1959 წლის 17 მარტს, დილის 10 საათზე, საავადმყოფოში დასაწოლად მიიყვანა. გამოძიების მასალების მიხედვით, **ნოდარ ტაბიძეს** საავადმყოფოდან გასვლამდე გალაკტიონმა სთხოვა: **„სახლში უთხარი, ხშირად დამირეკონ...“** იმ დღეს გალაკტიონისთვის სახლიდან არ დაურეკავთ, არც არავის მიუკითხავს, **დილის 10 საათიდან საღამოს 6 საათამდე, ანუ ვარდნამდე ის მშიერი იყო.**

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზამ ასეთი დასკვნა დადო: **გალაკტიონის კუჭი ცარიელი იყო, აღინიშნებოდა მხოლოდ ლორწოვანი, მღვრიე სითხე მცირე ოდენობით.** ეს იმას ნიშნავდა, რომ გალაკტიონმა ის დღე — დილიდან საღამომდე უჭმელმა გაატარა. არ დასტურდება, რომ ამ პერიოდში მისთვის საავადმყოფოში კვლევა უნდა ჩაეტარებინათ და ამ მიზეზით იყო მშიერი. ექიმებმა გასინჯეს შუადღის 2 საათზე — მაჯისცემა ჰქონდა 84, სისხლის წნევა — 180/80.

**საავადმყოფოში ბიძის დატოვების შემდეგ ნოდარ ტაბიძე ჯერ სახლში დაბრუნდა, მერე სამსახურში წავიდა. გალაკტიონის გარდაცვალების ამბავი მას სახლში საღამოს 9 საათისთვის შეატყობინეს.**

**ალექსანდრე შუშანაშვილს** დეტალურად აქვს აღწერილი გალაკტიონ ტაბიძის ცხედრის სასამართლო-სამედიცინო კვლევა, რომელიც ჩატარდა 1959 წლის 18 მარტს, 13 საათსა და 30 წუთზე, მე-4 სამართველოს საავადმყოფოს პროზექტურაში. კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ პროფესორები: **ვლადიმერ ჟღენტი, ირაკლი ტატიშვილი, არკადი ჯორბენაძე** და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროს განყოფილების გამგე **რამაზ გვეტაძე.** გამოკვლევას ესწრებოდნენ სახალხო გამომძიებელი **თამარ მახვილაძე,** ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე **ლევან გომელაური და ლუარსაბ ქავთარაძე,** აგრეთვე საავადმყოფოს მთავარი ექიმი **პეტრე კერესელიძე** და ქირურგი **ანდრია ღვამიჩავა.**

გარეგანი და შინაგანი დათვალიერების საფუძველზე კომისიამ დაადგინა: **მარჯვენა მხარეს პირველი, მე-2, მე-3, მე-4, მე-11 და მე-12 ნეკნის მოტეხილობა, სხეულის მრავლობითი სისხლნაჟღენთები და ნაჭდევები, მარჯვენა ცერის ფრჩხილის ფალანგის ღია მოტეხილობა, კედლის ამყოლი პლევრის გაგლეჯა, ტვინის მაგარი გარსის ქვეშ სისხლის ჩაქცევა და ზომიერი ჰიპერტონია.** გვამის გაკვეთის დროს ალკოჰოლის სუნი არ შეიგრძნობა, კუჭი ცარიელი, აღინიშნება მხოლოდ ლორწოვანი, მღვრიე სითხე მცირე ოდენობით. გვამის გამოკვლევა-დათვალიერება დასრულდა საღამოს 22 საათზე.

კომისიამ დაასკვნა, რომ გალაკტიონის სიკვდილის მიზეზი იყო **ტრავმული შოკი,** რაც განვითარდა ძვლების მრავლობითი მოტეხილობისა და შინაგანი ორგანოების გაგლეჯის ნიადაგზე. შემჩნეული ყველა დაზიანება მიყენებული იყო რაიმე მკვრივი და ბლაგვი საგნის მოქმედებით ან ასეთივე საგანზე სიმაღლიდან ვარდნით. გვამის გარეგნული პირველადი დათვალიერების ოქმში ჩაწერეს: **გვამი არის სწორი აგებულების, კარგი კვების, ხელის შეხებით ჯერ კიდევ თბილი. გვამური გაშეშება არ იყო განვითარებული. ეცვა აბრეშუმის ზოლებიანი პიჟამა, თეთრი ტილოს ზედა და ქვედა საცვლები, წინდები და ყავისფერი ტყავის ფეხსაცმელი. შემთხვევის ადგილზე სისხლის კვალი არ ჩანდა.**

მეოთხე სართულიდან გადმოვარდნილი გალაკტიონის ცხედარი საკაცეზე დააწვინეს საავადმყოფოს ელექტრომონტიორმა **ვლადიმერ მურადოვმა,** საავადმყოფოს პარიკმახერმა **ვალიკო ფრანგიშვილმა,** ექიმმა თერაპიული განყოფილებიდან **სუსანა არაქელოვამ** და უცნობმა ბიჭმა, რომელიც იმ დროისათვის საავადმყოფოს ეზოში იყო. **შეიყვანეს საავადმყოფის შესასვლელიდან რამდენიმე მეტრში არსებულ ავადმყოფების მისაღებ ოთახში — პირველ სართულზე. გაუსინჯეს გულისცემა, თვალის გუგები, გალაკტიონი უკვე მკვდარი იყო.**

გალაკტიონის ცხედარი სახლში არ წაუსვენებიათ, 19 მარტს გადაასვენეს მწერალთა სახლში. სუდარად გადააფარეს მწერალთა სახლის ადმინისტრაციის მიერ ოპერის თეატრიდან დაქირავებული ფარდა, რომლის უკან დაბრუნებაც პოეტის დასაფლავების შემდეგ ოპერის თეატრის ხელმძღვანელობამ მოითხოვა. რომ არა **გიორგი ლეონიძისა** და კიდევ სხვა მწერლების თავდებობა, ამ ფარდის გამო გალაკტიონის ცხედარს საფლავიდან ამოასვენებდნენ. **დაიკრძალა შაბათ დღეს, 21 მარტს, 67 წლის ასაკში.**




*როდესაც რესპუბლიკური საავადმყოფოს თანამშრომლები აქციებს მართავდნენ და საავადმყოფოდან თანამშრომლების დათხოვნის გადაწყვეტილებას აპროტესტებდნენ, არავის გახსენებია ცენტრალური კორპუსის უკან მდებარე პათოლოგანატომიური დეპარტამენტის დაზიანებული შენობა და იქ განთავსებული ქართველი გენიოსების ტვინების ბედი. როგორც ჩანს, არც შპს აკად. ნ. ყიფშიძის სახელობის სახ. ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის კლინიკურ დირექტორ თეა თავართქილაძეს აღელვებს ეს ამბავი, რადგან დაპირების მიუხედავად, რომ ამ მასალებზე ამჟამინდელ ინფორმაციას მოგვაწვდიდა, ჩვენს სატელეფონო ზარებს აღარ უპასუხა. რა ვიფიქროთ? გალაკტიონის ტვინის გაუჩინარება ტოტალური უტვინობის შედეგია თუ გეგმური ნაძირალობის? თუმცა, ვიმედოვნებთ, რომ გენიოსის ტვინის ადგილსამყოფელი „ასავალ-დასავალის“ ამ ნომრის გამოსვლის შემდეგ ცნობილი გახდება!*

**ქეთევან ხამიტაშვილი**

## კვირგვინოსნები



**ლელა რაზიკაშვილი**
*ვაჟა-ფშაველას ფონდის ხელმძღვანელი*

მთელი ამ ხნის განმავლობაში, რაც **ვედავებით საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც ციხეში ზის, ვედავებით ნაციონალურ მოძრაობას,** ერთი ბოდიშიც კი ვერ მოვისმინეთ იმ ადამიანებმა, **ვისაც მიცვალებული ჰყავს, ვისაც წაართვეს, ვინც დააზიანეს, ვინც დაზარალდა.** პირიქით, დამუნათება აქეთ არის და ამბობენ — არ გვაქვს ჩვენ ბოდიში მოსახდელიო.

„TV იმედი“



**რობერტ სტურუა**
*რეჟისორი*

**30 წელია, „ვეფხისტყაოსანზე“ ვმუშაობ.** ის გენიალური პოეზია უნდა გადავიტანო სცენაზე. შეიძლება დავდგა, შეიძლება — არა. **თუ დავდგამ, ვიცი, სასაკლაოზე მივდივარ, ყველა მომკლავს. თუ დავდგამ, რასაკვირველია, დაგემშვიდობებით ყველას — დამკლავენ, ჩამქოლავენ,** რადგან ყველას თავისი „ვეფხისტყაოსანი“ აქვს.

„საქართველოს რესპუბლიკა“

# წერილი მეგობარს

***იმ ხუთ ნაცმოსამართლეს შორის, რომელიც ე.წ. ვეტინგის სისტემის შემოღებას ემხრობა და ქართველი მოსამართლეების პატიოსნების შემოწმებას უცხოელი ექსპერტების მეშვეობით ითხოვს, ჩემი ძველი მეგობარი და თანაკურსელი ნინო ბაქაქური ერთ-ერთია!***



***საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ნინო ბაქაქური***

## ასეთია ჩემი ძველი მეგობარი ნინო ბაქაქური –

### ერთ დროს ქართველი პატრიოტი, ხოლო ახლა ამერიკელების აგენტი და სააკაშვილ-ადეიშვილის ნომრიანი ჯალათი!

თბილისის სააპელაციო სასამართლოს უვადო მოსამართლე **ქეთევან მესხიშვილი,** რომელიც **ვეტინგის** შემოღებას ემხრობა, ნაცხროვასთან დაახლოებული კადრია. მისი მეუღლე სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს შინაგან საქმეთა სამინისტროში მაღალი თანამდებობის პირი იყო. **ცნობისათვის: ქეთევან მესხიშვილმა სააპელაციო სასამართლოში ხანდაზმულ თაღლითს მამუკა ხაზარაძეს „ასავალ-დასავალზე“ გაამარჯვებინა!**

ვეტინგს ითხოვს რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე **მადონა მაისურაძეც,** რომელიც ავადსახსენებელი მოსამართლის **გიორგი ჩემიას** მეუღლეა, ხოლო **ეკატერინე გასიტაშვილი,** რომელიც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეა, სააკაშვილისა და ადეიშვილის დროს უზენაესი სასამართლოს აპარატს ხელმძღვანელობდა.

რაც შეეხება თელავის რაიონული სასამართლოს უვადო მოსამართლე **მამუკა წიკლაურს,** რომელიც ცნობილი ნაცჯალათის — **მამუკა გვარამიას ცოლისძმაა,** როგორც ცნობილი ანალიტიკოსი **არნო ხიდირბეგიშვილი** ამტკიცებს, **ამხანაგი წიკლაური ვეტინგს კი არა, სინამდვილეში პეტინგს მოითხოვს.** „პეტინგი“ ეს არის „ორგაზმის მიღწევა ეროგენული ზონების ხელოვნური გაღიზიანებით ორმხრივი კონტაქტის პირობებში, რაც გამორიცხავს გენიტალიების ურთიერთშეხებას...“

მოკლედ, **მამუკა წიკლაური ამერიკელებისგან ითხოვს იმის ნებართვას, რასაც ჩვენი წინაპრები კახეთშიც, სამეგრელოშიც და ოფშკვითშიც უნებართვოდ აკეთებდნენ!**

ვფიქრობთ, წიკლაურმა ეს ნებართვა უცხოელებისგან კი არა, **ემზარ ჯგერენაიასგან ან ლაშა ბუღაძისგან** უნდა აიღოს და, ბოლოს და ბოლოს, მოისვენოს! ცნობისათვის, **გეიპროპაგანდისტი ემზარ ჯგერენაია** წლების წინათ თბილისის დღევანდელი საკრებულოს შენობის წინ მასობრივი მასტურბაციის აქციის ჩატარებას გეგმავდა.

ახლა კი მივუბრუნდეთ ჩემს ძველ მეგობარს, რომელსაც, ჩემდა სასიკვდილოდ, ამ უბედურებაში აქვს თავი გაყოფილი!

**„ნეუნი მოროუნი“ ნინო ბაქაქური,** როგორც მეგობრები სიყვარულით ვეძახდით, ისეთი წესიერი და კარგად გაზრდილი გოგო იყო, ვინმეს რომ ეთქვა, — პატიოსანი ხარ თუ არა, უნდა შეგამოწმოო! — დარწმუნებული ვარ, იმას თვითონაც თვალებს ამოჩიჩქნიდა და არც ჩვენ დავაწევდით კარგ დღეს!

**არ ვიცი, რა მოხდა და მაინც რა ასწავლეს იმის შემდეგ „უწმინდური მიხეილის სასწავლებელში“ ისეთი, რომ დღეს ნინო ბაქაქური იმ ოთხ მოსამართლესთან ერთად გამომდგარა და სამთელქვეყნოდ გაიძახის — მე ის ნინო აღარ ვარ, უცხოელები ჩამოვიდნენ და შემამოწმონო!**

ნეტავ იმ დროს, როცა მე, ნინო, ნატო, ლაზარე, ინგა, ანი, გიორგი, სერგო, ვახო, ნაზი, მაია, ბადრი, მაკა, თინიკო, გოგა, თეა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე ერთად ვსწავლობდით და ჩვენს მეგობრობას, ცხოვრებასა და სიყვარულს შემოწმება და რევიზორი არ სჭირდებოდა! მაშინ სამეცადინოც ერთი გვქონდა და საფიქრალ-სადარდებელიც — სამშობლო, რომელსაც ყოველდღე გვიუბედურებდნენ და გვიკლავდნენ.

**კარგი სამეგობრო ვიყავით შეკრებილი, ერთმანეთის ნახვა გვიხაროდა, ყველას ერთმანეთი გვიყვარდა. მართალია, ბედკრული საქართველო თვალსა და ხელშუა იქცეოდა და ინგრეოდა, მაგრამ იმ საშინელ სისხლისღვრასა და ორომტრიალშიც კი ჩვენი სტუდენტური და გუდამშიერი ცხოვრება მაინც ლაღი და ხალისიანი იყო.**

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ჩვენი გზები გაიყო. თქვენმა მონა-მორჩილმა ასპირანტურაში გააგრძელა სწავლა, ზოგი უცხოეთში წავიდა, ზოგი — ოჯახს მოეკიდა, ზოგმა პედაგოგის უმძიმესი უღელი დაიდგა, ხოლო **ნინო ბაქაქურმა** რომელიღაც ინსტიტუტს მიაშურა და ამჯერად იურიდიულ ფაკულტეტზე ჩააბარა.

**შორიდან მესმოდა, რომ ის წარმატებული იურისტი გახდა. დარწმუნებული ვარ, რომ მოესურვებინა, ისტორიკოსიც არანაკლებ წარმატებული იქნებოდა, რადგან არც ნიჭი აკლდა, არც განათლება და, რაც მთავარია, ერთი გენიოსისა არ იყოს, სავსე გახლდათ ქართული პატიოსნებით.**

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენჩვენ გზას დავადექით, უნივერსიტეტში ჩაკირული და შენივთებული ჩვენი წრფელი მეგობრობა არ დაკარგულა. ბიჭები და გოგონები ერთმანეთის ამბავს ყოველთვის ვგებულობდით, ჭირი და ლხინი ერთი გვქონდა და ახლაც ერთი გვაქვს.

**გამოხდა ხანი და შევიტყვე, რომ ნინო ბაქაქური საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების აგენტურის სამჭედლოს — „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ იურისტი, უფროსი იურისტი, პროექტის დირექტორი, დიდი ბლაღოჩინია და შეფინია გახდა.** გულმა მაშინვე რეჩხი მიყო და მივხვდი, რომ მეგობარი დავკარგე, რადგან მშვენიერმა ნინო ბაქაქურმა „ატროშანი აღიარა და შეერთო უღმრთოთა“.

ამის შემდეგ ნინომ კარიერა კალეიდოსკოპური სისწრაფით აიწყო. **რაკი ამერიკის აგენტების „ჩეჩმაში“ ფეხი შედგა და „საია“-ს გვირგვინი თავს დაიდგა, ოკეანისგაღმელმა გადიებმა ეს კრავივით გოგო ჯერ ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში აკურთხეს მწვალებლად, ხოლო შემდეგ პირდაპირ „ცერეუს“ აგენტების ბუნაგში, ანუ ამერიკულ „მგიმოში“ — კოლუმბიის უნივერსიტეტში უკრეს თავი, სადაც ასევე სამართლის სკოლა დაამთავრებინეს და ასე გამზადებული და გაწკეპილი სააკაშვილ-ადეიშვილის სასამართლოში მოსამართლედ გაამწესეს.**

ქვეყანა რომ იქცეოდა და სააკაშვილი და ნაცხროვა ბიზნესმენებს კუდის რიკამდე ატყავებდნენ, **ჩემი ძველი მეგობარი, რომელსაც უკვე „ატროშანი“ ჰქონდა მიღებული და ეშმაკთან ჰქონდა წილი ნაყარი, ჩაქუჩის ერთი დარტყმით ხალხს აუბედურებდა.** 2004-2005 წლებში ის თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე და ადმინისტრაციული სამართლის კოლეგიის წევრი იყო, ხოლო 2005-2008 წლებში — თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე და ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის ხმოსანი.

მაშინ, იმ მრუმე და სისხლიან დროს, როცა საქართველოში სამართალი გაუპატიურებული იყო და **ზურაბ ადეიშვილი თითოეულ მოსამართლეს პრეზერვატივიანი ხელკეტით თავზე ადგა, რათა ვინმეს ღმერთი არ გასწყრომოდა და სამართლიანი გადაწყვეტილება არ მიეღო,** ჩემი მეგობარი დუმდა და **ვეტინგის შესახებ** კრინტს არ ძრავდა. ახლა კი **ნინო ბაქაქური და ის ოთხი ნაცმოსამართლე** მარტში ამძუვნებული კატებივით საეჭვოდ აჭყავლდნენ და სასამართლო სისტემაში **ვეტინგის შემოღება** მოინდომეს!

არა მგონია, ისეთი მაღალი ინტელექტის პატრონი, როგორიც **ნინო ბაქაქურია,** ვერ ხვდებოდეს იმას, რომ **ვეტინგის მოთხოვნა** ქართველი მოსამართლეების მიერ, ფაქტობრივად, იმის პირდაპირ აღიარებაა, რომ ისინი დებილები, გაბახებულები და უტვინოები არიან!

ასეთები გინდა შეგიმოწმებია და გინდა — არა!

**2011-2012 წლებში, როცა სააკაშვილის რეჟიმი ხრწნილებისა და აყროლების უკანასკნელ სტადიაში შევიდა, ჩემი მეგობარი ამერიკელებმა კიდევ უფრო დააწინაურეს და საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატის სამართლის ექსპერტად გაამწესეს.** არ ვიცი, ამერიკის სავაჭრო პალატის მრუმე პალატებში გადაიკვეთა თუ არა **ნინო ბაქაქურისა** და ცნობილი აფერისტის, ბარკლებისა და ბანანების გამყიდველი **ფადი ასლის** გზები, მაგრამ ფაქტია — **როგორც გარყვნილი ფადი გახლავთ სააკაშვილის ასლი, სიკვდილი მირჩევნია ამის თქმას, მაგრამ სწორედ ისე, ნინო ბაქაქური ამერიკული „ცერეუს“ ქსეროასლია, რომელიც უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ სწორედ ამერიკელების ზეწოლით გაამწესეს.** ახლაც ამერიკელები „ჩალიჩობენ“ მის გადასანიშნად, რადგან ექვსი თვის შემდეგ ბაქაქურს მოსამართლეობის ვადა ეწურება.

ასეთია ჩემი ძველი მეგობარი **ნინო ბაქაქური** — ერთ დროს ქართველი პატრიოტი, ხოლო ახლა ამერიკელების აგენტი და სააკაშვილ-ადეიშვილის ნომრიანი ჯალათი, რომელსაც საქართველოს არევა და გაუბედურება დაავალეს!

**„მე ლამაზი მეგობარი მყავდა...“** — ტიროდა **ანა ქალანდაძე.**

**მეც მყავდა ლამაზი მეგობარი, მაგრამ არ ვტირი, რადგან სიკვდილამდე მოკვდა!**

***დიტო ჩუბინიძე***






**მამუკა წიკლაური, ეკატერინე გასიტაშვილი, ქეთევან მესხიშვილი, მადონა მაისურაძე**

### ვეტინგის მოთხოვნა ქართველი მოსამართლეების მიერ, ფაქტობრივად, იმის პირდაპირი აღიარებაა, რომ

## ისინი დებილები, გაბახებულები და უტვინოები არიან!

# „იძულებულს მხდიან და იქამდე მივყავავართ, რომ თავად აღვასრულო სამართალი!“

***გოჩა აფრასიძე,* რომელსაც 2004 წლის 24 მარტს მესტიის რაიონის სოფელ ეცერში სააკაშვილმა და ბარამიძემ ოჯახი სამხედრო ავიაციით დაუბომბეს, მამა — ევგენი აფრასიძე ცეცხლში ჩაუფერფლეს, ძმა — ომეხ აფრასიძე ეზოში ხელებშეკრული დაუხვრიტეს, ხოლო თავად მეორე ძმასთან ერთად დიდი ხნის განმავლობაში ციხეში გამოამწყვდიეს და აწამეს, საქართველოს ხელისუფლებასა და ქართველ საზოგადოებას საგანგებო განცხადებით მიმართავს:**

— ისღა დამრჩენია, ამ მთავრობას დაუმორჩილებლობა გამოვუცხადო! ეს ამბავი ძალიან ცუდად დამთავრდება... **არ ვიცი, როგორ მოხდება და რა მოხდება, მაგრამ, თუ ვინმე ფიქრობს, რომ ამ ყველაფერს ჩავყლაპავ და გავჩუმდები, ძალიან შემცდარა!**

**— მოდით, დააკონკრეტეთ, რას გულისხმობთ და დაუმორჩილებლობის გამოცხადებას რა ფორმით გეგმავთ!**

— მოვითხოვ, დაასრულონ ეს შერჩევითი სამართალი და ჩვენი საქმე თაროზე რომ აქვთ შემოდებული, ბოლომდე მიიყვანონ! შერჩევითი სამართალი იმაში მდგომარეობს, რომ ამ ორი წლის წინათ ნაცფაშისტური ტელევიზიის „პირველის“ კორესპონდენტი მოვიდა ჩემთან, მიკროფონზე ლოგო მოვუძვრე და ამის გამო შვიდი თვით ციხეში გამომკეტეს, ხოლო **სააკაშვილი და ბარამიძე,** რომლებმაც არაფრის გამო დაგვბომბეს, აგვაწიოკეს, სახლ-კარი გადამიწვეს, მამა ცეცხლში გამომიბუგეს და მისი მხოლოდ ტანსაცმელი დავიტირეთ, დღემდე ბაირამობენ.

მოგეხსენებათ, 2004 წლის 24 მარტს ძმა — **ომეხი** დამიხვრიტეს, მე და ჩემი მეორე ძმა ოცოცი წლით ციხეში გაგვამწესეს, მცირეწლოვანი ბავშვები მხოლოდ ბედად გადაურჩნენ სიკვდილს და სტრესი და უბედურება გამოატარეს ოჯახში მყოფ ქალებს. იმის შემდეგ ოჯახი ღია ცისქვეშ ვართ. ამ დროს ეს მკვლელები არხეინად გრძნობენ თავს და ქვეყანას თავიანთ პირობებს კარნახობენ!

**მე და ჩემი ძმა ციხეში რომ ვიყავით, ეს ნაძირალა სააკაშვილი გამოდიოდა და ლამის ყოველდღე ტელევიზიით ჯღაოდა — სანამ მე ვიქნები პრეზიდენტი, ესენი ციხიდან ვერ გამოვლენ და მზის სინათლეს ვერ ნახავენო! ციხის მომსახურე პერსონალი, ბადრაგი, სუყველა სააკაშვილის ხალხი იყო, მაგრამ მისი ამ განცხადებების გამო უკმაყოფილებას ისინიც ვერ მალავდნენ და ჩუმად გვეუბნებოდნენ — რას გადაგვეკიდეთ, მეტი რაღა უნდა დაგიშავოთ, მთელი ოჯახი ამოგაგდოთო!**

მოვითხოვ — სანამ რამე მომხდარა, გადაიყვანონ ეს **ლორისშვილი სააკაშვილი** „ვივამედის“ კლინიკიდან ციხეში! ხოლო **ბარამიძეს,** რომელმაც სააკაშვილის ბრძანება შეასრულა და თავიდან ბოლომდე არაკაცია, მოჰკიდონ ხელი და მიათრიონ იქ, სადაც მისი ადგილია!

**— ბარამიძე, რომელიც 2004 წლის 24 მარტს ეცერში დატრიალებული საშინელი ტრაგედიის დროს შინაგან საქმეთა მინისტრი იყო, მომხდარის გამო არავის დაუკითხავს?**

— კაციშვილი **ბარამიძეს** არ შეხებია. თავიდან ვითომ დაიწყეს რაღაც ფაფხური, გამოგვკითხეს, დაზარალებულადაც გვცნეს, მაგრამ მერე ადგნენ და საქმე თაროზე შემოდეს! შესაბამისად, **ბარამიძეც** არავის შეუწუხებია. პირიქით, პარლამენტში შეუშვეს, ვიცე-სპიკერად დანიშნეს და ყოველთვიურად 8-ათასლარიან პრემიებს აძლევდნენ! არადა, ეს ახვარი ბარამიძე თვითონ ითხოვდა — დამკითხეთო!



## *გოჩა აფრასიძე:*

# ან საოკუპაციო საზღვრის იქით თეთრი დროშით უნდა გადავიდე და რუსეთს ჩავბარდე, ანდა ამ ნაცფაშისტებს ჩამოვუარო და პასუხი ვაგებინო!



*გიორგი ბარამიძე და მიხეილ სააკაშვილი*

## „იცოდეს ყველამ – დღეს ქუჩაში უიარაღოდ ყოფნა საშიშია, მაგრამ ამწუთას უიარაღოდ ვარ. ხვალ და ზეგ რა მომიწევს და როგორ მომიწევს, არ ვიცი!“

**ხელისუფლებას მივმართავ: კი მაგრამ, არ გრცხვენიათ?! ეს არის თქვენი სამართალი?! მოახლოვდება არჩევნები, დაიწყებენ წინ და უკან სირბილს, არის ენის ტლიკინი და დაპირებების ჩამორიგება, მაგრამ სინამდვილეში კაციშვილი არაფერს აკეთებს, რადგან ერთმანეთზე აქვთ გადასკვნილი კუდები და როგორც უნდათ, ყველაფერს ისე ატრიალებენ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: დაიწყონ სამართლიანობის აღდგენა და დამნაშავე ნაცებს საკადრისი ადგილი მიუჩინონ, თორემ ამ ყველაფერს ძალიან ცუდი ამბები მოჰყვება და მერე არ მითხრან — ეს რატომ ჩაიდინე და ეს რატომ გააკეთეო?!**

**— მაინც რას აპირებთ?**

— ორი გზა მაქვს — ან საოკუპაციო საზღვრის იქით თეთრი დროშით უნდა გადავიდე და რუსეთს ჩავბარდე, რადგან ჩემს სამშობლოში სამართალი ვერ ვიპოვე! ანდა, ამათ, ამ ნაცფაშისტებს ჩამოვუარო და პასუხი ვაგებინო იმ სისაძაგლისთვის, რაც ჩემს ოჯახს დამართეს! **არ ვიცი, რომელ გზას დავადგები და ზუსტად რას ვიზამ, მაგრამ, სანამ რამეს ვიზამდე და უბედურება მოხდებოდეს, გადაათრიეთ ეს ლორისშვილი სააკაშვილი ციხეში!** ნუ არის იქ, სადაც არის. ეს ამბავი ცუდად დასრულდება და მერე არ დამიწყოთ — არ ვიცოდით, არ გაგვიგია და ა.შ. იცოდეს ყველამ, დღეს ქუჩაში უიარაღოდ ყოფნა საშიშია, მაგრამ ამწუთას უიარაღოდ ვარ. ხვალ და ზეგ რა მომიწევს და როგორ მომიწევს, არ ვიცი! ოცი წელიწადია, ჩემი ოჯახი ღია ცისქვეშ ცხოვრობს. როდემდე შეიძლება, ეს ვითმინო?

სააკაშვილმა და მისმა ბანდამ საქართველოში ხალხისა და ოჯახების დაწიოკება ჩვენით დაიწყო. მაშინ ჯერ კიდევ ყველას წყალი ჰქონდა პირში ჩაგუბებული და მერე დაიწყეს ლაპარაკი! თორმეტი წელია, რაც მოლოდინის რეჟიმში ვარ და იმედი კიდევ მქონდა, რომ ამათ სინდის-ნამუსი შეაწუხებდათ, რათა საქმე გამოეძიებინათ, მაგრამ არაფერი გააკეთეს, რადგან პროკურატურა და მთელი ძალოვანი უწყებები ისევე, როგორც დანარჩენი სამინისტროები და დეპარტამენტები, სულ სააკაშვილის, ადეიშვილისა და მერაბიშვილის კადრებით არის გამოტენილი. **მოკლედ, იძულებულს მხდიან და იქამდე მივყავართ, რომ თავად აღვასრულო სამართალი!**

**— მაინც რა გაქვთ გულში?**

— არ ვიცი... **შესაძლოა, სააკაშვილსა და ბარამიძეს ვერ მივწვდე, მაგრამ დანარჩენები სად წამივლენ?** მერე უკვე გვიანი იქნება ყველაფერი. მე დასაკარგი არაფერი მაქვს — მამა ცეცხლში ჩამიფერფლეს, ძმა ხელებშეკრული დამიხვრიტეს, ოჯახი გადამიბუგეს, ციხეში გვტანჯეს და გვაწვალეს, დედაჩემს უკვე არაფრის გაკეთება აღარ შეუძლია, ამდენმა სტრესმა და უბედურებამ ჯანმრთელობა მეც შემირყია.

**— ჩათვლიან, რომ ეს არის მუქარა და თქვენ ნაცებს ანგარიშსწორებით ემუქრებით!**

— უნდათ, მუქარაში ჩამითვალონ და რაც უნდათ, ის თქვან — მე დასაკარგი არაფერი მაქვს! პროკურატურაში წერილები გავაგზავნე, ირაკლი ღარიბაშვილსაც კი მივწერე წერილი, მაგრამ კაციშვილს ყური არ შეუბერტყავს, ბოლომდე დაგვიკიდეს ფეხებზე, რადგან კიდევ ერთხელ გეუბნებით — **შეკრულები არიან!** ჰოდა, თუ შეკრულები არიან, აწი მე თავად მივხედავ ჩემს საქმეს!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**დავით მათიკაშვილი**
*პარლამენტარი*



ეჭვი არ გვეპარება, რომ გერმანია ჩვენი პარტნიორია, მაგრამ ხანდახან **„ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს“** მდგომარეობაში ვართ, **სირცხვილია, როდესაც კაბინეტებში, სადაც კანონის უზენაესობაზე გვესაუბრებიან, ზის ადეიშვილი.**

„პირველი არხი“

**გია ცაგარეიშვილი**
*პარლამენტარი*



რას წარმოვიდგენდი, **გერმანიაში ადეიშვილს ფიანდაზებს დაუგებდნენ,** საელჩომ სამართლებრივი საფუძვლები არ არსებობდაო, **ეს ხომ ცინიზმია, მორალი, ზნეობა ხომ არსებობს?**

„პირველი არხი“

**კოტე გამრეკელი**
*ყოფილი პარლამენტარი*



საარჩევნოდ **მერაბიშვილ-კეზერაშვილის** და **სააკაშვილის** მხრიდან **პროვოკაციებს არ გამოვრიცხავ.**

„ახალი თაობა“

**ირაკლი მელაშვილი**
*პოლიტექსპერტი*



სანამ საზოგადოების თავზე **სააკაშვილი დამოკლეს მახვილივით კიდია,** „ოცნებას“ ხელისუფლებაში დარჩენის დიდი შანსი აქვს. **ხაბეიშვილი** თურქეთში დარბის იმის საჩვენებლად, რომ წამლები და პროდუქტი იქ გაცილებით იაფია. ხალხმა მასზე უკეთ იცის ეს. **ხაბეიშვილმა ის უნდა გვითხრას, როგორ აპირებს კორუფციასთან ბრძოლას.**

„კვირის პალიტრა“

**ლევან ხაბეიშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე*



**ერთი კარაქის** ახლანდელ ფასად 2012 წელს შეიძენდით ორს, **სად წავიდა ერთი კარაქი?**

„პირველი არხი“

# გვარამიას გრამატნიკა

***სააკაშვილის კაცთმოძულე რეჟიმის პროკურორი, ძაღლთმოყვარე ნიკა გვარამია, რომელმაც რამდენიმე წლის წინათ საკუთარი ძაღლი საგვარეულო სასაფლაოზე, მამამისის — ანზორ გვარამიას გვერდით დამარხა, ქართველ ენათმეცნიერებს ურჩევს, ცხოველები „რა“ ჯგუფის არსებითი სახელებიდან „ვინ“ ჯგუფის არსებით სახელებში გადაიტანონ.***



**კაცთმოძულე და ძაღლთმოყვარე გვარამიამ** ეს გენიალური იდეა თავის ფეისბუქგვერდზე გაახმიანა, სადაც უკრაინაში დაბომბილი შენობის ნანგრევებში მოყოლილი კატების ფოტოები განათავსა და ტექსტი დაურთო:

> *„ომი ყველასთვის ომია. ქართული ენის გრამატიკის წესებით რომ მეხელმძღვანელა, სწორი იქნებოდა, დამეწერა —* ***„ომი ყველაფრისთვის ომია“.*** *ძვირფასო ქართველო ენათმეცნიერებო და ლინგვისტებო, გირჩევთ,* ***„რა“*** *ჯგუფის არსებითი სახელებიდან ამოიღოთ ცხოველები და* ***„ვინ“*** *ჯგუფის არსებით სახელებში გადაიტანოთ. ცივილიზებული სამყაროს ყველა ენაში ცხოველებს ისევე, როგორც ადამიანებს, დაესმით კითხვა* ***„ვინ“*** *და არა —* ***„რა“,*** *ქართულში კი — მხოლოდ* ***ადამიანს და ღმერთს. მშვენიერი ილუსტრაციაა ჩვენი აბუჩად ამგდები დამოკიდებულების ცხოველების მიმართ და, სრულიად დარწმუნებული ვარ, უნდა შეიცვალოს!“***

ე.ი. **კაცთმოძულე და ძაღლთმოყვარე გვარამიას** მიაჩნია, რომ ქართულმა ენამ ცხოველები ღმერთთან და ადამიანთან უნდა გაათანაბროს, ანუ, **თუ ქართულ ენაში ღმერთსა და ადამიანს კითხვა „ვინ“ დაესმის, ძაღლს, კატას, ძროხას, ღორს, მაჩვსა და სინდიოფალასაც „ვინ“ კითხვა უნდა დაესვას.**

თუ ქართველი ენათმეცნიერები **კაცთმოძულე და ძაღლთმოყვარე გვარამიას** რჩევას ყურად იღებენ და ცხოველებს **„რა“** ჯგუფის არსებითი სახელებიდან **„ვინ“** ჯგუფის არსებით სახელებში გადაიტანენ, მაშინ დღის წესრიგში დადგება ქართულ ენაზე დაწერილი არაერთი ისეთი ლექსის, მოთხრობის, რომანისა თუ სიმღერის ტექსტის გადაკეთების საკითხიც, სადაც ცხოველები **„რა“** ჯგუფის არსებით სახელებად გვევლინებიან. მაგალითად, თავიდან ბოლომდე იქნება გადასაკეთებელი

Nika Gvaramia
6 მარტი, 16:29-ზე ·

ომი ყველასთვის ომია

ქართული ენის გრამატიკის წესებით რო მეხელმძღვანელა, სწორი იქნებოდა დამეწერა, "ომი ყველაფრისთვის ომია"

ძვირფასო ქართველო ენათმეცნიერებო და ლინგვისტებო, გირჩევთ, რა ჯგუფის არსებითი სახელებიდან ამოიღოთ ცხოველები და ვინ ჯგუფის არსებით სახელებში გადაიტანოთ. ცივილიზებული სამყაროს ყველა ენაში ცხოველებს, ისევე როგორც ადამიანებს, დაესმით კითხვა "ვინ" და არა "რა". ქართულში კი მხოლოდ ადამიანს და ღმერთს. მშვენიერი ილუსტრაციაა ჩვენი აბუჩად ამგდები დამოკიდებულების ცხოველების მიმართ და, სრულიად დარწმუნებული ვარ, უნდა შეიცვალოს!

ps "რა" ჯგუფის არსებითი სახელია ახლა ამ ფოტოზე გამოსახული კატა?!



## კაცთმოძულე და ძაღლთმოყვარე გვარამიას მიაჩნია, რომ ქართულმა ენამ ცხოველები ღმერთთან და ადამიანთან უნდა გაათანაბროს!

ცნობილი ხალხური ლექსი **„რამ შეჭამა ვენახი“,** რომლის ზოგიერთი კუპლეტი, გვარამიასეული ლინგვისტური რეფორმის შედეგად, ასე უნდა ჩამოყალიბდეს:

მოდი, ვნახოთ ვენახი, **ვინ** შეჭამა ვენახი?
მიველ ვნახე ვენახი, თხამ შეჭამა ვენახი.
მოდი, ვნახოთ თხა, **ვინ** შეჭამა თხა?
მიველ ვნახე თხა, მგელმა ჭამა თხა...
მოდი, ვნახოთ მიწა, **ვინ** შეჭამა მიწა?
მიველ ვნახე მიწა, თაგვმა ჭამა მიწა...
მოდი, ვნახოთ თაგვი, **ვინ** შეჭამა თაგვი?
მიველ ვნახე თაგვი,
კატამ ჭამა თაგვი...




ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, **კაცთმოძულე და ძაღლთმოყვარე გვარამიას** წვეტიანი იდეები აწუხებს, მაგრამ ყველაზე მთავარი ის არის, რომ ცხოველების მიმართ მოჭარბებული სიყვარული და სენტიმენტები, რასაც იგი საჯარო სივრცეში — ტელევიზიითა თუ სოციალური ქსელებით — ხშირად აფიშირებს, სინამდვილეში, ფარისევლობა და ხელოვნური პოზაა; სხვანაირად თუ ვიტყვით, **ეს გვარამიას პოლიტიკური პიარის ნაწილი გახლავთ, აქაოდა — ჩემნაირი კეთილშობილი, გულისხმიერი და მზრუნველი ტიპი, რომელიც ცხოველებს ასე ეფოფინება, ხელისუფლებაში რომ მოვიდეს, ადამიანებს საერთოდ ზედ გადაჰყვება და მათი კეთილდღეობისათვის დღესა და ღამეს გაასწორებსო!**

სინამდვილეში, გვარამიას „ჰუმანიზმი“ და „კეთილშობილება“ ქართველ ხალხს ბევრჯერ აქვს ნანახი!

**ქართველ ხალხს გვარამია უნახავს** სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის იუსტიციის მინისტრისა და გენერალური პროკურორის მოადგილის ამპლუაში, როგორც სასამართლოს დამოუკიდებლობისა და სიტყვის თავისუფლების ერთ-ერთი მესაფლავე!

**ქართველ ხალხს გვარამია უნახავს** რეჟისორ-მემონტაჟის ამპლუაში, როცა 2007 წელს კლასიკური ბოლშევიკური პროპაგანდის სტილში შეთითხნა ვითომდა დოკუმენტური ფილ-

## კვირგვინოსნები

**ნათია ჩიქოვანი**
*Animal Project-ის თანადამფუძნებელი*



**დიდი ჯარიმაა იმ პირისთვის, ვინც ძაღლს ქუჩაში დატოვებს.** როდესაც ყველა ცხოველი რეგისტრირებული იქნება, პატრონის პოვნა გამარტივდება. **თუ ძაღლი დაიკარგება, მფლობელს ექნება 24 საათი, რათა შესაბამის ორგანოებს შეატყობინოს.** თუ არ განაცხადებს და ცხოველს რომელიმე უფლებამოსილი ორგანო იპოვის, **პატრონს დაეკისრება ჯარიმა, რომელიც ამჟამად 3000 ლარს შეადგენს.**

„კვირის პალიტრა“

**ნიკა გვარამია**
*პარტია „ახალის“ თანათავმჯდომარე*



**მე** და **ნიკა მელია** ვიქნებით **თანათავმჯდომარეები,** ხელმძღვანელი ვინ იქნება, ჯერ არ ვიცით.

„ახალი თაობა“

**ნიკა მელია**
*პარტია „ახალის“ თანათავმჯდომარე*



**ნომერი 4 და პარტია „ახალი“** აუცილებლად მოხსნის ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებას **პოლიტიკურ ჯადოს.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**გედევან ფოფხაძე**
*პოლიტიკური გაერთიანება „ახალი“ წევრი*



**ახლა საქართველო ნამდვილად არასწორ მხარესაა,** რაც ჩვენმა და ჩემმა შეცდომებმაც განაპირობა — **თუ ოპოზიციამ ძალები არ გავაერთიანეთ, ჩაკეტილ წრეს ვერ გავარღვევთ, მე ნიკა გვარამიას ვენდობი.**

„პალიტრანიუსი“

**ანა ნათელაძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



**ნაციონალური მოძრაობის კლონობა** არავის გამოსვლია, არ მაქვს მოლოდინი, რომ **ნიკა გვარამია და ნიკა მელია** ნაციონალურ მოძრაობას რამეს წაართმევენ.

„პირველი არხი“



**ნიკა ანზორის ძე გვარამია, რომელმაც მამამისის გვერდით ძაღლი დამარხა, ნიკა ანზორის ძე მელიას თავის გვერდით პოლიტიკურად დამარხავს!**

მი **„ნოემბრიდან ნოემბრამდე“,** რომელშიც მთელი ქართული ოპოზიცია კრემლის აგენტურად იყო გამოყვანილი!

**ქართველ ხალხს გვარამია უნახავს** ქალზე მოძალადის ამპლუაში, როცა პროკურატურის მიმდებარე ტერიტორიაზე გამართულ აქციაზე **მთვარისა ნავერიანს** გინება არ აკმარა და ხელითაც შეეხო!

**ქართველ ხალხს გვარამია უნახავს** ნაცრეჟიმის მიერ მიტაცებული „რუსთავი-2“-ისა და შემდეგ უკვე „მთავარი არხის“ გენერალური დირექტორის ამპლუაში, როცა პირდაპირ ეთერში ისტერიკებს აწყობდა და ქართველებს ეუბნებოდა — ჩაგი...სით მაგ თქვენს ღვინოსა და „ბორჯომშიო“!

**სხვათაშორის, ციხიდან გამოსვლის შემდეგ გვარამიამ ნერვიული და გაუწონასწორებელი რადიკალის იმიჯი უკუაგდო და ახლა დინჯი, დარბაისელი და კონსტრუქციული პოლიტიკოსის იმიჯი აქვს მორგებული, რაც მისი პოლიტტექნოლოგიური ხრიკი და პიარ-სტრატეგიის ნაწილია ისევე, როგორც ძაღლების, კატებისა და, ზოგადად, ცხოველთა სამყაროს მიმართ დეკლარირებული სიყვარული.**

რაც შეეხება იმას, რომ **ნიკა ანზორის ძე მელიასთან** დაწყვილებულმა **ნიკა ანზორის ძე გვარამიამ** თავის პარტიას **„ახალი“** დაარქვა, ეს, უბრალოდ, სასაცილოა, რადგან **არც მელიაში** და, მეტადრე, **არც გვარამიაში** ახალი და განსხვავებული არაფერია — ორივენი ძირძველი ნაცები არიან, რომლებსაც კიდევ ორი ცხოვრება არ ეყოფათ იმისათვის, რომ 5-ნომრიანი დამღა მოიშორონ. საბოლოო ჯამში კი, ეს ერთნაირსქესიანი პოლიტიკური ქორწინება იმით დასრულდება, რომ **ნიკა ანზორის ძე გვარამია,** რომელმაც მამამისის გვერდით ძაღლი დამარხა, **ნიკა ანზორის ძე მელიას** თავის გვერდით პოლიტიკურად დამარხავს!

დასასრულ, კვლავ **კაცთმოძულე და ძაღლთმოყვარე ნიკა გვარამიას** გრამატიკაზე, ანუ გრამატ**ნიკა**ზე ვთქვათ... ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ქართველმა ენათმეცნიერებმა გვარამიას რჩევა გაითვალისწინონ და ცხოველები **„რა“** ჯგუფის არსებითი სახელებიდან **„ვინ“** ჯგუფის არსებით სახელებში გადაიტანონ, მაგრამ

**ნამდვილად ლოგიკური და სამართლიანი იქნება, რომ ნიკა გვარამიასა და მისნაირ პოლიტიკურ ცხოველებს ქართულ ენაში „ვინ“ კითხვის მაგივრად „რა“ კითხვა დაესმოდეთ!**

თუ ქართულ ენაში ეს რეფორმა განხორციელდება, მას **კაცთმოძულე და ძაღლთმოყვარე** ნიკას პატივსაცემად გვარამიას გრამატ**ნიკა** უნდა ეწოდოს!

***ჯაბა ხუბუა***



***წინა კვირას აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემა „თავისუფალ სივრცეში“ ტელეჟურნალისტმა ვახო ხუზმიაშვილმა პარტია „ახალის“ წევრი მაია კოპალეიშვილი მიიწვია...***



პარტია „ახალის“ სახეები და ზურაბ ადეიშვილის ძველი მოადგილეები — მაია კოპალეიშვილი და ნიკა გვარამია

# მაია, ტვაია

მკითხველს აქვე შევახსენებთ, რომ **პარტია „ახალი“,** სულ ცოტა ხნის წინათ სააკაშვილის ორმა რაიხსმარშალმა **ნიკა მელიამ და ნიკუტა გვარამიამ** დააფუძნეს. როგორც ბოკერიას ცოლმა თამარ ჩერგოლეიშვილმა განაცხადა, „ახალში“ უკვე დაწყებულია „ეგოების“ ბრძოლა და ნიკუტა გვარამია ნიკანორ მელიას ეუფროსება — **მიშას დროს თანამდებობებზე მე დაგნიშნეო!**

ცოტა უფრო ხალხისთვის გასაგებ ენაზე თუ ვიტყვით, **პარტია „ახალში“** ქათმების ბრიგადირმა **ნიკუტა გვარამიამ** ნიკანორ მელიაზე დიქტატურა დაამყარა, რაც ერთ მშვენიერ დღეს შესაძლოა, დიდი უბედურებით დასრულდეს და **აჯანყებულმა მელიამ** ქათამს ზუსტად ის დამართოს, რაც ავადმყოფი **ლაშა ბუღათურიძის** მოთხრობაში თამარ მეფის პირველმა ქმარმა გიორგი რუსმა კრუხს უქნა!

მოკლედ, რა მოხდება პარტია „ახალში“ ნაკლებად საინტერესოა იმასთან შედარებით, რაც ამ ღვთისპირისგან შერჩვენებულმა ქალმა, წყეული ადეიშვილის მოადგილე **მაია კოპალეიშვილმა** ჟურნალისტ **ვახო ხუზმიაშვილთან** საუბრისას განაცხადა.

**ხუზმიაშვილმა კოპალეიშვილს ჰკითხა — როცა თქვენ ზურაბ ადეიშვილის მოადგილე იყავით, მაშინ ხალხს მიცვალებულებზე „ასკოჩავდნენ“ და მორგში ასე ამყოფებდნენ... პოლიტიკაში რომ მოხვედით, ამის გამო უხერხულობა გექმნებათ თუ არაო?**

ამ მართლაცდა უსირცხვილო ქალმა, რომელსაც სინდისის ნატამალი არ გააჩნია, ნაცვლად იმისა, თავზე ნაცარი დაეყარა და ეთქვა — ეს რა უბედურება და ეროვნული ტრაგედია დატრიალდაო! — უტიფრად მოიღერა ყელი და, როგორც სალომე ზურაბიშვილის ღალატისა და დანაშაულის გამართლებას ცდილობდა საკონსტიტუციო სასამართლოში, სწორედ ისეთი სიჯიუტით მიმართა ჟურნალისტს — **„თქვენ ფიქრობთ, რომ უნდა შემექმნას უხერხულობა? მე, როგორც საჯარო მოხელე, ვასრულებდი ჩემს მოვალეობას მაღალ დონეზე!“**

ეს პასუხი არაფრით განსხვავდება იმ ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკების ზედამხედველებისა და მწამებლების პასუხებისგან, რომლებიც 1945-1946 წლებში ნიურნბერგის საერთაშორისო სასამართლომ ეშაფოტზე აიყვანა და ზოგს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა, ზოგსაც — ოცი წლით ციხე და ჩამოხრჩობა!

დიახ, როცა ფაშისტი მწამებლები სასამართლოს წინაშე გამოჰყავდათ, ყველა ერთსა და იმავე პასუხს იძლეოდა — **ჩვენ პირნათლად ვასრულებდით ბრძანებას!**

ასე იყო **მაია კოპალეიშვილიც — ასრულებდა სააკაშვილისა და ადეიშვილის ბრძანებას და ცოცხალ პატიმრებს ხან მიცვალებულებზე აბამდა, ხან ნაცემ და ნაგვემ მამაკაცებს კოხტა კოდუასა და თემურ უზირიას აუპატიურებინებდა!**

**კოპალეიშვილისეული** „მარგალიტები“ ჟურნალისტთან საუბრისას მხოლოდ ზემოთქმულით არ დასრულებულა:

**„მე, მანამდე არ ვიყავი პოლიტიკოსი, პასუხს ვაგებ და შემიძლია, გიპასუხოთ ამის შემდგომ არსებულ მდგომარეობაზე; მანამდე ვინ რა თქვა, რომელმა პოლიტიკოსმა, არც სახელისუფლებოდან და არც თუნდაც ოპოზიციიდან, დაინტერესებული არ ვიყავი და არ ვუსმენდი არცერთს. ამის შემდეგ იძულებული ვარ, თორემ ინტერესი არც ახლა არ მექნება...“.**

ანუ როგორც ეს უსინდისო და უშუბლისძარღვო არსება მიიჩნევს, **როცა ადეიშვილის მოადგილე იყო და ხალხს ციხეებში აუპატიურებდნენ და აწამებდნენ, მაშინ პოლიტიკოსის სტატუსი არ ჰქონდა და ამის გამო პასუხს ვერაფერზე აგებს, მაგრამ ახლა, როცა პარტია „ახალში“ თავი შეყო, უკვე პოლიტიკოსია და უნდა-არ უნდა, ყველაფერზეა პასუხისმგებელი!**

მოკლედ, ქალი იუსტიციის მინისტრის მოადგილე იყო და ჟურნალისტს უმტკიცებს, პოლიტიკაში არ ვიყავიო! **ეს ის შემთხვევაა, როცა კოპალეიშვილის უტიფრობაზე და უსინდისობაზე თვით გებელსიც კი გადაიხარხარებდა.** მოკლედ, ქალმა არ იცის, რომ იუსტიციის მინისტრი, შინაგან საქმეთა მინისტრი, უკლებლივ ყველა მინისტრი და მათი მოადგილეები პოლიტიკური თანამდებობის პირები არიან, რომლებიც სახელმწიფო პოლიტიკას ქმნიან.

აი, ასეთი ქალი არის პროფესორი და სტუდენტებს უნივერსიტეტში ლექციებს უკითხავს!

**იმიტომაც არის ქართული განათლების საქმე აწყობილი.**

მაია კოპალეიშვილის მსგავსი კბილებდაკრეჭილი მწამებლები და კანიბალები რომ პროფესორის მანტიას მოისხამენ და ლექციებს წაიკითხავენ, ეს დაახლოებით იმას ნიშნავს, გიგა ბოკერიამ ბერის ანაფორა ჩაიცვას და აღსარებების ჩაბარება დაიწყოს შიომღვიმის მონასტერში!

**მაია კოპალეიშვილის მსგავსი კბილებდაკრეჭილი კანიბალები რომ პროფესორის მანტიას მოისხამენ და ლექციებს წაიკითხავენ, ეს დაახლოებით იმას ნიშნავს, გიგა ბოკერიამ ბერის ანაფორა ჩაიცვას და აღსარებების ჩაბარება დაიწყოს შიომღვიმის მონასტერში!**

**საქართველოს ისტორიაში მაია წყნეთელი დარჩა, მაგრამ მაია კოპალეიშვილიც დარჩება, როგორც ლეშიჭამია და მწამებელი, რომელსაც ვერც დრომ და ვერც სინდის-ნამუსმა ვერაფერი ასწავლა, რადგან ასეთი რამ არასოდეს ჰქონია!**

**გულდასაწყვეტი ის არის, რომ ეს ულმერთო და წყეული ქალი ისეთ მშვენიერ ქართულ გვარს აფუჭებს, რომელიც უძველეს ქართულ ფესვებთან და ქართულ წარმართულ პანთეონთან არის დაკავშირებული.**

ვფიქრობთ, კოპალეიშვილის ნაცვლად მაიას „ტვაია“ უფრო შეეფერება!

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**დიმიტრი ხუნდაძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**გვარამია და მელია** ძველი სახელებითა და ნეგატიური წარსულით „ახალი“ პოლიტიკის დაწყებას აპირებენ, მაგრამ ხალხმა იცის, **„არ გათეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა“.** „პირველი არხი“

**ალექსანდრე რაქვიაშვილი**
*„გირჩის“ წევრი*



**გვარამიას** გუნდი **უცნაური აჯაფსანდალი** გამოდის. „ახალი თაობა“

**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*



**ორი ნიკა, ორი „მამალი ნაცი“** ერთიანდება **4 ნომრის ქვეშ** და ერქმევათ **„ახალი ნაცები“** — ეს პირდაპირ ურტყამს ჩემს **„ხაბეს“,** „კარენოი“ ნაცებს, იმიტომ, რომ **მათი ხმები მიაქვთ.** „ინტერპრესნიუსი“

**თორნიკე შარაშენიძე**
*ანალიტიკოსი*



ახლა ოპოზიციაში ვინმე იმის იმედად თუ არის, რომ **„ოცნება“ გააყალბებს არჩევნებს, ამერიკას და ევროპას აღაშფოთებს, მერე ივანიშვილს სანქციებს დაადებენ,** მწარედ ცდებიან. „ახალი თაობა“

**გიული ალასანია**
*მიხეილ სააკაშვილის დედა*



**მიხეილ სააკაშვილის** არჩევანი არის **ხუთიანი,** არც — **ოთხიანისკენ,** არც **ექვსიანისკენ** მისი გადახრა არ იქნება. „ახალი თაობა“

**ლევან ბეჟაშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



**პუტინის** დავალებით, **ივანიშვილის** რეჟიმს **მიხეილ სააკაშვილი** პოლიტპატიმრის სტატუსით, **არაადამიანურ პირობებში ჰყავს.** „აიპრესი“

*დასაწყისი იხ. „ა–დ“. 2023 წლის №54, 2024 წლის №1–12*

***ჟურნალისტი მაყვალა ბერიანიძე აცხადებს, რომ ადეიშვილის შესახებ გავრცელებულია ხმები, თითქოს სააკაშვილის დროს მთელი ნაცმოძრაობის სახელისუფლებო ვერტიკალი მასზე იდგა, ბლეფი და ყურით მოთრეული ზღაპარია.***

# მაყვალა ბერიანიძე:

# მაინტერესებს, მოსამართლეები რატომ დუმან და ბრალდებულ სააკაშვილს არ ეკითხებიან — რა ტიპის ფსიქოტრონული იარაღი გამოიყენეს 2007 წლის 7 ნოემბერს ხალხის წინააღმდეგ?



**— ამბობენ, რომ ზურაბ ადეიშვილს, რომლის გარშემოც ბოლო დროს კიდევ ერთი სკანდალი აგორდა, სააკაშვილი ხშირად შეურაცხყოფდა.**

— ადეიშვილი იყო სააკაშვილის მონა და ყველაფერი, რასაც კი სჩადიოდა, შეთანხმებული იყო სწორედ სააკაშვილთან! უფრო მეტიც, იგი ზურაბ ადეიშვილის შესახებ ხალხში ხმამაღლა ლაპარაკობდა — **ისეთი დეგენერატია, რამე საბუთს რომ გავატან, თან ვანო მერაბიშვილსაც ვაყოლებ, გზაში რომ არ დაკარგოს და შარში არ გამხვიოსო!** ზურაბ ადეიშვილი ტელევიზიებმა აქციეს გმირად ზუსტად ისე, როგორც **ედუარდ კოკოითი,** რომელიც სინამდვილეში არავინ იყო. მოკლედ, **ზურაბ ადეიშვილიც** არავინ ყოფილა, განსხვავებით მამამისისგან, რომელიც სოფელში ნიჭიერი და მშრომელი კაცი გახლდათ და თავის შვილს არ აპატია ის, რაც მან ჩაიდინა!

**— ზურაბ ადეიშვილმა ბიჭობაში რამე ჩაიდინა?**

— არ დავკონკრეტდები და არ მოვყვები იმას, თუ რა შეემთხვა სოფელში ყმაწვილ ზურაბ ადეიშვილს, მაგრამ ფაქტია — მამამ შვილს ეს საქციელი არ აპატია და მომხდარის გამო სახლიდან გამოაგდო! შესაძლოა, ახლა მის ოჯახს მოსწონს მდიდარი და გავლენიანი ზურაბ ადეიშვილი, მაგრამ ეს ჩემი საქმე არ არის. მე მხოლოდ ხელისუფლების გასაგონად დავსვამ შეკითხვას — **კი მაგრამ, ადეიშვილი მაინცდამაინც გერმანიის ბუნდესტაგში უნდა დაგენახათ, რათა გაგხსენებოდათ, რომ ინტერპოლის ე.წ. „წითელი ცირკულარიდან“ დიდი ხანია, ამოღებულია?** იქნებ არც ის იცით, მანამდე უნგრეთში ვინ შეიფარა და რატომ შეიფარა? აღარაფერს ვამბობ იმის შესახებ, რომ **გია ხუხაშვილმა** ერთხელ სკანდალური რამ განაცხადა — **ბიძინა ივანიშვილს ზურაბ ადეიშვილი ისე მოსწონდა, საქართველოს პრემიერ-მინისტრადაც კი უნდოდა მისი დანიშვნაო!**

**— ახლა ამაზე ატყდება ერთი ამბავი!**

— ნამდვილად არ ვიცი, ბიძინა ივანიშვილს უნდოდა თუ არა **ადეიშვილის** გაპრემიერება და შეუთანხმა თუ არა ეს საკითხი თავის ნათესავ **გია ხუხაშვილს,** მაგრამ ფაქტია — **ხუხაშვილი ამას ამბობდა!** კი მაგრამ, ბიძინას ზურაბ ადეიშვილი როგორ უნდოდა პრემიერ-მინისტრად, როცა ხელისუფლებაში თვითონ მოდიოდა? **ამიტომ ხუხაშვილმა ან დაანებოს თავი ასეთ აბდაუბდა ლაპარაკს, ანდა თუ რამე იცის, ბოლომდე თქვას!** საერთოდ, რომ იცოდეთ, 2003 წლის ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ მედიამენეჯერი და ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი გახლდათ **ეროსი კიწმარიშვილი,** რომელიც მთავარ რევოლუციონერთა ხუთეულში შედიოდა. ეროსი კიწმარიშვილი მოკლეს, მოიშორეს და მისი მკვლელობა დღემდე გამოძიებული არ არის... იცის ვინმემ, ეროსი რატომ მოკლეს?

**— როგორც ჩემთვის ცნობილია, ეროსი კიწმარიშვილი სააკაშვილს 20 მილიონ დოლარს ედავებოდა — ჩემი ფული მომეციო! არ გამოვრიცხავ, კიწმარიშვილი ამ ფულის გამო მოეკლათ...**

— გარდა ამისა, ეროსი კიწმარიშვილმა გამოსცა თავისი დღიურები, რომელშიც აღწერილია, თუ როგორ ექცეოდა სააკაშვილი **ზურაბ ადეიშვილს.** როგორც ეროსი კიწმარიშვილი იხსენებს, ერთხელ სააკაშვილმა ზურაბ ადეიშვილი წრუწუნასავით დიდი სკამის ქვეშ შეაძვრინა, მერე ამ სკამზე თავად დაჯდა და უთხრა — **იჯექი და იწრუწუნე ახლა მანდ.** ჰოლანდიაში გეი-სასტუმროში რომ გაცხოვრე, იმაზე ყველაფერს ვიტყვიო! ამ ინციდენტს რომ იხსენებს, მერე კიწმარიშვილი რას წერს, იცით? სააკაშვილი ზურაბ ადეიშვილს ასე სასტიკად რომ ექცეოდა, შესაბამისად, ზურაბ ადეიშვილიც არაადამიანურად ექცეოდა თავის თანამშრომლებს, როცა თანამდებობაზე დასვესო! **მიმაჩნია, რომ ეროსი კიწმარიშვილი სწორედ იმ დღიურებს შეეწირა, სადაც არამარტო ზურაბ ადეიშვილზე, არამედ სააკაშვილსა და არაერთ გავლენიან პიროვნებაზე დატოვა გარკვეული ინფორმაციები.**

**— თქვენ ფიქრობთ, რომ ეროსი კიწმარიშვილის მკვლელობა ზურაბ ადეიშვილისა და სააკაშვილის შურისძიება იყო?**

— არაფერს ვამტკიცებ, მაგრამ მიმაჩნია, რომ **ეროსი კიწმარიშვილი** შურისძიების მსხვერპლია, რომლის მკვლელობასაც არ იძიებენ! ფაქტია, რომ ჩვენი საზოგადოება დაეცა... სამშობლო ქართველებს საბჭოთა კავშირში უფრო უყვარდათ, ვიდრე ე.წ. „თავისუფალ“ და „დამოუკიდებელ“ საქართველოში! აი, მაგალითად, შესაძლოა, ბევრმა არ იცის, როცა კიტოვანი და თავისი ე.წ. გვარდია შავნაბადაზე დაბანაკდნენ, სადაც კომკავშირული ქალაქი იყო, მირზა გელოვანის ძეგლს ტყვიები დაუშინეს და თვალები დათხარეს. შესანიშნავი პოეტი ქართველებმა მეორედ მოკლეს. როცა ჩვენი ერთი მეგობარი **ნარგიზა ლომთაძე** კიტოვანისა და მისი „გვარდიელების“ დაშოშმინებას



თბილისი, 2007 წლის 7 ნოემბერი



დამოუკიდებელი და ზეპარტიული გაზეთი

ჩვენ მათზე ჰკვიანები ვართ, ვისაც ვერჩევთ! მიხეილ ჯავახიშვილი

ასავალ დასავალი

WWW.ASAVALI.GE

2007 წლის 3-9 დეკემბერი

N 49 (691)

ფასი 1 ლარი

7 ნოემბერს თბილისში ტვინზე ზემოქმედების ახალი ფსიქოტრონული იარაღი გამოსცადეს!

16

მაიმონიდის სახელობის საერთაშორისო ებრაული აკადემიის ფსიქიატრიის კათედრის დოცენტის **სენსაციური დასკვნა**

## კვირგვინოსნები

**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*



**ადეიშვილს** კი აცხადებენ დამნაშავედ, მაგრამ **ადეიშვილის ბარტყები,** მთელი მისი შექმნილი სისტემა, **კოლექტიურ მურუსიძეს** რომ ვუწოდებთ, მისი გამოზრდილი მოსამართლეებით და პროკურორებით, ახლა ამ ხელისუფლების ბურჯი არ არის? **ისინი მართავენ დღეს სისტემას.**

„კვირის პალიტრა“

**მამუკა გამყრელიძე**
*„ევროპული დემოკრატების“ გენერალური მდივანი*



**ივანიშვილი** არჩევნების შემდეგ **პრეზიდენტად მოგვევლინება. კობახიძემ** რიტორიკა შეცვალა. თურმე, სხვანაირად მუშაობაც შეუძლია. **„ქართული ოცნება“ მუდმივად პლუსებს იწერს, ოპოზიცია კი ბუზებს ითვლის.**

„ახალი თაობა“

**ალეკო ელისაშვილი**
*„მოქალაქეების“ ლიდერი, პარლამენტარი*



ძალიან დავაშავე, როცა **ფანჩატურში ათასი რჯულის, პოლიტიკური გემოვნების ხალხთან ვიზილებოდი,** რა ჯანდაბა მინდოდა, იმავეს გამეორებას არ ვაპირებ.

„პირველი არხი“

# „როგორც ეროსი კიწმარიშვილი იხსენებს,

**ერთხელ სააკაშვილმა ზურაბ ადეიშვილი წრუწუნასავით დიდი სკამის ქვეშ შეაძვრინა, მერე ამ სკამზე თავად დაჯდა და უთხრა — იჯექი და იწრუწუნე ახლა მანდო!“**

შეეცადა — **ეს ხომ ქართველი პოეტი მირზა გელოვანია და რას აკეთებთო?!** — იმათ უპასუხეს — ჩექმები აცვია და არ გვევასებაო! უფრო მეტსაც გეტყვით — ჟიული შარტავას საფლავზე მეტალისგან დამზადებული ფესვები იყო, რომელიც ბარელიეფიდან დაბლა ჩამოდიოდა. 2006 წლის 31 მაისს ეს ფესვები მოიპარეს. ჟიული შარტავამ ეკალ-ბარდებსა და ხრიოკზე, სადაც გველების გარდა არაფერი იყო, უმშვენიერესი ახალგაზრდული ქალაქი ააშენა. ზაარბრიუკენის გუბერნატორი რომ ჩამოვიდა, კინაღამ გაგიჟდა, ქალაქი ისე მოეწონა... მერე სააკაშვილს ჰქონდა იქ თავისი ბუნაგი მოწყობილი, ხოლო ახლა ანტიტერორისტული ცენტრია განთავსებული. **მივმართავ ხელისუფლებას — შავნაბადა — ახალგაზრდული ქალაქი დაუბრუნეთ ახალგაზრდობას, ხოლო იმ გონებაარეულ და ნარკოტიკებით გაბრუებულ ბავშვებს, რომლებიც 2023 წლის 7-8 მარტს რუსთაველის პროსპექტზე პოლიციელებს ცოცხლად წვავდნენ და პარლამენტში მინებს ამტვრევდნენ, სერიოზულად მიხედეთ!** არ შეიძლება, სახელმწიფომ იგნორირება გაუკეთოს იმას, რომ **სალომე ზურაბიშვილმა** იმ საშინელი ამბიდან ერთ წლის შემდეგ საპრეზიდენტო რეზიდენციაში დიდი პატივით მიიღო ისინი, ვინც 7-8 მარტს საქართველოს გადაწვას უპირებდა!

**— სააკაშვილის სასამართლო პროცესები, რომელიც 7 ნოემბრის საქმეზე გრძელდება, ოპოზიციის მიერ სალღიცინო თემად იქცა. რას იტყვით?**

— 2007 წლის 3 დეკემბერს „ასავალ-დასავალმა“ გამოაქვეყნა საერთაშორისო ებრაული აკადემიის ფსიქიატრიის კათედრის სენსაციური დასკვნა, რომლის თანახმადაც, 2007 წლის 7 ნოემბერს თბილისში მომიტინგეებზე გონებაზე ზემოქმედების ახალი ფსიქოტრონული იარაღი გამოსცადეს! მაინტერესებს, მოსამართლეები რატომ დუმან და ბრალდებულ სააკაშვილს არ ეკითხებიან — რა ტიპის ფსიქოტრონული იარაღი გამოიყენეს 2007 წლის 7 ნოემბერს ხალხის წინააღმდეგ? **როგორც დაიწერა, მაშინ სააკაშვილს ამერიკელებმა სპეციალურად მიაწოდეს ე.წ. აკუსტიკური ზარბაზნები, რომელთა გამოცდაც ჯერ არ დამთავრებულა და ერაყში მოთარეშეთა წინააღმდეგ გამოიყენეს!** მეცნიერებმა გამოიკვლიეს 2007 წლის 7 ნოემბერს სააკაშვილის მიერ დარბეული ქართველები და მათ შესახებ დადეს ასეთი დასკვნა — *„შეცვლილი ფსიქიკური მდგომარეობა, მთელ სხეულში შემზარავი შიშის ტალღა, გარემოს აღქმა, როგორც არაბუნებრივად უსიცოცხლო და მკვდარი, დაუძლურების შეგრძნება, სადღაც გაქცევის სურვილი, ხელ-ფეხის უაზროდ ქნევა, გაუაზრებელი მოქმედება, მეხსიერების სრული დაკარგვა საათნახევრიდან ოთხსაათნახევრის განმავლობაში და განცდებთან შებრძოლების შეუძლებლობა...“* აი, ასეთი ხალხი წაიყვანეს 2008 წლის 5 იანვრის არჩევნებზე, რომელიც ტოტალურად გაყალბდა და ასეთ ხალხს აარჩევინეს სააკაშვილი! საერთაშორისო ექსპერტების დასკვნით, მაშინ სააკაშვილმა და მისმა ხროვამ ხალხის წინააღმდეგ გამოიყენა **„ინფორმაციულ-სუგესტური მეთოდების ჯგუფში შემავალი ფსიქოტექნოლოგიები, კერძოდ, აუდიო-სუგედაცია!“** ამის შედეგები სულ მალე გამოჩნდა.



**— რას გულისხმობთ?**

— იმავე მეცნიერთა დასკვნით, *„ახალი იარაღი იწვევდა ემოციურ რყევებს, ადამიანი კარგავდა ჩვეულებრივი ცხოვრების ორიენტირებს, იწვევდა ფასეულობათა გადაფასებას და ბრძანებათა უსიტყვოდ შესრულებას“.* თქვენ რა გგონიათ, **ზურაბ ადეიშვილი** ბრძანებების უსიტყვო შემსრულებელი არ იყო? სწორედ აქედან გამომდინარე, ვეკითხები ამ ხელისუფლებას — სააკაშვილის სასამართლო პროცესებზე, რომელიც სწორედ 7 ნოემბრის დარბევას ეხება და ახლა მიმდინარეობს, კიდევ ორი კაცის ცემაზე უნდა ილაპარაკოთ და ზემოხსენებული დასკვნები არ უნდა გამოააშკარაოთ?

ახლა მთელი საქართველოს გასაგონად ერთ სკანდალურ ინფორმაციასაც გავახმაურებ: ცხინვალში, საოკუპაციო ხაზს იქით, ჩემს თაობას დღემდე შემოგვრჩა ძველი მეგობრები, რომლებიც ღირსეული ადამიანებიც არიან და შვილებიც ღირსეული ჰყავთ. როცა სოფელ ატოცთან ზურაბ-გირჩი ჯაფარიძემ და მისმა სექტანტებმა შარვლები ჩაიხადეს და შიშველი უკანალები რუსებს მიუშვირეს, ოსი ბიჭები დაიძრნენ, რათა ამ შარვალჩახდილი გარეწრებისთვის სწორედ ის ექნათ, რასაც ნაძირალა სააკაშვილის ზონდერგამაუპატიურებლები საცოდავ პატიმრებს უშვრებოდნენ! იმ ჩემი მეგობრის შვილი, თურმე, შუა გზიდან უკან მიბრუნებულა, სხვებიც მიუბრუნებია და დედამისისთვის უთქვამს — ისინი რისი ღირსიც იყვნენ, სწორედ იმის გასაკეთებლად ვიყავით წასული, მაგრამ მოვბრუნდით, რადგან თქვენი თაობის მეგობრობას ქართველებთან დიდად ვაფასებთ, თანაც ჩვენ და ქართველებმა მაინც ერთად უნდა ვიცხოვროთო!



**„ადეიშვილი იყო სააკაშვილის მონა და ყველაფერი, რასაც კი სჩადიოდა, შეთანხმებული იყო სწორედ სააკაშვილთან!“**

**„არ დავკონკრეტდები და არ მოვყვები იმას, თუ რა შეემთხვა სოფელში ყმაწვილ ზურაბ ადეიშვილს, მაგრამ ფაქტია – მამამ შვილს ეს საქციელი არ აპატია და მომხდარის გამო სახლიდან გამოაგდო!“**

**მე პოლიტიკოსების იმედი არა მაქვს, მაგრამ, ვინც საოკუპაციო ხაზის იქით და აქეთ ასე აზროვნებს, სწორედ ისინი მეიმედება!**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

## კვირგვინოსნები

**ზაალ ანჯაფარიძე**
*ანალიტიკოსი*



წამოსულია შეკვეთა, რომ საქართველოში უნდა იყოს **მრავალპარტიული პარლამენტი და კოალიციური დასავლური მთავრობა. ზურაბიშვილი** გვევლინება ამ შეკვეთის შემსრულებლად. თუმცა, ამ ყველაფერს განსაზღვრავს არა პრეზიდენტი ან მისი „პატრონი“, არამედ — **საქართველოს ამომრჩეველი.**

„საერთო გაზეთი“

**იგორ კვესელავა**
*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*



**საქართველოს გაერთიანების იდეა აფხაზეთიდან მოდის.** ის აფხაზეთის დახმარებით გახდა ერთიანი სახელმწიფო. **ახლა რატომ არ უნდა დავდგეთ ერთად?!** შეიქმნას კონფედერაცია და იჯდეს იქ აფხაზეთის წარმომადგენელი. ამას აპირებდა **გამსახურდია.** მაგალითად, **მე მომხრე ვარ, აფხაზი პრეზიდენტი გვყავდეს, ოღონდ საქართველო ერთიანი იყოს.**

„საერთო გაზეთი“

**გიორგი გახარია**
*პარტია „საქართველოსთვის“ ლიდერი*



სამწუხაროდ, ჩემი ბრალიც არის, რომ **დღეს საქართველოში ფუნქციონირებს ერთადერთი ინსტიტუტი** და ამ ინსტიტუტს ჰქვია **ივანიშვილი.**

„ახალი თაობა“

**კახა მიქაია**
*პოლიტიკოსი*



**სააკაშვილის გაშვება** უნდათ „ქოცებს“, რადგან **მიშას გაშვებით** „ქართული ოცნება“ კიდევ ერთხელ მოიგებს არჩევნებს.

„ალია“

**ლევან ჩხარტიშვილი**
*ლეიბორისტული პარტიის წევრი*



**მდიდრების არჩევნები უნდა დავასრულოთ!**

„ახალი თაობა“

## ლალი მოროშკინა:

# რაც უფრო მეტი თვითმფრინავი იფრენს საქართველოსა და რუსეთს შორის, მით უფრო კარგი იქნება ჩვენი ქვეყნისათვის!

***ზუსტად მაშინ, როდესაც სოჭში მსოფლიო ახალგაზრდობის საერთაშორისო ფესტივალი პომპეზურად ჩატარდა და იქიდან დაბრუნებული ლალი მოროშკინა ისტორიულ შანსებზე საუბრობდა, უკრაინაში მოღვაწე ეთნიკურად ქართველმა დავით არახამიამ საქართველოს ხელისუფლებასთან უსტარი აფრინა — პრეტენზიებს შორის იყო მიხეილ სააკაშვილის განთავისუფლება და რუსეთთან პირდაპირი ფრენების შეწყვეტა. ჟურნალისტი და პოლიტოლოგი ლალი მოროშკინა კიდევ ერთხელ იხსენებს სოჭის ქართველებთან შეხვედრას და აცხადებს, რაც უფრო მეტად გაღრმავდება ეს ურთიერთობები, მით მეტად ჩაეცემა გულში ლახვარი საქართველოს მტრებს:***



— სიმართლე გითხრათ, ველოდი მსგავს რეაქციებს, მაგრამ ჩემი სოჭში მოგზაურობით ასე თუ გამწარდებოდა **არახამია,** ნამდვილად არ მეგონა. უფრო მეტიც, როდესაც სოჭში დაბადებულ არახამიას ქართველების პომპეზური დახვედრის შესახებ მოახსენეს, ყველაფერს ისროდა, რაც ხელში მოხვდა.

**— თქვენი ინფორმაციით, რა კავშირი აქვს დღეს არახამიას სოჭთან?**

— **არახამია** ძალიან ცუდი სახელით არის სოჭიდან გაგდებული და იქ აღარ ჩაესვლება. ყველამ კარგად იცის, დიჯეი არახამია რა საქმითაც იყო დაკავებული. მისი პირდაპირი მტრები არიან ისინი, ვინც მე მიმასპინძლა. ყოველთვის ჰქონდა პროტესტი მათ მიმართ, ვინც ქართველობას ინარჩუნებდა. სპეციალურად არ ისწავლა ქართული, არ იცავდა ტრადიციებს და არ დადიოდა ეკლესიაში. თავგამოდებით იბრძოდა იმისთვის, რომ სოჭში არანაირი ქართულის ჭაჭანება არ ყოფილიყო.

სოჭის ქართველობა, მათ შორის, ის ადამიანიც, რომელიც ამერიკაში ძალიან დიდი გავლენით სარგებლობს, ერთხმად აღნიშნავდა, რომ ეს არის დესტრუქციული ადამიანი, რომელმაც თავიდან ბოლომდე გადახაზა სოჭის ქართველობა და დღემდე ცდილობს ყველაფრის გაფუჭებას. არავინ იფიქროს, რომ ამ კაცის ნაბოდვარი რამედ ღირს. როგორც არასდროს, ისეთი შეკრულები არიან დღეს იქაური ქართველები და ელოდებიან იმ დღეს, როცა დედასამშობლოს ჩაეხუტებიან. ვერ წარმოიდგენთ, როგორი საოცარი შეხვედრა მოგვიწყვეს, თუმცა, საშინელი გულისწყრომა აქვთ **სალომე ზურაბიშვილის** მიმართ.

**— საქართველოს პრეზიდენტთან რა პრეტენზიები აქვთ?**

— მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ენას ბრწყინვალედ ფლობენ და შესანიშნავად იციან საქართველოს ისტორია, სალომე ზურაბიშვილმა არავის მისცა მოქალაქეობა! არადა, ესენი ის ადამიანები არიან, რომლებმაც ძლივს დააღწიეს თავი აფხაზეთის ომს და უდიდესი რისკის ფასად მოახერხეს გუდაუთიდან და ლესელიძიდან სოჭისთვის თავის შეფარება. მოგეხსენებათ, განთიადი და ლესელიძე პირდაპირ სოჭზეა მიბმული. რახან იქით წახვედით, ამიტომ არ მოგცემთ მოქალაქეობასო. ამ ქალს ან რუკა არა აქვს ნანახი, ან სინდის-ნამუსი არ გააჩნია!

როდესაც **არახამიას** პრეტენზიები გაისმა, სოჭის ქართველობამ ზარი მომაწია, ხომ არაფერი გაფუჭდება ჩვენთან ურთიერთობაშიო? თქვენი გაზეთის საშუალებითაც ვეტყვი მათ, **საქართველოს პრემიერი ირაკლი კობახიძე არახამიას მსგავს ადამიანებს პასუხის ღირსადაც არ აგდებს და ძალიან სწორადაც იქცევა!** დიახ, ხელები შორს სოჭის ქართველობიდან! თვითონ კი გადარუსდა, მაგრამ სოჭის ქართველობას, რომელიც ზედმიწევნით იცავს ქართულ ტრადიციებს, ვერასოდეს გადაარუსებს! **რაც მეტი თვითმფრინავი იფრენს საქართველოსა და რუსეთს შორის, მით უფრო კარგი იქნება ჩვენი ქვეყნისათვის!**

როგორ შეიძლება, ვიღაც არახამიამ სამშობლოს მიმართ დამოკიდებულება და სიყვარული შეაცვლევინოს ცნობილ თამადას, ბატონ **ჯუმბერ უბილავას,** რომელიც, შეიძლება ითქვას, რომ სოჭის ხევისბერია!? როგორ შეიძლება, მისი მუქარებითა და პრეტენზიებით შეაშინოს **ლევან ჯიჯელავა,** ქართული სათვისტომოს ახალგაზრდული ფრთის ხელმძღვანელი, საოცარი, გულანთებული ახალგაზრდა?! რა უნდა მოიმოქმედოს ისეთი, რომ სამშობლოს სიყვარულზე უარი ათქმევინოს **სიმონ უჩაძეს,** რომელიც უკვე 30 წელია, სათავეში უდგას ჩვენს სათვისტომოს და რომლის დამსახურებაც არის იმაში, რომ სასაფლაოებზე ქართული წარწერებია?

სოჭი რუსეთის ფედერალური მიწაა და არ არის ადვილი იქ ობელისკის დადგმა ქართული წარწერით. რახან სოჭში ეს შესაძლებელი გახდა, ყველასათვის ნათელი უნდა იყოს, რომ სოჭის ქართველობას ძალიან დიდ პატივს სცემენ. დიახ, იქ დიდი საქართველოა, სადაც ჰყავთ ქართველებით დაკომპლექტებული საფეხბურთო გუნდი „ივერია“, რომლის 4 წევრიც უკვე საქართველოს ნაკრებში გადმოვიდა. **მამა ამირანი** ყოველ კვირას ატარებს ქართულად წირვა-ლოცვას. დღეს სოჭში სამი ქართული ეკლესიაა. მოკლედ, სახელმწიფო სახელმწიფოშია!

აქვე მინდა, ერთი ისტორია გავიხსენო, რომელიც არასოდეს მომიყოლია.



რუსული ავიაკომპანია „აზიმუტის“ თვითმფრინავი თბილისის საერთაშორისო აეროპორტში

### „როდესაც სოჭში დაბადებულ არახამიას ქართველების პომპეზური დახვედრის შესახებ მოახსენეს, ყველაფერს ისროდა, რაც ხელში მოხვდა. ამიტომაც აფრინა უსტარი საქართველოს ხელისუფლებასთან!“



### „არახამია ძალიან ცუდი სახელით არის სოჭიდან გაგდებული და იქ აღარ ჩაესვლება!“

**— ბრძანეთ.**

— 2003 წელს მიხეილ სააკაშვილმა მთხოვა, სოჭიდან ბიძაჩემი **სიმონ უჩაძე** ჩამომეყვანა საქართველოში. სიმართლე გითხრათ, არ უნდოდა სააკაშვილთან შეხვედრა, მაგრამ მაინც დავითანხმე. მაშინ ნახევრად ხუმრობით უთხრა სიმონმა სააკაშვილს, ულვაშებიანს კრემლში არ შეუშვებენ (თავად ულვაშებს ატარებდა), მაგრამ როგორც შეგვიძლია, ისე ვცდილობთ ჩვენი ენის, კულტურისა და ტრადიციების განმტკიცებასო. როდესაც სააკაშვილმა ჰკითხა — რა გჭირდებათ ამისთვისო? — ბიძაჩემმა არ დააყოვნა — ქართული სკოლა და ქართული სახელმძღვანელოებიო, თუმცა, საბოლოოდ პასუხად უარი მიიღო. **იულონ გაგოშიძესთან** გადაგვამისამართეს და თავიდან მოგვიშორეს. დედაჩემი ზუსტად ერთი კვირა დილიდან საღამომდე რიგში იდგა, რომ როგორმე ეს შეხვედრა შემდგარიყო, მაგრამ არც მაშინდელი მინისტრისგან, არც სააკაშვილისგან და არც იულონ გაგოშიძისგან პასუხი არ მიგვიღია. ამხელა კაცი პასუხის გარეშე გაისტუმრეს ქვეყნიდან. შემდეგ ის ქართული სკოლაც დაიხურა. **მაშინ სააკაშვილმა გააფუჭა ურთიერთობები. დღეს ესენი ცდილობენ ამ ურთიერთობის შებღალვას, მაგრამ გარწმუნებთ, ვერაფერს მიაღწევენ!**

ჩემი წინაპრების საფლავზე ყვავილებით რომ მივედი, იქვე მეგრული გვარის საფლავთან სამი მამაკაცი იდგა. ერთ-ერთმა მათგანმა გამომხედა — ლალი მოროშკინა ხომ ხართო? როდესაც დარწმუნდა ჩემს ვინაობაში, მითხრა — **მე აფხაზი ვარ, ჩვენს შორის მხოლოდ ძმობა არის. მეგობარი გვყავს გარდაცვლილი და წლისთავზე ამოვედით, ღვინო რომ წავუქციოთო.** ეს ბიჭები სადღაც 25-26 წლისები იქნებოდნენ. სულ ახალი თაობა, რომელსაც არ უომია.

კარგად მესმის იმ ადამიანების, რომლებმაც საოცარი წნეხი, უბედურება გამოიარეს და მაინც ფეხზე დგანან, მეტიც, დღეს წარმატებულები არიან და არახამიასგან განსხვავებით ადათებსა და წესებს იცავენ. მათთვის ძალიან შეურაცხმყოფელია არახამიას გამოსვლა, დამაბარეს კიდეც — ყველას უთხარით, რომ ჩვენ ასეთები არა ვართო!

**— არახამიას პრეტენზიებში ერთ-ერთი მთავარი საკითხი სააკაშვილის განთავისუფლება იყო — თუ გსურთ საქართველოსა და უკრაინას შორის ურთიერთობის ნორმალიზება მოხდეს, სააკაშვილი გაანთავისუფლეთო.**

— ჩემი პასუხია — **თავი დაგვანებეთ!** უკრაინა, რომელმაც **ზურაბ ადეიშვილი** ბუნდესტაგში გააგზავნა, რომელმაც 2014 წელს მიიღო საქართველოდან გაქცეული დამნაშავე პოლიტიკოსები, აქეთ არ უნდა გვიყენებდეს პრეტენზიას. **არახამიას უკრაინას ჩვენ წინაშე ძალიან დიდი ბოდიში აქვს მოსახდელი.** ევროპიდან თითქმის ყველამ გაუშვა უკრაინელი ლტოლვილები, ძალიან შეწუხდნენ. ჩვენც უნდა ვიფიქროთ ამაზე. **მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ ძალიან ბევრი სიკეთე გაუკეთა უკრაინას, პასუხად რას ვიღებთ? — ღორულ გამონათქვამებს!**

ქვეყანა, რომელიც ილტვის, ციხეებიდან დამნაშავეები გავანთავისუფლოთ, ჩვენთვის საინტერესო არ არის! სჯობს, თავიანთ თავზე იდარდონ. დღეს უკრაინაზე უბედური ქვეყანა დედამიწის ზურგზე არ არის. პირდაპირ ხორცსაკეპი მანქანა აქვთ მოწყობილი. ზუსტად ვიცი, იატაკქვეშეთში რამდენი ამბოხებაც დაიწყო, იმდენჯერ სასტიკად ჩაახშვეს. მტერსაც არ ვუსურვებ იმას, რაც იქ ხდება!

ჩვენ საკუთარ კეთილდღეობაზე ვიფიქროთ — მშვიდობაზე და ახალ გეოპოლიტიკაზე. ოქტომბრის შემდეგ მსოფლიო სულ სხვანაირი იქნება და ფეხი უნდა ავუწყოთ. სწორი გეზი გვაქვს აღებული და ამ გზას არ უნდა გადავუხვიოთ!

**— და მაინც, რა არის სოჭის ქართველობის რეალური ოცნება?**

— მათი ოცნება სოჭის ხევისბერმა, არაჩვეულებრივმა თამადამ ჯემალ უგლავამ გაგვანდო — **სოხუმის გავლით ჩავიდეთ თბილისში!** იმედია, ჩვენი ეს ერთობლივი ოცნება მალე ასრულდება!

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

# გენერალისიმუსი

№17 (253) ★ 2024 წლის 18 მარტი ★ გამოდის 2003 წლიდან

***„გენერალისიმუსის“ მკითხველმა, რა თქმა უნდა, შესანიშნავად უწყის, რა არის და რას ნიშნავს სტალინური ფასდაკლება, მაგრამ, რაკი გამეორება ცოდნის დედაა, კიდევ ერთხელ გავიმეოროთ: საბჭოთა ხალხების დიდი ბელადი იოსებ ბესარიონის ძე სტალინი 1948 წლიდან მოყოლებული 1953 წლამდე, ვიდრე გარდაიცვლებოდა, ყოველი წლის 1 მარტს გამოსცემდა დადგენილებას საბჭოთა კავშირში მასობრივი მოხმარების საქონელზე საცალო ფასების შემცირების შესახებ, რაც ისტორიაში სტალინური ფასდაკლების სახელით დარჩა.***

# სტალინური ფას—დაკლებიდან მაიმუნურ ნაც—დაკლებამდე



დიახ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სტალინმა საბჭოთა ეკონომიკისათვის არცთუ ხელსაყრელი, მაგრამ საბჭოთა მშრომელებისათვის ძალზედ მნიშვნელოვანი და შვებისმომგვრელი გადაწყვეტილება მიიღო — **საყოველთაო მოხმარების საქონელს გაზაფხულის დადგომისთანავე 10, 15, 20 და ზოგჯერ 50 პროცენტითაც აიაფებდა, რათა ხალხი სიღატაკისა და შიმშილისაგან დაეცვა.**

შესაბამისად, **1948 წლიდან 1953 წლის ჩათვლით**, საბჭოთა კავშირში გაზაფხული და სტალინური ფასდაკლება ერთდროულად, ერთსა და იმავე დღეს დგებოდა!

1948 წლიდან 1953 წლის ჩათვლით, **ყოველ 1 მარტს,** საბჭოთა ხალხები ერთდროულად შეჰხაროდნენ გაზაფხულის მობრძანებასა და საყოველთაო მოხმარების საქონლის გაიაფებას, ანუ სტალინურ ფასდაკლებას!

***ახლა კი მაიმუნურ ნაცდაკლებაზე ვთქვათ...***

საქმე ის არის, რომ **ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკურ ზოოპარკში თავშეყრილმა პოლიტიკურმა მაიმუნებმა** წინასაარჩევნოდ პოპულისტური და დემაგოგიური კამპანია წამოიწყეს — **ბაზრობებზე, სუპერმარკეტებში, ბენზინგასამართ სადგურებზე დარბიან და საკვები პროდუქტების, პირველადი მოხმარების საგნებისა თუ საწვავის სიძვირეზე მოთქვამენ, ერთმანეთს ადარებენ 2012 წლამდელ და დღევანდელ ფასებს, აქაოდა — ხელისუფლებაში ჩვენი ყოფნის დროს ყველაფერი უფრო იაფი ღირდა, ვიდრე ახლა, ივანიშვილის ხელისუფლების პირობებშიო!**

აი, **მაიმუნობა** თუ გინდა, სწორედ ეს არის!

ჯერ ერთი, როდის იყო ნაცებს ქართველი ხალხის ბედი და მდგომარეობა ადარდებდათ?

ნაცების მთელი მმართველობა ხომ სწორედ ქართველი ხალხის ჩაგვრაზე, ქართველი ხალხის დაშინებასა და დათრგუნვაზე, ქართველი ხალხისათვის ღირსების წართმევაზე, ქართველი ხალხის ცოცხლად გატყავებასა და გადაგვარებაზე იყო აგებული?

**აკი, ნაცები ხელისუფლებაში ყოფნის 9 წლის განმავლობაში ყოველდღე და ყოველ ფეხის ნაბიჯზე ამტკიცებდნენ, რომ ქართველი ხალხი სძულდათ, ქართველი ხალხი არარაობად მიაჩნდათ და ქართველ ხალხს აგინებდნენ — ეს ავადმყოფი ერია, რომელსაც ვერაფერს შეაგნებინებ, სანამ დედას არ მოუ...ნავო! აქ ცენზურა ჩვენია, თორემ სააკაშვილი და ბიძამისი თემურ ალასანია პირდაპირ ასე ლაპარაკობდნენ ერთმანეთში, რისი დამადასტურებელი ფარული ჩანაწერიც ყველას აქვს მოსმენილი.**

მოკლედ, ნაცი და ქართველი ხალხი, ნაცი და ქართველ ხალხზე ზრუნვა, ნაცი და ქართველი ხალხის კეთილდღეობა რადიკალურად გამორიცხავს ერთმანეთს. უბრალოდ, საპარლამენტო არჩევნები ახლოვდება და ნაცებს დაქირავებულმა უცხოელმა პიარსპეციალისტებმა ურჩიეს — **სოციალურ თემებს მიაწექით, გაზრდილ ფასებსა და ცხოვრების გაძვირებაზე ივიშვიშეთო!**

კაცმა რომ თქვას, ნაცბანდის პიარსპეციალისტთა სტრატეგია სწორია — **სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის ნაშთებმა სამართალზე, კანონის უზენაესობაზე, სასამართლოს დამოუკიდებლობაზე, სიტყვის თავისუფლებაზე, ადამიანის უფლებებსა და მსგავს თემებზე რომ ისაუბრონ, ეს მათთვის აბსოლუტურად კონტრპროდუქტიული იქნება, რადგან თავადვე არიან უსამართლობის, უკანონობის, სასამართლოს ჯიბეში ჩადების, თავისუფალი სიტყვის ჩახშობისა და ადამიანის უფლებების ფეხქვეშ გათელვის ცოცხალი სახე-სიმბოლოები.**

ამიტომაც, ერთადერთი თემა, რაზეც შეიძლება, ნაცებმა იდემაგოგონ და ისპეკულირონ, მაღალი სამომხმარებლო ფასებია.

***გაგრძელება „გენერალისიმუსის“ მე-2 გვერდზე***



# О новом снижении государственных розничных цен на продовольственные и промышленные товары

*Постановление Совета Министров СССР и ЦК ВКП(б)*

ИЗВЕСТИЯ СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ СССР. Год издания 33-й. № 51 (10200). СРЕДА 1 МАРТА 1950 г. Цена 20 коп.

В связи с новыми успехами в области промышленного и сельскохозяйственного производства в 1949 году, с ростом производительности труда и снижением себестоимости продукции Советское Правительство и Центральный Комитет ВКП(б) сочли возможным осуществить с 1 марта 1950 года новое — третье по счету — снижение государственных розничных цен на продовольственные и промышленные товары массового потребления.

Совет Министров СССР и ЦК ВКП(б) считают, что в результате нового снижения цен в государственной торговле население выиграет по расчету на год не менее 80 миллиардов рублей.

Кроме того ввиду того, что под влиянием снижения цен в государственной торговле произойдет приблизительно такое же снижение цен на колхозном рынке и в кооперативной торговле, население получит д... полнительный выигрыш не менее 30 миллиардов рублей.

Следовательно, общий выигрыш населения от нового снижен... составит не менее 110 миллиардов рублей.

Нет сомнения, что в результате нового снижения цен:

1) вновь значительно поднимется покупательная сила р...

2) еще более улучшится курс советского рубля по ср... сом иностранных валют;

3) произойдет дальнейшее серьезное повышение ре... платы рабочих и служащих;

4) серьезно улучшится положение пенсионеров и стип... скольку при снижении цен остаются без изменения размер... стипендий;

5) произойдет дальнейшее серьезное повышение доходов к... вследствие значительного сокращения крестьянских затрат на по...ку удешевленных промышленных товаров и благодаря тому, что остаются без изменения заготовительные государственные цены на продукты земледелия и животноводства.

Совет Министров Союза ССР и Центральный Комитет ВКП(б) постановляют:

1. Снизить с 1 марта 1950 года государственные розничные цены на продовольственные и промышленные товары в следующих размерах:

ХЛЕБ И БУЛОЧНЫЕ ИЗДЕЛИЯ

| | |
|---|---|
| Хлеб ржаной формовой и другие сорта хлеба из ржаной и пшеничной обойной муки | на 25,9% |
| Хлеб из пшеничной сортовой муки | на 30,0% |
| Булки, баранки, сушки, сухари и другие булочные изделия из пшеничной сортовой муки | на 30,0% |

| | |
|---|---|
| Тюлька вяленая... | на 25,0% |
| Прочая рыба... | на 10,0% |
| Черная икр... | на [illegible]0,0% |
| Красная... | на [illegible]5,0% |
| Консер... | на 2[illegible] |
| Конс... м соку, печень | [illegible],0% |
| ...мбала в масле | на 35,0% |
| ... | на 30,0% |

... МОЛОЧНЫЕ ПРОДУКТЫ

| | |
|---|---|
| ... | на 30,0% |
| ...швейцарский, голландский, ...очие сыры | на 20,0% |
| ...и брынза | на 15,0% |
| ...ое, сливки, простокваша и кефир | на 10,0% |
| ...орог, сырки и прочая молочно-кислая ...ция | на 20,0% |
| ...ые консервы, сухое молоко | на 15,0% |
| ...женое | на 20,0% |
| ...сло растительное | на 10,0% |
| ...аргарин | на 35,0% |
| Сало пищевое топленое и сырое | на 18,0% |
| Витаминизированный медицинский жир | на 25,0% |
| Соусы майонез и другие | на 20,0% |

ЯЙЦА И ЯИЧНЫЙ ПОРОШОК

| | |
|---|---|
| Яйца | на 15,0% |
| Яичный порошок | на 20,0% |

САХАР, КОНДИТЕРСКИЕ И БАКАЛЕЙНЫЕ ТОВАРЫ

| | |
|---|---|
| Сахар-песок | на 15,0% |
| Сахар-рафинад | [illegible] |
| Монпансье леденцовое и... | [illegible] |
| Карамель завернутая бе... | [illegible] |
| Мягкие конфеты, шокола... и пряники | на 20,0% |
| Какао, пирожные и торты | на 16,7% |
| Прочие кондитерские товары (вафли, кексы, рулеты, восточные сладости, диэтические, лечебные и другие) | на 18,0% |




**სტალინური ფასდაკლების უკან**

**გენერალისიმუსი**

**იოსებ ჯუღაშვილი იდგა, მაიმუნური ნაცდაკლების უკან კი**

**კეზერალისიმუსი**

**ლევან ხაბეიშვილი დგას!**

**სად ის და სად ეს?! ★**

# სტალინური ფას– დაკლებიდან მაიმუნურ ნაც– დაკლებამდე


სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

სასურსათო და სამრეწველო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი შემცირების შესახებ

კომუნისტი

KOMYHИCTИ

დასაწყისი „გენერალისიმუსის“ პირველ გვერდზე

მერე რა, რომ ფასების მატება და ცხოვრების გაძვირება მარტო საქართველოს კი არა, მთელი ევროპისა და მსოფლიოს პრობლემაა, რადგან უკრაინაში მიმდინარე გაუთავებელი ომისა და ახლო აღმოსავლეთში გაჩაღებული სამხედრო კონფლიქტის გამო დედამიწის ზურგზე ეკონომიკური კრიზისი და ინფლაცია მძვინვარებს... **საქართველოს მოქალაქეს, რომლის თხელი ჯიბეც გაძვირებული საკვები პროდუქტებისა და პირველადი მოხმარების საქონლის წინაშე სრულიად უძლურია, რაში აინტერესებს, რა ხდება გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში, ამერიკაში, ჩინეთში, კამბოჯასა თუ ნიკარაგუაში? გაჭირვებულ კაცს, რომელსაც ოჯახის რჩენის პრობლემა უდგას, პოლიტიკური და ეკონომიკური ანალიტიკის თავი აქვს?**

ასეთი ადამიანების ემოციებზე თამაში ადვილია!

ასეთი ხალხი დემაგოგიისა და პოპულიზმის მიმართაც მოწყვლადია!

**ჰოდა, ნაცებიც ამას შვრებიან!**

ასეთნაირად **მაიმუნობენ და ჟონგლიორობენ** პიარკონსულტანტების მიერ ჩაწვეთებული ლოზუნგებითა და ე.წ. მესიჯებით!

თუმცა, ქართველ ხალხს მაღალი ფასები და ცხოვრების სიძვირე როგორ მძიმე ტვირთადაც არ უნდა აწვებოდეს, **მაიმუნური ნაცდაკლებით** მისი მოტყუება და შეცდომაში შეყვანა შეუძლებელია, რადგან ქართველ ხალხს ნაცების ყოველგვარი **მაიმუნობა,** ყველანაირი ხრიკი და ტრიუკი დიდი ხანია, გაშიფრული აქვს.

ჰო, ქართველმა ხალხმა ძალიან კარგად იცის, რომ **სტალინური ფასდაკლებისაგან** განსხვავებით, **მაიმუნური ნაცდაკლება** მხოლოდ წინასაარჩევნო ბლეფი და აფერაა!

თუ **სტალინური ფასდაკლება** მართლაც ხალხზე ზრუნვის რეალური გამოხატულება იყო, **მაიმუნური ნაცდაკლება** მხოლოდ იმაზე ზრუნვაა, რომ მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის ნარჩენებმა კვლავ ძალაუფლება ჩაიგდონ ხელში!

მაგრამ როგორც **ბია ფერაძის** კინოგმირი იტყოდა — **ამ საქმიდან არაფერი გამოვა, რადგან ქართველი ხალხის გადამწყვეტმა უმრავლესობამ კარგად იცის, რომ საკვები პროდუქტებისა და პირველადი მოხმარების საგნების სიძვირე არაფერია იმასთან შედარებით, რა ძვირიც საქართველოს ნაცბანდის ხელისუფლებაში დაბრუნება დაუჯდება!**

ასე რომ, **მაიმუნური ნაცდაკლება** მაიმუნობადვე დარჩება და მშრომელებს **სტალინური ფასდაკლების** მსგავს შვებასა და სარგებელს ვერანაირად ვერ მოუტანს!

სხვა თუ არაფერი, **სტალინური ფასდაკლების** უკან **გენერალისიმუსი იოსებ ჯუღაშვილი** იდგა, **მაიმუნური ნაცდაკლების** უკან კი **კეზერალისიმუსი ლევან ხაბეიშვილი** დგას!

***ჯაბა ხუბუა***




## სტალინური ფასდაკლება მართლაც ხალხზე ზრუნვის რეალური გამოხატულება იყო, მაიმუნური ნაცდაკლება კი მხოლოდ იმაზე ზრუნვაა, რომ მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის ნარჩენებმა კვლავ ძალაუფლება ჩაიგდონ ხელში!

**სად ის და სად ეს?! ★**



**ისტორიკოსის თვალით ★**

***სვიმონ მასხარაშვილი:***

# პოსტსაბჭოთა სივრცესა და რუსეთში თუ რამ გაკეთებულა და კეთდება, ყველაფერი სტალინის მიერ შერჩეული კადრების დამსახურებაა!

***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი სტალინის საკადრო პოლიტიკის ავკარგიანობისა და „ბრძანება №227“-ის შესახებ საუბრობს და აცხადებს, რომ ბელადისგან განსხვავებით, რომელმაც პროფესიონალებს გზა ყველგან და ყველაფერში გაუხსნა, საქართველოში ნოე ჟორდანიამ და მისმა არაკომპეტენტურმა გუნდმა ახლოს არ გაიკარეს ის უდიდესი ქართველი მეცნიერები და მოღვაწენი, რომლებიც უნივერსიტეტის სათავეებთან იდგნენ:***

— რუსეთის იმპერიას კადრები ყოველთვის უჭირდა. აი, მაგალითად, იმპერიის ფინანსთა უკანასკნელმა მინისტრმა **პეტრე ბარკმა,** რომელიც 1914-1917 წლებში ქვეყნის საფინანსო სისტემას უცვლელად ხელმძღვანელობდა, ისეთი გადაწყვეტილებები მიიღო, რომ რევოლუციური პროცესები, პირიქით, დააჩქარა და ქვეყანა დაღუპვის კარამდე მიიყვანა. ერთადერთი, ვინც რუსეთის იმპერიაში კადრები ასე თუ ისე სწორად შეარჩია, **პეტრე პირველი** იყო. მთელი ორასი წლის განმავლობაში, რუსეთს ინერციით წინ სწორედ პეტრე პირველის მიერ შემუშავებული საკადრო პოლიტიკა ექაჩებოდა.

**იმპერატრიცა ეკატერინე მეორე** ჭკვიანი ქალი იყო, მაგრამ კადრები არ უვარგოდა. ეკატერინეს ფავორიტებს შორის ერთადერთი საინტერესო კადრი **გრიგოლ პოტიომკინი** იყო, რომლის იდეა-ფიქსიც კონსტანტინოპოლის აღება და ბიზანტიის იმპერიის აღდგენა გახლდათ, მაგრამ მისმა გაუაზრებელმა პოლიტიკამ, განსაკუთრებით საქართველოსთან მიმართებაში, რუსეთის იმპერია ბიზანტიის იმპერიის აღდგენისა და კონსტანტინოპოლის დაპყრობის საუკუნოვან ოცნებას სამუდამოდ დააშორა.

კადრების თვალსაზრისით კატასტროფული იყო დროებითი მთავრობისა და ბოლშევიკების პოლიტიკა. ნაცვლად იმისა, **ნიკოლოზ მეორესა** და მის ოჯახს არ შეხებოდნენ, რადგან იმპერატორი რუსი ერის ერთიანობის სიმბოლო იყო, 1918 წლის ივლისში **იაკობ სვერდლოვის** ბრძანებით, რუსეთის უკანასკნელი იმპერატორი მთელ თავის ოჯახთან და მსახურებთან ერთად ამოხოცეს. უფრო მეტიც, **ვლადიმერ ნაბოკოვის** მამის მიერ შედგენილი **ნიკოლოზ მეორის** გადადგომის აქტით, რუსეთში ისეთი დომხალი შექმნეს, რომ ქვეყანაში მთელი ექვსი თვის განმავლობაში მონარქია გაუქმებული არ იყო, მაგრამ არც მონარქი არსებობდა. ეს ისეთი დეგენერატული დოკუმენტია, რუსეთს დღესვე რომ მოუნდეს რომანოვების დინასტიის აღდგენა, ქვეყანას სამართლებრივი საფუძველი აქვს დაკარგული.

**— გასაგებია, რომ ბოლშევიკების საკადრო პოლიტიკა დიდი გაუგებრობა იყო, მაგრამ რას იტყვით ამ თვალსაზრისით სტალინის შესახებ?**

— საწყის ეტაპზე ბოლშევიკების კვალიფიკაცია და განათლების დონე ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა, მაგრამ 1918 წლის შემოდგომაზე, როცა სამოქალაქო ომმა მთელი სიმძლავრით იფეთქა, **ლევ ტროცკიმ** არმიაში დააბრუნა მეფის რუსეთის დროინდელი ოფიცრები, რომელთა 80 პროცენტი ბოლშევიკების მხარეს დადგა. ტროცკი უნიჭიერესი კაცი იყო და არმიაში აქცენტი თავიდანვე პროფესიონალებზე გააკეთა, რამაც სამოქალაქო ომის ბედი ბოლშევიკების სასარგებლოდ გადაწყვიტა. აი, ამ სიტუაციაში გამოიკვეთა სტალინის ერთი ფანტასტიკური თვისება — ყოველთვის რეალურად აფასებდა მტრის შესაძლებლობებს და მოწინააღმდეგის მოქმედებასა და ტაქტიკაში თუ რამ საინტერესოს შენიშნავდა, ყოველგვარი მორიდების გარეშე ცდილობდა მის გადმოღებასა და შეთვისებას. აი, მაგალითად, არსებობს სტალინის **ბრძანება**



**№227** — „არცერთი ნაბიჯი უკან!“ — რომელიც მან 1942 წლის 28 ივლისს გამოსცა. ამის შესახებ „გენერალისიმუსიც“ წერდა. ეს ის პერიოდია, როცა გერმანელებმა დონი გადმოლახეს და კავკასიონისკენ დაიძრნენ, რათა ბაქოს ნავთობზე კონტროლი დაემყარებინათ.

ამ ბრძანებაში კარგად ჩანს, რომ

**ხმები იმის შესახებ, თითქოს წითელი არმიის რეგულარულ ნაწილებს უკან მიჰყვებოდნენ ბერიას ენკავედეს პოლკები, რათა გაქცეულებისთვის ზურგიდან დაეშინათ ტყვია, ბინძური ტყუილია!**

გარდა ამისა, ამ ბრძანებიდან კარგად ჩანს ე.წ. „შტრაფბატების“, ანუ საჯარიმო სამხედრო ნაწილების ნამდვილი დანიშნულება, რომელთა საკვებითა და საბრძოლო ამუნიციით მომარაგება ბევრად უფრო მაღალ დონეზე იდგა, ვიდრე ჩვეულებრივი, სტანდარტული სამხედრო ნაწილების საჭირო მასალებით აღჭურვა. ყველაზე მთავარი მაინც ის არის, რომ **„ბრძანება №227-ის“** პრეამბულაში სტალინი, რომელიც პირადად აწერს ხელს ამ დოკუმენტს, აცხადებს — **1941-1942 წლების ზამთრის პერიოდში ფაშისტური გერმანიის სამხედრო ხელმძღვანელობამ შეძლო ძალების გადაჯგუფება, თავისი უკანდახეული ჯარის შეკავება და, პირიქით, შეტევაზე გადმოსვლა. ჰიტლერის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები იყო ეფექტური, სწორი და ახლა ჩვენ ამ ყველაფერს უნდა დავუპირისპიროთ კონკრეტული ნაბიჯებიო!** იმის გამო, რომ სტალინმა იმ კონკრეტულ შემთხვევაში ჰიტლერის მიერ გადადგმული ნაბიჯები მართებულად შეაფასა, ბელადის მკვლელობის შემდეგ ხრუშჩოვმა და მისმა ხროვამ ამ ფაქტის დამალვა განიზრახეს და, შესაბამისად, „ბრძანება №227“-ის სრული ტექსტი, ფაქტობრივად, მიჩქმალეს!

1812 წელს ნაპოლეონი მოსკოვიდან რომ გაიქცა, იმის შემდეგ პარიზამდე ისე ჩავიდა, არსად გაჩერებულა. 1941 წლის დეკემბერში, მოსკოვის მისადგომებთან წითელი არმიის მიერ განხორციელებული უმძლავრესი შეტევის წყალობით, გერმანელებს ფრონტი დაეშალათ და ზოგან 300 კილომეტრითაც კი დაიხიეს უკან. სტალინს ოდნავ მეტი რესურსი რომ ჰქონოდა, შესაძლოა, ომი გერმანიის სრული კატასტროფით 1942 წელსვე დასრულებულიყო, მაგრამ საბჭოთა კავშირს მაშინ იმის ძალა არ ჰქონდა, ჰიტლერს ბოლომდე მისწოლოდა. 1942 წლის თებერვალსა და მარტში ჰიტლერმა და მისმა გენერლებმა მიიღეს მთელი რიგი ზომები და აბსოლუტურად დემორალიზებული ვერმახტი აპრილში შეაკავეს. სულ მალე გერმანელებმა ისევ ახალი ძალებით შემოუტიეს საბჭოთა კავშირს და მოწინააღმდეგეებს შორის ომმა ახალი ძალით იფეთქა.

**— როგორც ცნობილია, „ბრძანება №227“-ში სტალინი საგანგებოდ აფრთხილებს სამხედრო მეთაურებს.**

— სტალინი ამ ბრძანებაში პირდაპირ წერს — ზოგიერთი სამხედრო მეთაური თავის თავს აძლევს უფლებას, იფიქროს ასე — **„რუსეთი ძალიან დიდია, ტერიტორია გვეყოფა და ამიტომ აუცილებელი არ**




**არის, მტერს შევაკავდეთ... მოდით, უკან დავიხიოთ და შენაერთები გადავარჩინოთ!“**

ასეთი მეთაურები თავიანთი სიცოცხლით აგებენ პასუხს, — აღნიშნავს სტალინი, იმ მეთაურებს, რომლებიც პირადი გადაწყვეტილებით, თვითნებურად ტოვებდნენ პოზიციებს, დახვრეტით ემუქრება. სტალინი ბრძანებაში წერს — **ჰიტლერმა სწორედ ასეთი უმკაცრესი გადაწყვეტილება მიიღო და იმიტომაც შემოგვიტია წარმატებით. ამიტომ ჩვენც ასეთი გადაწყვეტილება უნდა მივიღოთო!** როგორც ჩანს, სპეცსამსახურებისაგან სტალინს ჰქონდა ამომწურავი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მოახერხა ჰიტლერმა 1941-1942 წლის ზამთარში საბრძოლო სულისკვეთების მკვდრეთით აღდგენა, როცა არმია, ფაქტობრივად, თავზე ჩამოემხო.

სტალინს, რა თქმა უნდა, შეეძლო, არსად ეხსენებინა ეს ფაქტი, მაგრამ მან თქვა — ჩვენ ჩვენი მტრის მსგავსად უნდა მოვიქცეთო! სტალინს არ ერიდებოდა, მიებაძა ტროცკისთვის, ლენინისთვის, ჩერჩილისთვის, რუზველტისთვის და თვით ჰიტლერისთვისაც კი! გადამწყვეტ მომენტებში ის არ ვირეშმაკობდა და ყველაფერს ხმამაღლა ამბობდა. როგორც წესი, ლიდერებს უჭირთ იმის აღიარება, რომ ვიღაცამ მათზე უფრო ადრე რაღაცა მოიფიქრა, სტალინი კი იყო უდიდესი პრაგმატიკოსი, რომელმაც პირველმა დაინახა, რომ სოციალისტურ სახელმწიფოს შეეძლო, ეარსება ცალკე აღებულ ერთ კონკრეტულ ქვეყანაში და კომუნისტური იდეალები სულაც არ იწყებოდა მარქსიდან.

**— სად იყო მარქსი, როცა უტოპისტები კომუნიზმს ქადაგებდნენ, ხოლო საფრანგეთის იმპერატორი ნაპოლეონ მესამე 1848 წელს ფრანგებმა პრეზიდენტად სწორედ იმიტომ აირჩიეს, რომ სოციალისტურ იდეებს ემსახურებოდა!**

— სტალინმა ცალკე აღებულ ერთ ქვეყანაში სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის იდეას საფუძვლად დაუდო შესაფერისი კადრების შერჩევის საკითხი. სწორედ კომპეტენტური კადრების დეფიციტმა გამოიწვია პირველი მსოფლიო ომი, რის შესახებაც ამერიკის მაშინდელმა პრეზიდენტმა ვუდრო ვილსონმა სამართლიანად ბრძანა — რატომ დაიწყო ეს ომი, ვერავინ ვერასდროს გაიგებსო!

**— საქართველოში როგორი მდგომარეობა იყო კადრების მხრივ?**

— რიჩარდ პაიფსი აღფრთოვანებით წერს **ნოე ჟორდანიას** მიერ გატარებულ საგლეხო და მიწის რეფორმაზე, მაგრამ მისი ხელისუფლება, როგორც საქართველოს ეროვნული ინტერესების დამცველი, კრიტიკას ვერ უძლებს. ჟორდანიას მთავრობას განათლების რეფორმის კუთხით, ფაქტობრივად, არაფერი გაუკეთებია და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაფუძნება 1918 წლის 26 იანვარს მენშევიკებთან არაფერ კავშირშია. პირიქით, ნოე ჟორდანიამ და მისმა არაკომპეტენტურმა გუნდმა ახლოს არ გაიკარეს ის უდიდესი ქართველი მეცნიერები და მოღვაწენი, რომლებიც სწორედ უნივერსიტეტის სათავეებთან იდგნენ. **დიმიტრი უზნაძე, ნიკო მუსხელიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, ალექსანდრე ალადაშვილი და ივანე ჯავახიშვილი** ნოე ჟორდანიამ და მისმა სახელმწიფო მანქანამ დააიგნორეს! აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ ნოე ჟორდანიას ხელისუფლებამ საერთოდ გვერდზე გასწია **ნიკო ნიკოლაძე** — ილიას ტოლი და სწორი კაცი, მსოფლიო მასშტაბის მოაზროვნე! მენშევიკებმა ხელი არ შეუწყვეს ქართული ავიაციის განვითარებას და ის 110 თვითმფრინავი, რომელიც პირველი მსოფლიო ომიდან შემოგვრჩა, საწვავის გარეშე დატოვეს. ბოლოს და ბოლოს, მსოფლიო ავიაციის ერთ-ერთი მამა **ბესარიონ ქებურია** ქართველი იყო. არმიაში არ ამსახურეს რუსული გეოდეზიის ერთ-ერთი მამა, აკადემიკოსი და გენერალ-ლეიტენანტი **ანდრია ბენაშვილი,** რომელმაც დღევანდელი ტექნიკური უნივერსიტეტი დააარსა. არმიიდან, ფაქტობრივად, დაითხოვეს გენერალი **კოტე აფხაზი და ქაქუცა ჩოლოყაშვილი. ზურაბ ავალიშვილი და გიორგი მაჩაბელი** საერთაშორისო ასპარეზზე ინდივიდუალურად მოქმედებდნენ, რადგან არც ერთი და არც მეორე სახელმწიფო სამსახურს არ გააკარეს. **ნოე ჟორდანიას კრეტინიზმი იქამდეც კი მივიდა, რომ არმიაში კავალერია მოსპო — ბურჟუაზიული და თავადაზნაურული გადმონაშთიაო!** „თავადაზნაურული გადმონაშთობით“ ქართულ პოლიტიკაში „წითელი ბარათი“ უჩვენეს ძალიან ბევრ პოლიტიკოსს, მეცნიერს, იურისტს. ამ ყველაფრის ფონზე სტალინი მოიქცა პრაგმატულად და როგორც კულტურაში, ხელოვნებაში, ისე არმიასა და პოლიტიკაში, ყველგან დააბრუნა არისტოკრატები. **მსტისლავ კელდიში, ლიუბოვ ორლოვაც, ანდრეი სახაროვიც, სერგეი კოროლიოვიც, მიხეილ შოლოხოვიც და ალექსეი ტოლსტოიც** — სუყველა არისტოკრატიას ეკუთვნოდა.

სტალინმა მთლიანად მოხსნა შეზღუდვა და თქვა — **„კადრები წყვეტენ ყველაფერს!“** პოსტსაბჭოთა სივრცესა და რუსეთში დღემდე თუ რამე გაკეთებულა და კეთდება, ყველაფერი სტალინის მიერ შერჩეული კადრების დამსახურებაა!

*ესაუბრა* ***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

# გიორგი ბეჟიტაშვილის პასუხები მკითხველს ★

## რიგი მკითხველებისა გვწერს, რომ ბევრი პუბლიკაცია ამტკიცებს, თითქოს დიდ სამამულო ომში გამარჯვება მეტისმეტად ძვირი დაჯდა, რომ ეს, არსებითად, „პიროსის გამარჯვება“ იყო. მკითხველებს აინტერესებთ, რამდენად შეესაბამება ეს საყვედური სინამდვილეს?



გასაგებია, რომ ეს საყვედურები **ი. სტალინს** ეკუთვნის, როგორც უმაღლეს მთავარსარდალს. ჩვენი მკითხველები სიმართლეს ამბობენ — პუბლიკაციიდან — პუბლიკაციაში, წიგნიდან წიგნში დასეირნობს დიდი ტყუილი, რომ **გენერალისიმუსს ადამიანები არ ენანებოდა,** მილიონობით ყრიდა მათ ომის ხანძარში და მხოლოდ ამგვარად უზრუნველყო **ჰიტლერზე** უპირატესობა.

რა შეიძლება ითქვას ამასთან დაკავშირებით? ფასი მართლაც ძალიან მაღალი იყო, მაგრამ არა მგონია, რომ ომში მიღწეულ გამარჯვებას შეიძლება **პიროსისა** ეწოდოს. რაღა **პიროსის** გამარჯვებაა, თუკი წითელმა არმიამ გერმანიის ოკუპაცია მოახდინა, **სტალინმა** ნახევარი ევროპა, პრაქტიკულად, **„გაასაბჭოვა“ და მთელ პლანეტას თავისი ნების კარნახი დაუწყო?**

რა თქმა უნდა, საინტერესოა, რას მეტყველებს ამის თაობაზე ციფრები, მაგრამ, სამწუხაროდ, დღესაც კი, ომის დამთავრებიდან თითქმის 60 წლის შემდეგ, მიუხედავად სტატისტიკოსთა და მეცნიერთა მრავალი გამოკვლევისა და ანალიზისა, ეს სისხლიანი ბალანსი საბოლოოდ გამოყვანილი არ არის. ასე რომ, ისტორიკოსები დღესაც ჰაერიდან მოხმობილი ციფრებით ეკვილიბრისტობენ. და რატომღაც ბევრი მათგანი სრულიად უსაფუძვლოდ თვლის, რომ ომში დაღუპულთა შეფარდება ასეთი იყო — **ერთ დაღუპულ გერმანელ ჯარისკაცზე 10 საბჭოთა მოდიოდა.** ამასთან, შულერულ მეთოდებს იყენებენ. გერმანელებს მოქმედი არმიის ბრძოლაში დაღუპული სამხედროების რიცხვიდან იღებენ. საბჭოთა მხარეს კი ბრძოლის ველზე დაცემულთ მიათვლიან საჰაერო თავდასხმის დროს დაღუპულებს, ლენინგრადის ბლოკადის დროს შიმშილით დახოცილებს, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ფაშისტების მიერ დახვრეტილ მშვიდობიან მოსახლეობას და ა. შ. აი, ამგვარად მიიღწევა საბჭოთა „უპირატესობა“.

ცნობილია, რომ **სტალინმა** ომის დამთავრებისთანავე დაასახელა ციფრი — **7 მილიონი.** ის, რა თქმა უნდა, ზუსტი არ არის, მაგრამ ახლოს დგას წითელი არმიის პირდაპირ დანაკარგებთან, რომლებსაც უშუალოდ ბრძოლის დროს ჰქონდა ადგილი. დაახლოებით იმავე დროს გამოქვეყნდა კიდევ ერთი ციფრი — **ვერმახტის** პირდაპირი დანაკარგი ბრძოლის დროს — **8 მილიონამდე.** როგორც ხედავთ, უპირატესობა აქ **გერმანელთა** მხარესაა.

ბუნებრივია, ეს ციფრები შემაძრწუნებელია. მათ ისტორიაში ანალოგი არ მოეპოვება. მაგრამ ისტორია არც ისეთ სისხლისმღვრელ ომს იცნობს, რომელშიც საკუთარი ღირსებისა და დამოუკიდებლობის დაცვა გვიხდებოდა.

## *ბევრ წერილში ისმის კითხვა ომისათვის სსრკ-ის მზადყოფნის ხარისხის შესახებ. თანაც ზოგიერთი მკითხველი თვლის, რომ ქვეყანა მართლაც არ იყო მზად გერმანიისნაირი მოწინააღმდეგის მოსაგერიებლად, სხვები კი, პირიქით, მიიჩნევენ, რომ სსრკ იმ დროისათვის საკმაო სამხედრო ძალას ფლობდა და წითელი არმიის თავდაპირველი წარუმატებლობა მხოლოდ თავდასხმის მოულოდნელობას და ვერაგობას უკავშირდება. მკითხველებს აინტერესებთ, სიმართლეა თუ არა, რომ სტალინმა ჰიტლერს დაუჯერა და ამიტომ ომის პირველ დღეებში დაიბნა?*

რომ გიპასუხოთ, ემზადებოდა თუ არა საბჭოთა კავშირი ომისათვის და როგორი იყო მისი მომზადების ხარისხი, **სტალინის** ერთ ციტატას გავიხსენებ. **1931 წლის გაზაფხულზე** ერთ-ერთ თათბირზე მან განაცხადა: **„ევროპის განვითარებულ ქვეყნებს 50-100 წლით ჩამოვრჩით. ან ამ გზას 10 წელიწადში გავირბენთ, ან გაგვსრესენ“.** წარმოუდგენელია, უდიდესმა სტრატეგმა ლამის დღე-დღეზე იწინასწარმეტყველა **„განსაცდელის საათი“.** მაგრამ ყველაზე საოცარი ეს კი არა, ის ფაქტია, რომ **10 წელიწადში სტალინის** რკინისებური ხელმძღვანელობით ქვეყანამ ეს **„მარათონი გაირბინა“** და ევროპის განვითარებულ ქვეყნებს გვერდით ამოუდგა. სწორედ ამ წლებში თანამედროვე ინდუსტრიალიზაციის მშენებლობისათვის ჩატარებულმა გიგანტურმა სამუშაომ მისცა საშუალება, ჯერ **ვერმახტის** დარტყმისათვის გაეძლო, მერე კი **ჰიტლერელები უკუეგდო და ომი ბერლინში დაემთავრებინა.**



წითელი არმიის უკან დახევა მოსკოვამდე და ვოლგამდე, ბევრი ქალაქის დათმობა, ბუნებრივია, მოულოდნელობით და **გერმანიის** ვერაგობით აიხსნება. **სსრკ-სა** და **გერმანიას** შორის ხომ **1939 წელს** თავდაუსხმელობის პაქტი დაიდო. რა თქმა უნდა, **სტალინს** ნაკლებად სჯეროდა, რომ **ჰიტლერი** პაქტის პირობებს დაიცავდა, მაგრამ თან დროის მოგებას იმედოვნებდა, რათა ძალები საზღვრისკენ გადაესროლა. ომი იმ მომენტში დაიწყო, როდესაც ეს დიდი სამუშაო სრული სვლით მიმდინარეობდა.

განცხადებები, რომ **სტალინი** ომის პირველ დღეებში დაიბნა, მორიგი მითია. იმას, თუ რამდენს მუშაობდა ის დღედაღამ კრემლის კაბინეტიდან გამოუსვლელად **1941 წლის 22 ივნისიდან,** უმაღლესთან გამოძახების ჟურნალი მოწმობს — მასში ყოველდღე 20-30 კაცია აღნუსხული სახკომების, მარშლების, გენერლების, მთავარი კომიტეტების, თავდაცვითი საწარმოების უფროსთა რიცხვიდან, რომელთაც სტალინი კრემლში იღებდა.

თუმცა, ომისათვის სსრკ-ის მზადყოფნაზე ყველაზე უკეთ თავად ბელადმა თქვა, როდესაც ომის დასაწყისში **„ასოშიეიტედ პრესის“** კორესპონდენტის შეკითხვას პასუხობდა **„საბჭოთა კავშირის წინააღმდეგობისუნარიანობის“** შესახებ. აი, ეს ვაჟკაცური პასუხი:

**„გერმანელი ყაჩაღებისთვის წინააღმდეგობის გაწევის საბჭოთა უნარი თავისი ძალით არაფრით ჩამოუვარდება — თუ არ აჭარბებს — ფაშისტური გერმანიის ან ნებისმიერი აგრესიული სახელმწიფოს უნარს, მსოფლიო ბატონობა მოიპოვონ“.**

ომისათვის მზადყოფნაზე საუბრისას **სტალინის** კიდევ ერთი დიდი გმირობაც არ უნდა დავივიწყოთ — სულ რამდენიმე დღეში ურალს იქით გადასროლილი საბჭოთა ეკონომიკა, რომელმაც ბორბლებიდან ჩამოსვლამდე დაიწყო ფრონტისათვის თვითმფრინავების და ტანკების მიწოდება. ეს ისტორიაში არნახული და გაუგონარი მოვლენა იყო და თავისი მნიშვნელობით ათობით სტალინგრადის ბრძოლას უტოლდება.

## მკითხველები გვწერენ, რომ, პრაქტიკულად, მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში, გორის გარდა, ი. სტალინის ერთი ძეგლიც არ შემორჩა და მოსკოვში, წითელ მოედანზე შესასვლელთან, „გამარჯვების შემოქმედის“ სახით მარშალ ჟუკოვის ძეგლი დგას. ისინი გვეკითხებიან, რამდენად სამართლიანია ეს?




დავიწყოთ იმით, რომ ომის ისტორია ჩვენ თვალწინ არაერთხელ გადაწერეს თავიდან. **„გამარჯვების შემოქმედად“** ხან ფრონტების სამხედრო საბჭოების წევრები ცხადდებოდნენ **(ხრუშჩოვი)** ხან არმიის პოლიტგანყოფილებათა უფროსები **(ბრეჟნევი)** და ლამის ფრონტისთვის ჯართის შემგროვებელი პიონერებიც **(გორბაჩოვი)**. რამდენადაც სამივე ამ **„შემოქმედმა“** პოლიტიკური კარიერა უსახელოდ დაასრულა, რუსულმა ოფიციალურმა ისტორიოგრაფიამ **მარშალ ჟუკოვის** პიროვნებაზე გადაწყვიტა შეჩერება. მოსკოვში მას ძეგლი დაუდგეს და **ჟუკოვის ორდენი დააარსეს.** მარშალმა უდავოდ შეიტანა თავისი წვლილი, მაგრამ მისთვის გამარჯვების მიწერა იგივეა, რომ **ვაგრამთან, აუსტერლიცთან და იენთან გამარჯვებები ნაპოლეონს კი არა, მის მარშლებს — მიურატს, ლანს, ნეის ან კიდევ ვინმეს მივაწეროთ.** სხვათაშორის, **სტალინი** აფასებდა **ჟუკოვის** სამხედრო ნიჭს, მაგრამ მასზე მაღლა ყოველთვის **მარშალ როკოსოვსკის** აყენებდა. ცნობილია მისი სიტყვები: **„სუვოროვი ახლა აღარ არის, წითელ არმიაში როკოსოვსკია“.** მაგრამ **როკოსოვსკი** ძეგლს იმავე მიზეზით ვერ ეღირსა, რატომაც **გენერალისიმუსი — მარშალი პოლონელი იყო.**

გამარჯვებულის ძეგლთან დაკავშირებით შეიძლება შემდეგი ითქვას. **ე. ვუჩეტიჩის** შესრულებული ერთი ასეთი ძეგლი (თავად სტალინის ფაქტობრივი თანაავტორობით) **ბერლინშია** აღმართული. ეს არის განმათავისუფლებელი მეომრის ძეგლი. გენერალისიმუსის ძეგლს კი პოლიტიკური კონიუნქტურისაგან თავისუფალი მომავალი თაობები აღმართავენ. ეჭვიც არ მეპარება, რომ დადგება დღე, როცა ის მოსკოვს გადმოხედავს.


ჟუკოვი


როკოსოვსკი

შესაძლოა, წითელი მოედნიდან, საიდანაც უმაღლესი მთავარსარდალი თავის შვილებს ომში აგზავნიდა. მაშინ, **1941 წლის ნოემბერში,** მავზოლეუმის ტრიბუნიდან სიტყვით გამოსვლისას (გერმანელები მოსკოვიდან 20 კმ-ში იყვნენ!) მან ასე დაულოცა გზა მათ: **„თქვენ ევროპის დამონებული ხალხები შემოგცქერიან. წილად დიადი განმათავისუფლებელი მისია გხვდათ. იყავით ამ მისიის ღირსნი“.**

დღეს, რვა ათეული წლის სიმაღლიდან, რომლებიც იმ დღეებს გვაშორებს, შეგვიძლია მტკიცედ ვთქვათ — ყველანი, ჯარისკაციდან გენერალისიმუსამდე, ამ დიადი მისიის ღირსი აღმოჩნდნენ. ისიც, ვინც მოსკოვის უკანასკნელ მისადგომზე ტანკში დაიწვა; ისიც, ვინც მტრის ამბრაზურას მკერდით გადაეფარა; ისიც, ვინც ალმოდებული თვითმფრინავი გერმანულ ცისტერნებზე მიმართა; ისიც, ვინც კბილებით დაიცვა სტალინგრადი და მტერი ვოლგამდე არ მიუშვა და ისიც, ვინც სამარცხვინო ვაჭრობა არ დაიწყო და ფელდმარშალი ლეიტენანტზე არ გაცვალა.




სარედაქციო კოლეგია
**„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი.** ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com ფეისბუქი: www. facebook.com/Asavali.com გამოდის **2003 წლის 7 აპრილიდან.**

# შევარდნაძის საიდუმლო




## ედუარდ შევარდნაძე: «მონანიების» გადაღებით მეც მოვინანიე ღვთისა და ერის წინაშე!

*დასაწყისი იხ. „ა-დ“. 2023 წლის №46-49, 51-52, 2024 წლის №1-12*

***ალბათ, ბევრ ჩვენგანს სმენია — ისეთი განცდა მაქვს, საქართველოს ისევ შევარდნაძე მართავსო, ანუ 1972 წლიდან მოყოლებული, როდესაც შევარდნაძე საბჭოთა საქართველოს ლიდერი გახდა, უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, საქართველოში ყველაფერი თითქოს სწორედ შევარდნაძის გარშემო ტრიალებს — მისი გარდაცვალებიდან ლამის ათწლეულის გასვლის შემდეგაც კი. ამიტომ იმის გააზრება, ამ 50 წლის განმავლობაში რა მოხდა, რა ხდება და რა მოხდება მომავალში, სწორედ „შევარდნაძის საიდუმლოს“ ამოხსნით თუ შეიძლება.***

როგორც შევარდნაძე თავის მემუარებში ამბობს, მისი კომუნისტური კარიერის აღწერა არასრულყოფილი იქნებოდა, ეპოქალური მნიშვნელობის ფილმის — **„მონანიების“** გადაღებასთან დაკავშირებული პერიპეტიების გაანალიზების გარეშე!

ეს მართლაც ასეა, რადგან **თენგიზ აბულაძის** ფილმი **„მონანიება“** შევარდნაძე-გორბაჩოვისეული „პერესტროიკისა“ და „ახალი აზროვნების“ ერთგვარი სავიზიტო ბარათი იყო სტალინიზმის დასაგმობად და „ადამიანური სახის სოციალიზმის“ პოპულარიზაციისთვის:

> ***„სწორედ საქართველოში გახდა შესაძლებელი, კინემატოგრაფის მიერ შეფასებულიყო საბჭოთა ავტორიტარული რეჟიმი და მონანიებისკენ პირველი ნაბიჯი გადადგმულიყო. ამ ნაბიჯის გადადგმაში პირადად მეც ვმონაწილეობდი და მეც მოვინანიე ღვთისა და ერის წინაშე თუნდაც იმით, რომ ასეთი ფილმის გადაღებას შევუწყვე ხელი. ამ ფილმმა მთელი მსოფლიო მოიარა და ბევრი პრიზი მიიღო“*** *(ე. შევარდნაძე, „ფიქრი წარსულსა და მომავალზე“, გვ. 100).*

როგორც ხედავთ, შევარდნაძე ღიად ამბობს — **„მონანიების“ გადაღების ხელშეწყობით, მეც მოვინანიე ღვთისა და ერის წინაშე ჩემი კომუნისტური ცოდვებიო,** ანუ გავემიჯნე საბჭოთა-სტალინისტურ წარსულსო!

თუმცა, ესეც ფარისევლობაა: **შევარდნაძემ და გორბაჩოვმა,** რომლებმაც „მონანიებით“ დაგმეს და სამარცხვინო ბოძზე გააკრეს სტალინიზმი, მაინც სწორედ მათგან დაგმობილი იმ ეპოქის „საუკეთესო ტრადიციებით“ ჟლიტეს მშვიდობიანი დემონსტრანტები 9 აპრილს თბილისში, ვილნიუსში, ბაქოსა თუ სუმგაითში.

თუმცა, დავუბრუნდეთ ფილმს — შევარდნაძე ასე იხსენებს „მონანიების“ ეპოპეის დასაწყისს:

> ***„ერთხელ მირეკავს კინორეჟისორი თენგიზ აბულაძე და მეუბნება, მოსვლა მინდაო. დრო დავუნიშნე — დღის ბოლო. მისთვის ჩემი კარი ყოველთვის ღია იყო, თათბირიც რომ ყოფილიყო, გამოვიდოდი და შევხვდებოდი.***
>
> ***თენგიზი დათქმულ დროს მოვიდა, მაგიდაზე ნაბეჭდი ქაღალდების დასტა დამიდო და მითხრა: ეს არის ჩემი ახალი ფილმის სცენარი. ძალიან მინდა, რომ წაიკითხოთ, უფრო პრაგმატულად შეხედავთ ყველაფერს, ძალიან რთული ფილმი იქნებაო. „მონანიების“ სცენარი იყო“*** *(იქვე, გვ. 100).*

**შევარდნაძემ,** რომელიც მაშინ ჯერ კიდევ საქართველოს კომპარტიის პირველი მდივანი იყო, **აბულაძეს** უთხრა — ხვალ მეუღლესთან ერთად მოსკოვში მივფრინავ, თან წავიღებ სცენარს და გავეცნობიო!

მემუარისტი იხსენებს, რა შთაბეჭდილებებით წაიკითხა სცენარი:

> ***„ვკითხულობ, ვკითხულობ და სული მეხუთება. წარმოვიდგინე, რა იქნებოდა ეს ეკრანზე და რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ჩვეულებრივ ადამიანზე. რა განცდებთან გვექნებოდა საქმე. ნანულიმ შემატყო, რომ შიგადაშიგ სული ყელში მებჯინებოდა და მკითხა: „ასე რამ აგაღელვა?“ სცენარი მივეცი. წაიკითხა და ისიც ჩემ დღეში ჩავარდა. როგორც ვთქვი, თავის თავზე ჰქონდა ბევრი რამ გადატანილი. ყველაფერი გაახსნდა და ქვითინი აუვარდა“*** *(იქვე, გვ. 100).*

მოსკოვიდან თბილისში დაბრუნებული შევარდნაძე ისევ შეხვდა **თენგიზ აბულაძეს:**

> ***„შეხვედრისას ვუთხარი: „ორი დიდი პრობლემა იქნება. პირველი ის, რომ ამ სცენარს მოსკოვში კინოკომიტეტი არ მიიღებს, ე.ი. დაფინანსების საკითხი; და მეორე — ვთქვათ, დავარწმუნეთ და გადაიღე კიდეც — ეს ფილმი დღის სინათლეს რამდენიმე წელი მაინც ვერ ნახავს, თაროზე უნდა იდოს. ამისთვის ხარ განწირული, ამ აზრს უნდა შეეგუო, მაგრამ ეს ფილმი რომ არ გადაიღო, დამნაშავე იქნები საქართველოს და ქართველი ხალხის წინაშე, და არამარტო ქართველი ხალხის წინაშე.“***
>
> ***შეწუხდა.***
>
> ***— აბა, რა გამოსავალია, რა გავაკეთოთ?*** *— მკითხა.*
>
> *ვუთხარი:*
>
> ***— კიდევ შევხვდეთ ხვალ-ზეგ. ვიცი, რა გზებიც არსებობს. მთავარია, ფილმი გადავიღოთ. მერე ვნახოთ, რა როგორ იქნება...“*** *(იქვე, გვ. 101).*

მოკლედ, ასეთი გამოსავალი მოიფიქრეს: კინოსტუდიის მაშინდელი ხელმძღვანელის **რეზო ჩხეიძის** აზრით, ამ სცენარით სატელევიზიო ფილმი უნდა გადაეღოთ. საქმეში ჩაერთო ტელერადიოკომიტეტის თავმჯდომარე **ნუგზარ ფოფხაძე,** რომელიც ფილმის დაფინანსებისთვის დაუკავშირდა საკავშირო ტელერადიოკომიტეტის თავმჯდომარე **ლაპინს,** რომელსაც, შევარდნაძის თქმით, სცენარიც არ წაუკითხავს, ისე დააფინანსა ფილმი, ხომ იცი, როგორ გენდობი შენც და შევარდნაძესაცო!

ამასობაში **შევარდნაძე** დაელაპარაკა თავის კარგ ნაცნობს, საკავშირო ცეკას კულტურის განყოფილების გამგეს **შაურის** და დაარწმუნა — „მონანიება“ ეპოქალური ფილმი იქნება, ცოდოა მისი მხოლოდ სატელევიზიო ფორმატში გადაღება და იქნებ კინოკომიტეტში სცენარის განუხილველად მოხდეს მისთვის გზის გაკვალვაო.

ასეც მოხდა: **მოსკოვმა შესაბამისი დაფინანსება გამოყო „ქართული ფილმისთვის“ და როცა უკვე დახურულ ჩვენებაზე შევარდნაძეც მიიწვიეს, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „მონანიებამ“ გამაოგნებელი, წარუშლელი შთაბეჭდილება დაუტოვა!**

ამასობაში შევარდნაძე გორბაჩოვმა მოსკოვში საგარეო საქმეთა მინისტრად გადაიყვანა:

> ***„ეტყობა, თბილისში ცოტა იჩქარეს. ზუსტად არ ვიცი, რა მოხდა. როგორც ჩანს, საქართველოს მაშინდელი ხელმძღვანელობის უჩუმრად ფილმი საზოგადოებას აჩვენეს. ერთი ალიაქოთი ატყდა. რამდენიმე კაცი მოხსნეს სამსახურიდან, რამდენიმეც, მგონი, პარტიიდან გარიცხეს.***
>
> ***რეაქცია ამ ფილმზე ძალიან მწვავე იყო. ზუსტად არ ვიცი, რამდენი პროცენტი იქნებოდა საქართველოში ბოლშევიკურად მოაზროვნე ადამიანებისა, იმ ხალხისა, ვინც იტყოდნენ, რომ ეს არის ცილისწამება და ა.შ., მაგრამ შედეგი ის იყო, რომ ფილმი თაროზე დაახლოებით ორი-სამი წელი დაიდო. მოსკოვში ჩასვლისთანავე ვერ მივიდოდი გორბაჩოვთან და ვერ ვეტყოდი, საქართველოში ასეთი ფილმი გვაქვს-მეთქი. მიმაჩნდა, რომ მომწიფდებოდა დრო, როცა ამ ფილმზე ლაპარაკს დავიწყებდი“*** *(იქვე, გვ. 103).*

მოვლენები კი ასე განვითარდა: „პერესტროიკააგუგუნებულ“ მოსკოვში საქართველოს ცეკას პირველი მდივანი **ჯუმბერ პატიაშვილი** მივიდა გორბაჩოვთან და უთხრა — ასეთი და ასეთი ფილმი გვაქვს და ორი წელია, თაროზეა შემოდებულიო! გორბაჩოვს უპასუხია — ფილმს ვნახავ და ვნახოთო!

გორბაჩოვმა თავის რეზიდენციაში ერთ საღამოსაც **რაისა მაქსიმოვნასთან** ერთად უყურა ამ ფილმს:

> ***„მეორე დღეს გორბაჩოვმა დამირეკა:***
>
> ***— რატომ არ მითხარი, ასეთი ფილმი თუ იყო საქართველოში?*** *(სხვათაშორის, გორბაჩოვი ქართული ფილმების შესანიშნავი მცოდნე იყო).*
>
> ***— არ გითხარით, რადგან შესაფერის დროს ველოდი. ახლა კი, მგონი, დადგა დრო, როდესაც ამ ფილმის გაშვებაზე უნდა ვიფიქროთ. მისი თაროზე დატოვების ყოველი დღე დანაშაულია. ხალხმა უნდა ნახოს იგი...***
>
> ***— მე და რაისა მაქსიმოვნას*** *(აქვე უნდა აღვნიშნო, რომ თავისი მეუღლის ნათქვამისა ჩემს ნათქვამზე ნაკლებად არ სჯეროდა)* ***ფილმი განსაკუთრებით მოგვეწონა. ალბათ, უნდა გავუშვათ, მაგრამ მე მინდა, პირადად გთხოვო, მიხვიდე ლიგაჩოვთან და მას მოელაპარაკო, — მითხრა გორბაჩოვმა“*** *(იქვე, გვ. 103).*

ამგვარად, **ლიგაჩოვმაც** თავის მეუღლესთან ერთად ოჯახში უყურა ფილმს! 1937 წელს მამადახვრეტილ, რეპრესირებულ ოჯახში გაზრდილ მეუღლესაც უტირია და **ლიგაჩოვის** ვერდიქტიც ასეთი იყო: **თუკი გორბაჩოვი თანახმაა, გავუშვათ ფილმი კინოთეატრებშიო!**

ისევ ატყდა ალიაქოთი: საბჭოთა პრესაში ერთნი აქებდნენ „მონანიებას“, მეორენი მას **„საშიშ იდეოლოგიურ დივერსიას“** უწოდებდნენ!

როგორც **შევარდნაძე** ამბობს, ის პირადად ლობირებდა, რომ საბჭოთა კავშირის კინოკომიტეტს ეს ფილმი კანის ფესტივალზე გაეშვა — „პერესტროიკის“ ახალ პოლიტიკას ასე სჭირდება, მსოფლიომ ნახოს, რომ ვიცვლებითო!

მოკლედ, აი, ასე ჩაეწერა **თენგიზ აბულაძის** მართლაც ეპოქალური ფილმი გორბაჩოვისეულ „პერესტროიკაში“ — **ის აღმოჩნდა ერთგვარი ვიტრინა დასავლეთისთვის ველური საბჭოთა კავშირის ეპოქალური ცვლილებისათვის!**

„მონანიებაზე“ საუბრის ბოლოს მემუარისტი ერთ საიდუმლოსაც გვიმხელს:

> ***„სხვათაშორის, მოგვიანებით, უკვე თავისუფალ საქართველოში, ბატონ თენგიზს სურდა, თავისი ახალი ჩანაფიქრი განეხორციელებინა — გადაეღო ფილმი „მონანიება-2“. მანამდე ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ამგვარი ფილმის გადაღება ვინმეს აზრად მოუვიდოდა. დამოუკიდებელი ქვეყნის რეალობა ხელოვანისთვის არანაკლებ შემზარავი აღმოჩნდა, ვიდრე ტოტალიტარიზმის კოშმარი. ფილმის გადაღება მან ველარ მოახერხა, ვერ მოასწრო — ამ ქვეყნიდან უდროოდ წავიდა. ღმერთმა გაანათლოს მისი სული“*** *(იქვე, გვ. 105).*

არადა, ამ ფილმში აბელ არავიძე და მისი დოქსოპულოები, წესით, უკვე აშკარად პრეზიდენტად მოვლენილი შევარდნაძე და მისი სატრაპები უნდა ყოფილიყვნენ, დამოუკიდებელი საქართველო ჯოჯოხეთად რომ უქციეს ქართველ ხალხს.




**აი, ასე ჩაეწერა თენგიზ აბულაძის მართლაც ეპოქალური ფილმი გორბაჩოვისეულ „პერესტროიკაში“...**

***გიორგი გიგაური***

***გაგრძელება იქნება***

***ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციას მალე მიენიჭება ერთპიროვნული გადაწყვეტილებების მიღების უფლება. როცა მოისურვებს, საგანგებო მდგომარეობას გამოაცხადებს და დაზაფრული მსოფლიოს ერთპიროვნული მმართველი გახდება, ისევ მოგველის საზღვრების ჩაკეტვა, მსოფლიოს გაჩერება ლოქდაუნით, მწვანე პასპორტების შემოღება, ათასგვარი ჯარიმების დაწესება, — ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი ადამიანის ეკოლოგიის ექსპერტთა საბჭოს თავმჯდომარემ, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა თინა თოფურიამ:***





## თინა თოფურია:

# მორიგი პანდემია 2025–2028 წლებში დაგეგმეს!

— მორიგი პანდემია 2025-2028 წლებში დაგეგმეს! მანამდე ნელ-ნელა დაიწყებენ ფსიქოლოგიურ წნეხს. შიში ჯანმრთელობის პირველი მტერია, უნგრევს ადამიანს როგორც ფსიქიკას, ასევე იმუნიტეტს და საუკეთესო გარემოს ქმნის ორგანიზმში ყველანაირი პათოგენის გამრავლებისათვის. ამის შესახებ თუ ადრე ერთეულები ვსაუბრობდით, ახლა უკვე ოფიციალურმა მედიცინამაც აღიარა და კვლევებით დადასტურდა.

**— ვარაუდობთ, რომ ისევ აამუშავებენ მწვანე პასპორტების სისტემას?**

— უთუოდ! ამ პასპორტს ბევრი დატვირთვა აქვს. უპირველეს ყოვლისა, ეს არის აცრის იძულების საუკეთესო მექანიზმი. ასევე, კარგი ბერკეტია აუცრელთა დისკრიმინაციისა და საზოგადოების პოლარიზაციისათვის: ანუ ორი დაპირისპირებული ბანაკი — აცრილები და მათი აუცრელი „მტრები", რომლებიც საფრთხის მატარებლებად წარმოჩნდებიან. **მაგრამ მთავარი ეს არ არის.** სამწუხაროდ, კოვიდ-პასპორტების რეალური არსი მოსახლეობისათვის ჯერჯერობით უცნობია.

**— და რაში მდგომარეობს?**

— რადგან ეს იყო გრანდიოზული მასშტაბის ექსპერიმენტი, შექმნეს მწვანე პასპორტი, რომელშიც წერია, თუ რომელი ვაქცინის რომელი პარტიით არის ადამიანი აცრილი. ყველა პარტიას თავისი კოდი აქვს, რომლის შიფრიც იციან მხოლოდ გამომცდელებმა. აქედან გამომდინარე ისინი აღრიცხავენ, რომელმა ვაქცინამ რამდენი ადამიანი დააზიანა და რამდენი გარდაიცვალა. 2023 წელს გამოქვეყნდა დანიელი მეცნიერების კვლევა. მილიონობით ვაქცინის შესწავლით დადგინდა, რომ „ფაიზერის" ვაქცინები იყო სამი სახის: **1. სუსტი მოქმედების; 2. ძლიერი მოქმედების,** რომელმაც ბევრი გართულება და სიკვდილი გამოიწვია; **3. პლაცებო,** ანუ სატყუარა, რომელმაც 30 პროცენტი შეადგინა. ამ დიფერენციაციით აიხსნება, რომ ვაქცინაციამ ზოგს სერიოზული გართულებები დაუტოვა, ზოგსაც მხოლოდ არსებული ქრონიკული პროცესები გაუმწვავა, ნაწილს კი არანაირი ზიანი არ მიაყენა!

მოკლედ, ვინც აიცრა, დაზაფრულია იმის მოლოდინში, რომ აუცილებლად ცუდი რამ დაემართება, თუმცა, ასეთები, მინდა, დავამშვიდო — **თუ აქამდე არაფერმა შეგაწუხათ, ჩათვალეთ, რომ მაგრად გაგიმართლათ და პლაცებო შეგხვდათ, ოღონდ მომავალში ნუღარ აიცრებით, კოკა წყალს ყოველთვის არ მოიტანს!**

**— და მაინც, რა გართულებები მოიტანა ვაქცინაციამ?**

— სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა გართულებები აღინიშნება, არც ერების გენეტიკურ თავისებურებებზეა დამოკიდებული. **ძალზე გახშირდა ახალგაზრდების უეცარი სიკვდილი, რაც ლამის დამოუკიდებელ დიაგნოზად ჩამოყალიბდა.** ამის დამალვა შეუძლებელია, რადგან უკვე ბევრი ცნობილი პირი შეეწირა, მათ შორის, სპორტსმენები. ცხადია, რომ **თრომბოემბოლიებთან** გვაქვს საქმე. ხშირია ფსიქიკის შეცვლა, რაც გამოიხატება როგორც ზოგადად აგრესიულობის მომატებაში, ასევე დეპრესიებსა და სუიციდურ ტენდენციებში. **ყველაზე ტაბუდადებული თემაა სიმსივნეები.** გაჩნდა ახალი ტერმინი: **„ტურბო კიბო".** ეს არის განსხვავებული ტიპის კიბო, რომელიც ძალიან სწრაფი დინამიკით ხასიათდება და ჩვეულებრივ მკურნალობას არ ექვემდებარება.

**მინდა, მკაფიოდ განვმარტო, რომ ეს ეხება მხოლოდ ახალი ტექნოლოგიით შექმნილ mRNA ვაქცინებს, რომლებიც აიძულებენ ორგანიზმს, თავად გამოიმუშაოს ე.წ. სპაიკ ცილები.** როგორც აღმოჩნდა, ეს ცილები იმის ნაცვლად რომ, როგორც გვპირდებოდნენ, 1-2 დღეში უნდა გამქრალიყო, ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა ორგანოში გროვდება და იქ აგრძელებს მოქმედებას, რითიც იწვევს ამ ორგანოს დაზიანებას.

აშშ სენატში განხილული მონაცემების მიხედვით, მამაკაცთა უშვილობა გაიზარდა 350, ხოლო ქალების — 476 პროცენტით! საკვერცხეების დისფუნქციამ იმატა 437 პროცენტით! აშშ სადაზღვევო კომპანიების სტატისტიკით, 25-დან 64 წლამდე მათი ბენეფიციარების მონაცემების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ 2021-2022 წლებში სიკვდილიანობამ მოიმატა 40 პროცენტით, ხოლო ინვალიდობამ — 4,2 მილიონით!

დღითი დღე მატულობს მონაცემები ორსულთა აცრის შედეგად მიღებულ გართულებათა შესახებ (მუცლის მოშლა, ნაადრევი მშობიარობა, მკვდრადშობადობა). იმატა ახალშობილებში მიოკარდიტების რაოდენობამ და უკვე გამოჩნდა სიმახინჯეები. საუბარია არამარტო იმ დედებზე, რომლებიც ორსულობისას აცრეს, არამედ მათზეც, ვინც მანამდე იყო აცრილი. დადგინდა, რომ სპაიკ ცილა აზიანებს ნაყოფს. ამიტომ, თუ ადრე ვურჩევდი აცრილებს, 3-5 თვის განმავლობაში თავი შეეკავებინათ დაფეხმძიმებისაგან, ახლა ვურჩევ — სასურველია, 2 წელი მოიცადონ.

**— რას იტყვით ბავშვების ვაქცინაციის თაობაზე?**

— ბავშვებში ამ სპაიკ ცილის შეყვანა კატეგორიულად დაუშვებელია! მათი აცრის აუცილებლობა ისედაც არ არსებობს, რადგან დადგენილია, რომ კოვიდი სკოლამდელებს საერთოდ არ ემართებათ, ხოლო მოზარდებს — მსუბუქად გადააქვთ. საგანგაშოა, რომ აცრილ მოზარდებში მიოკარდიტები და პერიკარდიტები გახშირდა! უცნაური ის არის, რომ ბიჭები 7-ჯერ მეტად ზიანდებიან, ვიდრე — გოგონები. **მიუხედავად მრავალი პროგრესული ექიმისა და მეცნიერის კატეგორიული პროტესტისა, რომლებიც ბავშვების აცრას პირდაპირ გენოციდს უწოდებენ, ამერიკის დაავადების კონტროლის ცენტრმა მაინც მწვანე შუქი აუნთო 6 თვიდან ჩვილების აცრას!** ამაში ჯერჯერობით ამოუცნობი, რაღაც ჩანაფიქრია ჩაქსოვილი.

მადლობა ღმერთს, ჩვენში ჯერჯერობით არ არის დაწყებული აგიტაცია, თორემ მოდას აყოლილი ზოგიერთი მშობელი უმალ ასაცრელად გააცუნცულებდა თავის პატარას, რითიც სამუდამო დაღს დაასვამდა მის ჯანმრთელობას!

**— უკვე ღიად კეთდება განცხადებები, რომ ვაქცინაციამ მოსახლეობის 100 პროცენტი უნდა მოიცვას და საერთაშორისო თუ ადგილობრივი კანონები ამისგან ვერ დაგვიცავენ.**

— ხელშეკრულების პირობებში ჩაქსოვილია, რომ პანდემიის შემთხვევაში შეერთებული ქვეყნების კონსტიტუციებმა თავიანთი მოქმედება უნდა შეწყვიტონ, ხოლო მთავრობებმა სახელმწიფოთა მართვის უფლებამოსილება ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციას გადასცენ. **ბუნებრივია,** ვაქცინაცია სავალდებულო იქნება ისევე, როგორც ჯანმოს მიერ დადგენილი მკურნალობის პროტოკოლები, რომელთა დამრღვევ ურჩ ექიმებს სამსახურიდან დაითხოვენ! უკვე გვაშინებენ, რომ გამოჩნდება ახალი ვირუსი, უფრო ვირულენტური, რომლისგანაც განსაკუთრებით ბავშვები დაზარალდებიან. საინტერესოა, საიდან იციან ეს წინასწარ?

**— კოვიდის დროს ბევრი გადაურჩა აცრას და, იმედია, ახლაც ასე იქნება.**

— ნურავის ექნება მაგის ილუზია! მართალია, კოვიდის დროს ვაქცინაცია ნებაყოფლობითი იყო, მაგრამ იყო სხვადასხვა ასპექტის წნეხები. ადამიანებს აცრაზე უარის თქმის გამო სახელმწიფო სამსახურებიდან უკანონოდ ათავისუფლებდნენ! **რეალურად, აცრილების ნახევარზე მეტი არაოფიციალური იძულებით აიცრა.** მომავალში კი, იმის მიუხედავად, რომ აცრის მსურველთა რაოდენობა შეუდარებლად ნაკლები იქნება, აცრას თავს მაინც ვერავინ დააღწევს, რადგან ვაქცინაცია ოფიციალურად გამოცხადდება სავალდებულოდ!

**— და მაინც, რა შედეგი მოიტანა ამ ყბადაღებული აცრების საყოველთაო პროპაგანდამ?**

— აცრამ ადამიანები არც დაავადებისგან დაიცვა, არც — ჰოსპიტალიზაციისგან; არც სიკვდილიანობა შეამცირა და არც პანდემია შეწყვიტა. **„პანდემია" მხოლოდ რუსეთ-უკრაინის ომმა შეაჩერა ერთ დღეში!!!**

ჩვენმა მთავრობამ ხელი არ უნდა მოაწეროს ახალ პანდემიურ საერთაშორისო ხელშეკრულებას და ეს საკითხი ჯანდაცვის ახალმა მინისტრმა და პრემიერმა უნდა გადაჭრან! **ვფიქრობ, საზოგადოებამაც უნდა იაქტიუროს და დროულად გააცნობიეროს საზარელი განაცდელი!**

*ესაუბრა*

***ზაზა დავითაია***




## კვირგვინოსნები

**ნინო ჩხობაძე**
*„საქართველოს მწვანეები — დედამიწის მეგობრების" თავმჯდომარე*



**თბილისი არ ნიავდება და ეს მაღალსართულიანი მშენებლობების შედეგია.** თბილისისთვის არ იყო დამახასიათებელი სითბური ტალღები და რამდენიმე წელია, ეს მოვლენა დაფიქსირდა დიდი სიცხის დროს. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, **შემინული შენობებიც თავისას შვრება, უარყოფითად მოქმედებს — მზის სხივი სხვანაირად გარდატყდება,** კონცენტრირებას ახდენს კონკრეტულ უბნებზე. ამიტომ **ერთადერთი გამოსავალია გამწვანებული ზონების გაზრდა.**

„კვირის პალიტრა"

**ლადო ვარდოსანიძე**
*ურბანისტი*



**დაიკარგა ეზოს ფენომენი,** საერთოდ აღარ აქვს კორპუსებს. ეს მაშინ, როდესაც **ეზო,** გარდა იმისა, რომ განიავებას უწყობდა ხელს, იყო თაობების სოციალიზაციის გარემო. **ჩვენ ეზოში ვსწავლობდით ურთიერთობებს,** იქ ვთამაშობდით და ა.შ. ვფიქრობ, ეს არის ძალიან დიდი დანაშაული.

„რეზონანსი"

**სერგო ჩიხლაძე**
*„სტრატეგიის აღმაშენებლის" წევრი*



**ონკოპაციენტებს, რომელთაც მოახერხეს საზღვარგარეთ სხვადასხვა პროგრამაში ჩართვა, ადეპორტებენ,** რადგან აქედან უპატაკებთ, რომ ყველაფერი კარგად არის... რას ახვედრებთ? — **სიცოცხლეზე დაწესებულ ლიმიტებს.**

„რეზონანსი"

**მევლუდ მელაძე**
*საავტომობილო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი*



ყველაფერი იქითკენ მიჰყავთ, რომ **შემცირდეს საპარკინგე ადგილები და გადავსხდეთ ველოსიპედზე.**

„რეზონანსი"

# მო გელა ნდებით!

## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად






# ესენი მალე ერთმანეთში შეელე-ტებიან!

მე არ ვიცი, **ერთმანეთში რო შეელეტებიან,** იქ რა ფეხები დახვდებათ, მაგრამ ჯერჯერობით ვერაფერს ვიზამთ.

**რატომ უნდა შეელეტონ ერთმანეთში?**

**იმიტომ, რომ არჩევნები ახლოვდება და ჰგონიათ, ერთმანეთში შეღეტებით ხელს გამოჰკრავენ რასმე.**

ეგონოთ!

☺

როგორც კი არჩევნები დასრულდება, ერთმანეთისგან ისევ **გამოელეტებიან** და სადმე **წაელეტებიან,** ტელევიზორში ივიშვიშებენ — გაგვიყალბესო, თორემ არდან-ბურდანს გადავიდოდითო.

გაგვიყალბესო, მააააშ!

მოსახლეობა მოისყიდეს, თითო კილო კარტოფილი და ხახვი დაურიგესო. ვერც კი მიხვდებიან, რომ ამით საკუთარ თავებს შეურაცხყოფენ — **თუ მოსახლეობა ამათ არჩევას თითო კილო კარტოფილსა და ხახვს ამჯობინებს!**

☺

არ ვიცი, თავს ვერ დავდებ, ერთმანეთში რომ **შეელეტებიან,** შეიძლება აღარც **გამოელეტონ** და **შიგ** დარჩნენ.

აი, დარდი, თუ **შიგ** დარჩებიან!



# უსაქმურთა ფაციფუცი და კურკუმალის ფასი-ფუსი




მე არ ვიცი, რა დასკვნას დადებს **ბატონი კურკუმალი,** პროდუქტების **ფასებთან** დაკავშირებით, მაგრამ ერთი რამ ახლავე შემიძლია, გითხრათ: **საქართველოში პროდუქტების ფასები „შავ-ბნელი“ კომუნისტების პერიოდისას გაუტოლდება მაშინ**, როცა საგოდრეკისრიანი **ჟიჟა ვაშაძე** პარლამენტში კი არ გვეჯდება, ვენახიდან ყურძნით სავსე გოდრებს გამოზიდავს!

**მაშინ, როცა პაატა მანჯგალაძე** თოხით ბაღ-ბოსტანს შემოუვლის და ნება-ნება მორწყავს!

**მაშინ, როცა ავი ანა ნაცვლიშვილი** კისრიდან ენას ჩამოიღებს, ლურჯ ხალათს შემოიცვამს და ფერმაში წველადობას გააუმჯობესებს!

**მაშინ, როცა სალომე სამადაშვილი** თავზე ხილაბანდს წაიკრამს, **ავი ანას** მოწველილ რძეს წამოადუღებს, გააქან-გამააქანებს და კარაქს შედღვებავს!

**მაშინ, როცა ხაზარაძის** „პადელნიკი“ **გრიგოლა გეგელია** რეზინის ჩექმებს ამაიცვამს, მხარზე თოფს გადაიკიდებს და „მუსტანგით“ ვენახებს შემოუვლის.

☺

რომელი ერთი უსაქმური და ყალთაბანდი ჩამოვთვალო?

**იმდენნი არიან, ეს ჩემის ვართაპეტიანები, ბაღ-ბოსტნებსა და ვენახებში რო შევყაროთ, რამდენიმე თვეში ჩვენი სოფლის მეურნეობა არათუ აღორძინდება, არდან-ბურდანსაც გადავა.**

დიახ-დიახ! ამოდონა ველ-მინდვრები, ბაღები, ვენახები, ბოსტნები მისახედია და ესენი კიდე ისევ საპარლამენტოდ ემზადებიან, თან თავებსაც იტყუებენ — **უმრავლესობებით** მოვდივართო.

გაიგონეთ?

**უმრავლესობებითო!**

ყველანი ცალ-ცალკე მოდიან **უმრავლესობებით!**

☺

ეგ არი! — **სანამ ესენი კანონმდებლებად და ჭკუის დამრიგებლებად იმუშავებენ, ფასები არ დაიწევს.**

# ახლა ამას ბაკში რომ ჩაუღვაროს ვინმემ, ხომ არი ღირსი?!




რატომ უნდა **ჩაუღვაროს?**

ჯერ ერთი, იმიტომ უნდა **ჩაუღვაროს,** რომ ესენი წინა არჩევნების დროს ღვინოსა და „ბორჯომში“ **გვიღვრიდნენ.** მართალია, ვერ **ჩაგვიღვარეს,** მაგრამ ხომ ცდილობდნენ?

მეორეც — იმიტომ უნდა **ჩაუღვაროს,** რომ ესენი ორმაგი ნიღბებით ცხოვრობენ და მოსახლეობასაც ორმაგი ნიღბებით ეთამაშებიან. ერთია **გაჭირვებულის ნიღაბი** — ვითომ ღატაკები არიან და ასე პატიოსნურად ცდილობენ ქვეყნის გადარჩენას; მეორეა ამათი ფარული სიმდიდრე — ძვირადღირებული მანქანები და სრასასახლეები.

მართალია, ხალხს ვერ ატყუებენ, მაგრამ ხომ ცდილობენ? ხომ ბედავენ?

☺

ამ ტიპს არა მხოლოდ ბაკში უნდა **ჩაუღვაროს** ვინმემ, არამედ თავზეც უნდა **დაასღვაროს!**

თავი რაღა შუაშია?

ჰმ... თავი შუაში კი არა, თავშია!

მე პირადად ძალიან მრცხვენია, ჩემს სამშობლოს ასეთი **ჩაღვარული** ოპოზიცია რომ ჰყავს, ხოლო ამ **ჩაღვარულ** ოპოზიციას — ასეთი დუპლეტი თავკაცი!

☺

ხალხო! არავინ ხართ მადლიანი, ამას ბაკის გარდა, შუშების საწმენდ „ბაჩოკშიც“ რომ **ჩაუღვაროთ** და მერე „კანტროლკაც“ დაახალოთ, ანუ თავზე **დაღვარებით?!**

# ხალხში გამოსასვლელი პირი ვისა აქვს?



ეს ქალი გახსოვთ, **ნიკანდრო გვარამიას** რო მიჰხუტებია და ნეტარებით იკრიჭება?

ჰო, ეგ არი, ეგა, საკონსტიტუციო სასამართლოში **სალომე ბაბოს** რო იცავდა და თავი რბილი **„ლ“**-ებით დაგვამახსოვრა. გინდათ თუ არა, მადამ **პლეზიდანს** კონსტიტუცია არ დაურღვევია, „პუწიოვკის“ გარეშე ევროპაში ხეტიალი დაშვებულიაო.

მართალია, არავინ დაუჯერა, მაგრამ თავი ხო დაგვამახსოვრა?

ეს ქალი — **ვინმე მაია კოპალეიშვილი** — წინა ცხოვრებაში **ადეიშვილის მოადგილეც** ყოფილა, ანუ მწამებლობაშიც ჰქონია სტაჟი და გამოცდილება. ამბობენ, მოსამართლეც იყოო და ახლა კიდე **ნიკანდრო გვარამიას** ე.წ. პოლიტიკურ გუნდს მიერთებია.

☺

მალე შემოდგომა მოვა, კრახით დასრულდება ამათი საარჩევნო აპრუწუწუნი და... დაიწყებენ ჯღნავილს — **ბიძინა ივანიშვილმა გაგვიყალბა, ხალხნო, გამოდით გარეთო.**

**ვინ გამოვა?**

**არც არავინ!**

**ხალხში გამოსასვლელი პირი ვისა აქვს?**

## კვირგვინოსნები

**ლელა ჯეჯელავა**
*ანალიტიკოსი*



თითქმის 12 წელია, გარკვეული ოპოზიციური პარტიებიდან მესმის, რომ არა — ნაცებს, არა — ქოცებს. 12 წლის განმავლობაში იმას რომ ვერ მოახერხებ, **ისევ ქოცი და ნაცი რომ აღარ იყოს მთავარი განმსაზღვრელი არჩევნებისა,** მაშინ **ქოცისა და ნაცის** კი არა, შენი ბრალია! **თუ არა — ქოცს და არა — ნაცს,** მაშინ გვითხარით, რატომ თქვენ?!

„ახალი თაობა“

**დემურ გიორხელიძე**
*ანალიტიკოსი*



წლებია, ვლაპარაკობ, რომ **ნატო წარსულში დარჩენილი ორგანიზაციაა, ხოლო ევროკავშირი არავის სჭირდება ახალ გეოპოლიტიკურ სინამდვილეში:** არც შეერთებულ შტატებს და არც ბრიტანეთს, ამიტომ მიმდინარეობს მისი სრული პოლიტიკური დაკნინება.

„თბილისელები“

**გიგი უგულავა**
*პოლიტიკოსი*



**ბოდიში მომითხოვია, რომელ არჩევნებზე ვლაპარაკობთ?** არჩევნები ვერ იქნება სამართლიანი, თუ მისი მთავარი სუბიექტი **მიხეილ სააკაშვილი** არ იქნება თავისუფალი.

„პირველი არხი“

**თამარ ჩერგოლეიშვილი**
*„ევროპული საქართველოს“ წევრი*



**გიგი უგულავას** მსგავსი **უღირსი მძორი** საქართველოს მიწაზე არ დადის.

„პირველი არხი“

**მამუკა ხაზარაძე**
*„ლელოს“ ლიდერი*



ჩვენ ვიცით, **როგორ აღმოვფხვრათ 200 ათასი სამუშაო ადგილის დეფიციტი,** მე და ბადრის ეს წინა ცხოვრებაში გვაქვს გაკეთებული.

„პირველი არხი“



# „დაღლილობა შესაძლოა, სიბერის ნიშანიც იყოს, მაგრამ ქრონიკული დაღლილობის რეალური მიზეზი ხშირად ანემიაც არის!“

**კახა საბახტარიშვილი** — ექიმი ნევროპათოლოგი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი, საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. გასული საუკუნის 80-იან წლებში იყო კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატ **„კატრექსის“** ავტორის **ალექსანდრე გაჩეჩილაძის** მიერ შექმნილი **საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საიდუმლო სამეცნიერო ლაბორატორიის მთავარი ექიმი,** ქალაქ თბილისის №13 პოლიკლინიკის დირექტორი. აქვს გამოქვეყნებული 7 წიგნი და 1 მონოგრაფია, 50 სამეცნიერო სტატია. მსოფლიო აღიარება მოიპოვა მისი ხელმძღვანელობით შექმნილმა წამლებმა **„გულის ელექსირი ფორტე“, „ტონზილინი“ და „იმუნო ჰერბი-ფორტე“,** რომლებსაც ათასობით ადამიანი ღებულობს როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.




**თბილისი, ვაჟა-ფშაველას 43, მეტროსადგური „დელისი“ (პროფკავშირების სახლი). 593 31 70 34; ფეისბუქი: „კახა საბახტარიშვილის ჯანმრთელობის ცენტრი“ და „ლაზიკა-ფარმა“**

## კახა საბახტარიშვილი:

# თუ ყველა ამ ნიშანს დაღლილობა და მოთენთილობა ერთვის, დიაბეტი კარს არის მომდგარი და სასწრაფოდ მივმართოთ ექიმს!

***ცნობილი ჰომეოპათი, ექიმი კახა საბახტარიშვილი აცხადებს, რომ ქრონიკული დაღლილობა, რომელსაც ზოგჯერ არასწორად მკურნალობენ ან საერთოდ ვერ მკურნალობენ, პირდაპირ კავშირშია კუჭის წვენის გამოყოფასთან:***

— ფიზიკური და გონებრივი მუშაობის, ინტენსიური ვარჯიშის, სიარულისა და სირბილის შემდეგ, როგორც წესი, ადამიანი იღლება, მაგრამ დასვენების კვალდაკვალ სისუსტის შეგრძნება უკვალოდ უნდა გაქრეს, არადა, ჩვენ გარშემო ძალიან ბევრი ადამიანი ზემოხსნებული ფაქტორების გარეშეც თავს მუდმივად დაღლილად გრძნობს და ვერანაირი გამოძინება ვერ შველის. ასეთი ადამიანები დაღლილობის მოსახსნელად ხშირად მიმართავენ სტიმულატორებს — ჩაის, ყავას, გამამხნევებელ სასმელებს, ვიტამინებს, მინერალებს, მიკროელემენტებს და ა.შ. მიუხედავად ამისა, მათი მდგომარეობა არ იცვლება და დაღლილობა მუდმივ და ქრონიკულ ხასიათს ატარებს. ერთი შეხედვით, უმიზეზო დაღლილობა ფარულად მიმდინარე უამრავი სერიოზული დაავადების ერთადერთი პირველი გამოვლინება შეიძლება იყოს.

**— მაინც რა დაავადებებზე მიგვანიშნებს უმიზეზო ქრონიკული დაღლილობა?**

— თუ თავს მუდმივად დაღლილად ვგრძნობთ, პირველ რიგში, ღვიძლის პათოლოგია უნდა გამოვრიცხოთ! ღვიძლის დაზიანებით მიმდინარე ქრონიკული დაავადებები, უმრავლეს შემთხვევაში და ხანგრძლივი დროის განმავლობაში, უსიმპტომოდ მიმდინარეობს და მისი ერთადერთი ნიშანი სწორედ დაღლილობაა. როდესაც ღვიძლი ზიანდება, მისი უჯრედები — ჰეპატოციტები ირღვევა და უჯრედში არსებული ნივთიერებები გარეთ გამოიყოფა. ამის შედეგად ღვიძლი თავის მთავარ ფუნქციას — ტოქსინების განეიტრალებას ვერ ახერხებს, იწყება ორგანიზმის ინტოქსიკაცია, თავის ტვინის ფუნქციების მოშლა და ადამიანს მუდმივი დაღლილობა აწუხებს.

ამ მხრივ განსაკუთრებით ვერაგია C ჰეპატიტი, რომელიც, პრაქტიკულად, შეუმჩნევლად იპყრობს ღვიძლს და ადამიანი ციროზამდე და ღვიძლის კიბომდე მიჰყავს. ამიტომ, როგორც კი აუხსნელ სისუსტეს ვიგრძნობთ, პირველ რიგში, ღვიძლის პრობლემები უნდა გამოვრიცხოთ! ამის გაკეთება ძალიან მარტივია — საჭიროა ღვიძლის ექოსკოპია, ანალიზი C და B ჰეპატიტზე და ვირუსის არარსებობის შემთხვევაშიც კი ღვიძლის ფერმენტების განსაზღვრა.




**— ვთქვათ, ღვიძლი წესრიგშია, მაგრამ მაინც მუდმივ დაღლილობას ვგრძნობთ. ამ შემთხვევაში რას უნდა მივაქციოთ ყურადღება?**

— ჩვენს გარემომცველ სამყაროში დაავადების გამომწვევი უამრავი ვირუსია. მათი დიდი უმრავლესობა ორგანიზმში მოხვედრისთანავე სხვადასხვა პათოლოგიას იწვევს. ამ დროს ადამიანი, ცხადია, თავს მოთენთილად და დაღლილად გრძნობს, მაგრამ, როდესაც ამ ვირუსებს ორგანიზმის იმუნური სისტემა გაანადგურებს, ბრუნდება ცხოვრების ჩვეულებრივი რიტმი. თუმცა, არსებობს ვირუსების გარკვეული ჯგუფი, ე.წ. ლატენტური ვირუსები, რომლებიც საკმარისია ცხოვრებაში ერთხელ შეგვხვდეს, რომ ორგანიზმიდან აღარ გამოვლენ! ისინი ემალებიან იმუნურ სისტემას და მხოლოდ გარკვეულ პირობებში აქტიურდებიან. ამგვარ ვირუსთა რიცხვს მიეკუთვნება **ჰერპესვირუსები.** მათგან ყველაზე სახიფათოა **ეპშტაინ-ბარის ვირუსი,** რომელიც ადამიანთა 95 პროცენტს აქვს. ეს ვირუსი ბლოკავს D ვიტამინს, რომლის როლზეც ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია. **ეპშტაინ-ბარის ვირუსმა** შესაძლოა, თავი ათწლეულების განმავლობაში არ გამოავლინოს, მაგრამ საკმარისია სტრესი, რა დროსაც იმუნიტეტის დამთრგუნველი **კორტიზოლი** გამოიყოფა, რომ ვირუსი მთვლემარე მდგომარეობიდან გამოდის და შესაძლოა, დაფიქსირდეს სისუსტე, მოთენთილობა, დეპრესია, ლიმფური კვანძების გადიდება, სახსრებისა და ყელის ტკივილიც კი.



***„თუ თავს მუდმივად დაღლილად ვგრძნობთ, პირველ რიგში, ღვიძლის პათოლოგია უნდა გამოვრიცხოთ!“***

სხვათაშორის, ცნობილ ამერიკელ მომღერალ **შერის** ყოველგვარი მიზეზის გარეშე უმძიმესი დეპრესია და ძლიერი სისუსტე დაემართა. მას ათასნაირი ვიტამინებითა და ანტიდეპრესანტებით მკურნალობდნენ. ბოლოს გაირკვა, რომ ქრონიკული დაღლილობისა და დეპრესიის მიზეზი სწორედ დიდი ხნის განმავლობაში მიძინებული ეპშტაინ-ბარის ვირუსი იყო, რომელიც სტრესმა გააქტიურა. უკვე დადასტურებულ ფაქტად ითვლება, რომ ქრონიკული დაღლილობის სინდრომი, ძირითადად, სწორედ ეპშტაინ-ბარის ვირუსს უკავშირდება. ეს ვირუსი იმითაც არის სახიფათო, რომ დაღლილობისა და დეპრესიის გარდა, მისმა გააქტიურებამ შესაძლოა, გამოიწვიოს რევმატოიდული ართრიტი, კუნთების ტკივილი და თვით კიბოც კი.

**— რა საშუალება არსებობს ეპშტაინ-ბარის ვირუსის გასანეიტრალებლად?**

— თუ დაღლილობა გვაწუხებს, რომელსაც თან ერთვის **რევმატოიდული ართრიტი,** კუნთების ტკივილი და დეპრესია, პირველ რიგში, ჩავიტაროთ ტესტი ეპშტაინ-ბარის ვირუსის ანტისხეულებზე. თუ ანალიზის პასუხი დადებითია, ექიმის დანიშნულებით მივიღოთ ანტივირუსული პრეპარატი საერთაშორისო სახელწოდებით **აციკლოვირი,** რომლის შემქმნელსაც ნობელის პრემია მიანიჭეს. ვირუსების პირველი მტერი D და A ვიტამინები და თუთიაა, რომლებსაც ეს ვირუსი ბლოკავს. ამიტომ ამ შემთხვევაში D ვიტამინი დარტყმითი დოზით (20-30 ათასი საერთაშორისო ერთეული) უნდა მივიღოთ. ასეთ დროს ძალზე ეფექტურია ჩვენ მიერ არაერთგზის ნახსენები **ვირთევზას ღვიძლი,** რომელიც სწორედ D და A **ვიტამინის, ანუ რეტინოლის** საბადოა. რაც შეეხება მცენარეებს, ეპშტაინ-ბარისა და, საერთოდ, ლატენტური ვირუსების ნომერ პირველი მტერია აბზინდას ერთ-ერთი სახეობა — **მწარე აბზინდა,** რომელსაც ლათინურად **არტემიზია აბზინთიუმ** ეწოდება.

ამ მცენარის გამოყენებას ერთი საინტერესო ფაქტი უკავშირდება. მაო ძედუნის მმართველობის პერიოდში, ჩინეთი დიდ დახმარებას უწევდა ჩრდი-

## „ჩაი და ყავა, მიუხედავად მათი ბევრი სასარგებლო თვისებისა, B1 ვიტამინის მტერია, რომელიც თავის ტვინის გამართულად მუშაობაზეა პასუხისმგებელი!“



# „ენაზე მარილის დაყრა რეფლექსურად იწვევს კუჭის წვენის სეკრეციის გაძლიერებას!“

ლოეთ ვიეტნამის პარტიზანებს. ომის დროს უდიდეს პრობლემას წარმოადგენდა მალარია, რომელიც ყოველდღე ათიათასობით ჯარისკაცის სიცოცხლეს იწირავდა. **მაო ძედუნის** საიდუმლო განკარგულებით, მთელი ჩინეთის მეცნიერები მალარიის საწინააღმდეგო პრეპარატის შექმნას შეუდგნენ. 1969 წელს სრულიად უცნობმა ჩინელმა მეცნიერმა **იუ ტუმ,** რომელსაც არავითარი სამეცნიერო ხარისხი არ ჰქონდა, უძველესი ჩინური სამედიცინო ტრაქტატების გადამუშავებისა და გაანალიზების საფუძველზე მიაგნო მალარიის საწინააღმდეგო მცენარეს, რომელიც სწორედ მწარე აბზინდა გახლდათ. ამ მცენარისაგან გამოყოფილი ნივთიერებით შეიქმნა პრეპარატი, რომელსაც **არტემიზინი** უწოდეს. მან მთელ მსოფლიოში მილიონობით ადამიანი მალარიით სიკვდილისგან იხსნა. ამ ამბიდან დიდი ხნის შემდეგ, 2005 წელს, ღრმად მოხუცებულ **იუ ტუს** ამ დამსახურებისთვის ნობელის პრემია მიანიჭეს. ჩემთვის ეს ფაქტი ერთი შემთხვევის გამოა გასაკვირი. კერძოდ, მე, როგორც ძველი ქართული მედიცინის მკვლევარი, **იოანე ბაგრატიონის ლექსიკონში** წავაწყდი ძალიან საინტერესო ფრაზას. აღმოჩნდა, რომ ძველ საქართველოში ღვინოსა და არაყზე დაყენებული აბზინდის ნაყენით მკურნალობდნენ მალარიას, რომელსაც მაშინ სამდღიან ციებას უწოდებდნენ. აი, რას ვკითხულობთ ამის შესახებ ძველ ქართულ ტექსტში — **„არგებს სამ დღეში გამოშვებით ციებასა... ხმარობენ თეთრ ღვინოში დაყენებულსა, ანუ არაყში.“** საქართველოში რომ მალარიას უძველესი დროიდან მწარე აბზინდის ნაყენით მკურნალობდნენ, ეს ფაქტი თავის სადისერტაციო ნაშრომში პირველად 1959 წელს მოხსენიებული აქვს ფარმაკოლოგ **ნინო ღუღუნავას.**



**— ადამიანები 50-60 წლის შემდეგ თავს ხშირად გადაღლილად გრძნობენ მიუხედავად იმისა, რომ ჯანმრთელობის პრობლემები არა აქვთ. რით არის ეს გამოწვეული?**

— ადამიანის ორგანიზმში ძალიან დიდ როლს თამაშობს **კუჭის წვენი.** მას სამი ძირითადი დანიშნულება გააჩნია:

**1.** საკვებით მიღებული ცილები დაშალოს ამინომჟავამდე;

**2.** ხელი შეუწყოს მინერალური ნივთიერებების, მათ შორის, რკინის, კალციუმისა და მაგნიუმის ათვისებას;

**3.** მოახდინოს B12 ვიტამინის ათვისება.

ასაკის მატებასთან ერთად კუჭის წვენის გამოყოფა განუხრელად მცირდება. აქედან გამომდინარე, ცხადია, უფრო ნაკლებად ხდება რკინისა და B12 ვიტამინის შეთვისებაც, რაც ანემიას იწვევს, ანუ თავის ტვინს ჟანგბადი საკმარისი რაოდენობით არ მიეწოდება და ადამიანი ადვილად იღლება. აქედან გამომდინარე, დაღლილობა შესაძლოა, სიბერის ნიშანიც იყოს, მაგრამ ქრონიკული დაღლილობის რეალური მიზეზი ხშირად ანემიაც არის.

**— შესაძლებელია თუ არა ამ პროცესის გამოსწორება და კუჭის წვენის სეკრეციის რაღაცნაირად გაზრდა?**

— კუჭის წვენის ძირითადი შემადგენელი ნაწილი **მარილმჟავაა,** რომლის ქიმიური ფორმულაც გახლავთ HCl. მარილმჟავაში შემავალი ქლორი ორგანიზმმა საიდან უნდა მიიღოს, თუ არა სუფრის მარილისგან? აქედან გამომდინარე,



**კუჭის წვენის სეკრეციის გასაზრდელად ყოველი ჭამის შემდეგ ენაზე დავიყაროთ ერთი გრამი მარილი, გავაჩეროთ მცირე ხნით და მერე გადმოვანერწყვოთ.** ენაზე მარილის დაყრა რეფლექსურად იწვევს კუჭის წვენის სეკრეციის გაძლიერებას. თუ დღის განმავლობაში ამ პროცედურას ათჯერ გავიმეორებთ, კუჭის წვენის გამოყოფა გაიზრდება და ქრონიკული დაღლილობაც შემცირდება. კუჭის წვენის სეკრეციის გასაძლიერებლად ძალიან კარგია **ვაშლის ძმარი.** საერთოდ, ვიცოდეთ, რომ ადამიანების 45 პროცენტს რკინადეფიციტური ანემია ან კუჭის წვენის სიმცირე — **აქლორჰიდრია** აღენიშნება!

**— ბევრი კოვიდგადატანილი სისტემატურად საუბრობს სწორედ ქრონიკულ დაღლილობაზე... რით ახსნით ამ ფაქტს?**

— კოვიდვირუსი ორგანიზმს B1 ვიტამინისგან ფიტავს. არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ უჯრედში არის ერთგვარი სტრუქტურები — მიტოქონდრიები, რომლებიც ენერგიას გამოიმუშავებენ. ენერგიის გამოსამუშავებლად მათ სწორედ B1 ვიტამინი სჭირდებათ, რომელიც, ამავდროულად, თავის ტვინისთვის ყველაზე უფრო საჭირო ვიტამინია. ამიტომ ვისაც კოვიდის გადატანის შემდეგ ქრონიკული დაღლილობა აღენიშნება, მან B1 ვიტამინი აუცილებლად უნდა მიიღოს! ბევრი B1 ვიტამინი სჭირდება იმათ, ვინც ჩაისა და ყავას სისტემატურად მიირთმევს. ჩაი და ყავა, მიუხედავად მათი ბევრი სასარგებლო თვისებისა, B1 ვიტამინის მტერია!

ერთ ფაქტსაც დავაკვირდი — ბევრი ადამიანი მომმართავს სამკურნალოდ, რომლებსაც კოვიდი არ გადაუტანიათ, ჩაიტარეს ვაქცინაცია და შემდეგ ქრონიკული დაღლილობა დასჩემდათ. ამას ის ახსნა შეიძლება მოეძებნოს, რომ კოვიდვაქცინაციამ ბევრ შემთხვევაში **ეპშტაინ-ბარის ვირუსიც** გააქტიურა! ასეთ პაციენტებს სხვა საშუალებებთან ერთად ხშირად ვუნიშნავ ჰომეოპათიური წესით დამზადებულ **ექინაციას,** რომელიც ანტივირუსული **„იმუნოჰერბი-ფორტეს“** ძირითადი შემადგენელი ნაწილია. სწორედ **ექინაციის** მოქმედებით ვხსნი იმ ფაქტს, რომ პოსტკოვიდურ პაციენტებს ამ პრეპარატის მიღების შემდეგ დაღლილობის სიმპტომი ეხსნებათ. ქრონიკულ დაღლილობას ხშირად **ჰიპოთირეოზი,** ანუ ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დაქვეითება და შაქრიანი დიაბეტი იწვევს. შესაძლოა, ადამიანს დიაბეტი არ ჰქონდეს, მაგრამ იყოს **ინსულინრეზისტენტული,** რაც ქრონიკული დაღლილობის მიზეზია. ინსულინრეზისტენტობა კი ძალიან მარტივად დასადგენია. კერძოდ, თუ:

**1.** მუცელზე ცხიმოვანი მასა გვაქვს;

**2.** საკვების მიღების შემდეგ 2-3 საათი უჭმელი ვერ ვძლებთ;

**3.** გვაქვს ტკბილის მოთხოვნა;

**4.** ჭამის შემდეგ ტკბილის მიღების გარეშე თავს მაძღრად ვერ ვგრძნობთ;

**5.** პროსტატის პრობლემები არ გვაწუხებს, მაგრამ ღამე ხშირად ვდგებით;

**6.** თუ ყველა ზემოხსენებულ ნიშანს დაღლილობა და მოთენთილობა ერთვის.

მაშინ დიაბეტი კარს არის მომდგარი და სასწრაფოდ მივმართოთ ექიმს!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

„1969 წელს სრულიად უცნობმა ჩინელმა მეცნიერმა იუ ტუმ, რომელსაც არავითარი სამეცნიერო ხარისხი არ ჰქონდა, უძველესი ჩინური სამედიცინო ტრაქტატების გადამუშავებისა და გაანალიზების საფუძველზე მიაგნო მალარიის საწინააღმდეგო მცენარეს, რომელიც სწორედ მწარე აბზინდა გახლდათ!“















# «რასაც მარკეტში ვყიდულობთ,

## ზურაბ ქუმსიაშვილი:

# პირდაპირ გეუბნებით და ასე დაწერეთ—

# საქართველოში ხაჭო ხაჭო არ არის, ყველი ყველი არ არის, რძე რძე არ არის, მაწონი მაწონი არ გახლავთ!





***ამ საკითხზე ადრეც გვიწერია, რადგან მოსახლეობა გამუდმებით მოგვმართავს საჭირბოროტო კითხვით — რა ვჭამოთ, რომ ჩვენი ოჯახის ბიუჯეტიც გასწვდეს და ჯანმრთელობაც არ დავიზიანოთ? ხანმოკლე სიცოცხლის მთავარი მიზეზი შხამიანი საკვებია! „ადამიანი არის ის, რასაც ჭამს!“ — თქვა თავის დროზე ლუდვიგ ფოიერბახმა.*** *— „მაგრამ ჩვენ იმ ეპოქაში გვიხდება ცხოვრება, როცა ირგვლივ ყველაფერი მომწამვლელია და არჩევანის გაკეთება ნაკლები ზიანის მომტან პროდუქტებზე უნდა შევაჩეროთ! —* ***აცხადებს „ასავალ-დასავალთან“ ინტერვიუში საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, პროფესორი ზურაბ ქუმსიაშვილი:***

— ველურ პირობებში ნებისმიერი ცხოველის სიცოცხლის ხანგრძლივობა უტოლდება მისი ზრდასრული ასაკის 7-ზე ნამრავლს. თუ სხვა ცხოველმა არ მოინადირა, ისინი სიცოცხლის ამ ვადას ჯანმრთელად განლევენ, შემდეგ სწრაფად ბერდებიან და კვდებიან. ადამიანებშიც ანალოგიურად უნდა ხდებოდეს და იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენი ზრდასრული ასაკი არის 20 წელი, სიცოცხლის ხანგრძლივობა ბუნებრივ პირობებში 140 წელს უნდა აღწევდეს, თუმცა, სამწუხაროდ, ასე არ ხდება, რაც სტრესული გარემოთი, ჰაერის დაბინძურებით და, უპირველესად, არაჯანსაღი საკვებით არის განპირობებული.

იმ გარემოში, რომელშიც თანამედროვე კაცობრიობა ცხოვრობს, ნორმალურად კვება, ფაქტობრივად, შეუძლებელია. არაჯანსაღი საკვები კი ორგანიზმზე გამანადგურებლად მოქმედებს, ადრეული ასაკიდანვე აჩენს ამა თუ იმ დაავადების აღმოცენების საფუძველს და, შესაბამისად, ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობაც თითქმის განახევრებულია.

**— ნუთუ ქალაქის პირობებში ადამიანს არ შეუძლია, ნორმალურად იკვებოს? სუპერმარკეტებში ხომ ათასგვარი პროდუქტი იყიდება და რატომ ვერ ხერხდება უვნებელი საკვების შერჩევა?**

— სამწუხაროდ, თითქმის ყველა პროდუქტი, რომელსაც დისტრიბუციის ქსელები გვთავაზობენ, ჯანმრთელობაზე მეტნაკლებად უარყოფითად მოქმედებს. გთავაზობთ ექსპერიმენტს, ერთად ჩამოვიაროთ რომელიმე დიდი სუპერმარკეტი და თითოეული პროდუქტის შესახებ ვისაუბროთ. ავწონ-დავწონოთ, საშუალო ბიუჯეტის მქონე ადამიანმა ყოველდღიურად რა საკვები შეიძლება შეიძინოს, რომ ნაკლებად დაზარალდეს.

**„სამწუხაროდ, ქათმისა და ღორის ხორცი ძალიან მავნე ქიმიური ნივთიერებებით მუშავდება – იყენებენ ანტიბიოტიკებსა და ჰორმონებს, რაც ადამიანის ჯანმრთელობაზე ძალზე უარყოფითად აისახება!“**



***რესპონდენტის შემოთავაზებას უყოყმანოდ დავთანხმდით, ექსპერიმენტი მახლობლად მდებარე სუპერმარკეტში დავიწყეთ. თავდაპირველად, დახლ-მაცივრებთან მივედით, სადაც ხორცი და ხორცის პროდუქტებია განთავსებული.***

**ზურაბ ქუმსიაშვილი:** — ვიზუალური შეფასების შემდეგ მომხმარებელს ხორცის ხარისხზე შთაბეჭდილება მისი ღირებულებითაც ექმნება. როგორც ვხედავთ, ყველაზე ძვირი ძროხის ხორცი და წითელი თევზია. ეს ორი პროდუქტი ადამიანისთვის შედარებით უვნებელია, რადგან მათი დამუშავების წესი განსხვავდება თუნდაც ქათმის ხორცისაგან, რომელიც შეუდარებლად იაფია. სამწუხაროდ, ქათმისა და ღორის ხორცი ძალიან მავნე ქიმიური ნივთიერებებით მუშავდება — იყენებენ ანტიბიოტიკებსა და ჰორმონებს, რაც ადამიანის ჯანმრთელობაზე ძალზე უარყოფითად აისახება. ამას გარდა, ძროხა იკვებება მხოლოდ ბალახეულით და, შესაბამისად, მისი ხორცი შეუდარებლად უსაფრთხოა ჰორმონებით გამოკვებილი ქათმისა და ღორის ხორცთან ან, თუნდაც ტბორებში მოშენებულ თევზთან შედარებით. **ყველაზე მავნებელი მაინც ქათმის ინდუსტრიის პროდუქტებია, ფრინველის ხორცთან ერთად ჯანმრთელობისთვის სახიფათოა კვერცხიც, რადგან ქათამი, რომელიც მას დებს, იკვებება ისეთი ჰორმონებით და ქიმიური ნივთიერებებით, რაც სწრაფ ზრდას უწყობს ხელს.** ეს ნივთიერებები ხორციდან არ გამოდის შეწვისა თუ მოხარშვის დროს და ადამიანის ორგანიზმში ხვდება.

**— უცხოეთიდან შემოტანილ ხორცეულზე რას გვეტყვით?**

— თუ დააკვირდებით, უცხოური პროდუქტი საგრძნობლად იაფია. **უნდა დავასკვნათ, რომ იმ ქვეყანაში, საიდანაც შემოგვაქვს — ან გადაყარეს, ან ვადაგასულ პროდუქტს თარიღები შეუცვალეს და იაფად მოგვყიდეს.** უცხოეთშიც იმავე პრინციპზეა აგებული ფრინველის ინდუსტრია, როგორზედაც საქართველოში, თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ იქ უარესი საკვებიც კი გამოიყენებოდეს. იგივეს ვიტყვი ღორის გაყინულ სტეიკებზე.

**— სურსათის უვნებლობის სამსახური ვერ ახერხებს ასეთი საშიში პროდუქტის შეზღუდვას?**

— საქართველოში ისეთი კანონები მოქმედებს, რომ შესაძლებელია, ყველანაირი ნაგავი გაიყიდოს, რომლის დასახელება სრულიად განსხვავდება შემადგენლობისგან, **მაგალითად, ე.წ. კარტოფილის ჩიფსები სულაც არ არის კარტოფილის პროდუქტი, არამედ დაპრესილი სახამებლისგან იწარმოება, რასაც ათასგვარი ქიმიური ნაერთი და გემოს გამაძლიერებელი ემატება.** არადა, წონაზე გაანგარიშებით, ჩიფსების ფასი შედარებით უვნებელი პროდუქტის წითელი თევზის ფასსაც კი აღემატება და გაუგებარია, რად ეტანება ახალგაზრდობა ამ შხამს?

სურსათის ეროვნული სააგენტო სრულიად უსუსური უწყებაა. საბჭოთა პერიოდში ნებისმიერ წარმოებაში მოქმედებდა ე.წ. „გოსტები“ — პროდუქტის დადგენილი სტანდარტები. ვინც მათ არღვევდა, იჭერდნენ! ამჟამად საქართველოში სტანდარტი, ფაქტობრივად, არ არსებობს, უცხოეთიდან უკონტროლოდ შემოდის გადაყრილი პროდუქტები და არც ადგილობრივ წარმოებას აკონტროლებს ვინმე.

**— უცხოეთში რა სტანდარტები მოქმედებს?**

— უნდა ითქვას, რომ ვერც იქ არის მთლად კარგად საქმე. **ამ მხრივ უკეთესი გარემოა რუსეთსა და ბელარუსში, სადაც ძველი „გოსტების“ მოთხოვნებია ძალაში. ქართველებს ბევრი დრო დაგვჭირდება, რათა საკვები პროდუქტების ხარისხის კუთხით რუსულ სტანდარტებამდე მივიდეთ!**

**— აგერ, ბოლოში გამოყვანილ სკუმბრიას ვხედავ, რომელიც**

# ჯობს, შიმშილით მოვკვდეთ,

# ყველა საკვებში შხამია!»

**ძალიან გემრიელია.**

— დაზუსტებით ვერ განვსაზღვრავთ — შეიძლება სულაც არ იყოს ბოლში გამოყვანილი. არსებობს სპეციალური სითხეები, რომელშიც თევზს გარკვეული დროით ათავსებენ და შებოლილი თევზის ფაქტურა ეძლევა, რაც კანცეროგენების წყაროა. ასეთი სითხეები საქართველოში ტონობით მოიხმარება, რასაც სურსათის უვნებლობის სამსახური ვერ აკონტროლებს.

**— ნახეთ, როგორ მიმზიდველად გამოიყურება ნახევარფაბრიკატები: კატლეტი, ხინკალი, ტოლმა, კუპატი, კიბორჩხალას და ქათმის ჩხირები.**

— ყველა ეს ნახევარფაბრიკატი ხორცისგან მზადდება, რაზეც უკვე ვისაუბრეთ. ამას გარდა, არის პრობლემა, რომ ამ ნახევარფაბრიკატებში, რომლის ძირითადი მასა ხორცი უნდა იყოს, ხორცის შემცველობა ძალზე მცირეა, რადგან სოიოთი, ბრინჯით და სხვა დანამატებით არის გაჯერებული. ამასთან, ნახევარფაბრიკატებს უმატებენ გემოს გამაძლიერებელ ქიმიურ ნივთიერებებს, რაც სხვადასხვა დაავადების წყაროდ გვევლინება. **ძალზე იშვიათად შეხვდებით ნამდვილი ხორცის ფარშისგან დამზადებულ ხინკალს, რაც საკმაოდ ძვირი ჯდება.** ძირითადად, ფალსიფიცირებული ხორცისგან ამზადებენ, რათა თვითღირებულება დააგდონ, მაგრამ არავინ იკვლევს, თუ როგორ ფარშს იყენებენ, ან იმ ფარშში მწვანილის, ხახვისა და ხორცის გარდა კიდევ რა დანამატებია შერეული. რაც შეეხება „კიბორჩხალის ჩხირებს“, მათ არაფერი აქვთ საერთო კიბორჩხალასთან. ხშირად ეტიკეტზე კიდეც წერია, რომ ეს არის მიმსგავსებული, იმიტირებული პროდუქტი, მაგრამ სინამდვილეში მხოლოდ ქიმიაა!

**— ძეხვებსა და სოსისებზე რას გვეტყვით?**

**— გამონაკლისის გარდა, ძეხვეულს ნუ მიეკარებით! გადაყრილი ნაგავი — ქათმის და ღორის ტყავები, ნისკარტები — სპეციალური ქიმიით მუშავდება და მზადდება ბრიკეტები, რომლებიც ხორცპროდუქტების მწარმოებელ ქარხნებში შემოდის.**

იაფფასიანი ძეხვები და სოსისები სწორედ ასეთი ბრიკეტების „ხორცით“ მზადდება! მათ ემატება გემოსა და სუნის გამაძლიერებლები, რომლებიც, თავის მხრივ, ჯანმრთელობისთვის საკმაოდ საშიშ ნივთიერებებს შეიცავენ. რეალური ხორცის რაოდენობა ასეთ პროდუქტში შეიძლება იყოს 5 პროცენტი. ნამდვილი ხორცისგან დამზადებული ძეხვი იაფი ვერ იქნება!

**— რას გვეტყვით ამ დახლებზე გამოფენილი რძის, არაჟნის, ხაჭოსა და მაწვნის შესახებ?**

— საქართველოში იმის მეათედი რძეც არ მოიპოვება, რამდენიც რძის პროდუქტი იწარმოება. დიდი მწარმოებლები სოფელ-სოფელ დადიან, ნატურალურ რძეს აგროვებენ და ქარხნებში ჩამოაქვთ. ამას, ალბათ, საბუთისათვის აკეთებენ, რადგან იმ რაოდენობას მაინც ვერ შეაგროვებენ, რაც წარმოებისთვის ეყოფათ. **ამიტომ ამ რძეში ურევენ საქართველოში ირანიდან ტონობით შემოტანილ შხამს, რძე-პასტას.** ამისგან მზადდება რძის ყველა პროდუქტი — **ყველი, არაჟანი, მაწონი.** პირდაპირ გეუბნებით და ასე დაწერეთ: საქართველოში ხაჭო ხაჭო არ არის, ყველი ყველი არ არის, რძე რძე არ არის, მაწონი მაწონი არ გახლავთ! **მაღალ დონეზე გამოსაძიებელი საკითხია, ვინ დააკანონა ამ შხამის საქართველოში შემოტანა, ვინ „დაკრიშა“ ეს ბიზნესი და რა მიიღო სანაცვლოდ? ამ საკითხით სუსი უნდა ინტერესდებოდეს!** ამასთან, მომხმარებელს ვურჩევ, ყურადღებით წაიკითხოს რძის პროდუქტების წვრილი შრიფტით დაწერილი ეტიკეტი და დაფიქრდეს — თუ შემადგენლობაში **პალმის ცხიმი** ურევია, ღირს კი მასთან გაკარება? ეს ხომ საშინელი შხამია, რომელსაც ძროხა ნამდვილად არ იწველის!

სამწუხაროა, რომ საქართველო — მეცხოველეობისა და მიწათმოქმედების ქვეყანა — ისე ჩამოაცილეს მამაპაპურ ტრადიციებს, რომ თავის გამოსაკვები ძირითადი პროდუქტი საზღვარგარეთიდან შემოგვაქვს და ისიც — შხამები! ამასთანავე, საქართველოში შემოდის ტონობით პესტიციდი, რომლებიც მოიხმარება მწვანილში; ასევე მევენახეობაში ზოოციდების სახით. ინდოეთში საერთოდ აკრძალეს პესტიციდები და ყველა დაიჭირეს, ვინც მისი გამოყენება სცადა. ამის მერე შემოსავლებიც, ბიუჯეტიც და ტურისტული ნაკადიც გაეზარდათ!

**— განვაგრძოთ პროდუქტების შეფასება და კონსერვების დახლებსაც დავუაროთ. თევზის კონსერვები, „ტუშონკები“, პაშტეტები — აქაც საფრთხეა?**

— სხვათაშორის, „ტუშონკები“ ხშირად შემიმოწმებია და იქ ხორცი მართლაც არის. მაგრამ, საშიშია კონსერვანტები და ქიმია, რითიც ისინი მუშავდება. კონსერვების უმრავლესობა მაცივარში შენახვას არ საჭიროებს, მაგრამ არც მაღალ ტემპერატურაში უნდა მოვათავსოთ. კონსერვის კოლოფებიც, ძველ, საბჭოურ „გოსტებს“ აღარ შეესაბამება და მეტალიც ნელ-ნელა რეაქციაში შედის კონსერვანტებთან. თუნდაც რძის ჭურჭელი ავიღოთ, რომელიც შიგნიდან დამუშავებულია ანტიბიოტიკებით... ქართველები ჭკვიანები ვართ იმ მხრივ, რომ კონსერვებს ნაკლებად ვეტანებით. **განსაკუთრებით ძლიერი ქიმიით მუშავდება ერთჯერადი სუპები, სხვადასხვა გასახსნელი პაკეტები და არავის ვურჩევ შეძენას.**

**— აი, ტომატებისა და მწნილების განყოფილებაც...**

— აქ ვხედავთ როგორც ქართულ, ისე უცხოურ პროდუქციას. ქართულ მწნილებში უკეთესი მდგომარეობა გვაქვს, თუმცა, დამწნილებამდე ბოსტნეული პესტიციდებით რომ არის გაჯერებული — ეგ არის პრობლემა და მნიშვნელობა არა აქვს, ასეთ ბოსტნეულს მწნილად შეიძენს მომხმარებელი თუ დაუმწნილებლად. სამწუხაროდ, დახლებზე ვერ ნახავთ ისეთ ბოსტნეულს, პესტიციდებით რომ არ იქნება სავსე.

**— აი, ზეთების ფართო ასორტიმენტიც — რუსული, უკრაინული, ქართული...**

— უმრავლესობა შხამია! მათი მოხმარება საერთოდ არ შეიძლება! **უნდა იყიდებოდეს მხოლოდ ნატურალური მზესუმზირის ზეთი ან ზეითუნის ზეთი.** ძალიან მავნებელია დაბალფასიანი სიმინდის ზეთები, ადრე მომწამვლელი პარტიაც კი აღმოჩენილა სავაჭრო ქსელში.

**— აი, გაზიანი სასმელების თაროებთანაც მივედით.**

— ტკბილი სასმელები დიაბეტის გამომწვევად გვევლინება. ლიმონათები და წვენები ხელოვნური დამატკბობლებით მზადდება. როცა დიაბეტიან მომხმარებელს სთავაზობენ — შაქრის შემცველობა ნულიაო, ეს მტკნარი სიცრუეა! ასე, მაგალითად, როცა ვსვამთ ტკბილს — ორგანიზმში გამოიყოფა ინსულინი, მაგრამ, როცა ხელოვნური დამატკბობლით დამზადებულ სასმელს დავლევთ, ის მუდმივად ცირკულირებს ორგანიზმში და იწვევს კუჭქვეშა ჯირკვლის მუშაობას მუდმივ რეჟიმში. ამიტომ არის მომატებული დიაბეტი და რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, დიაბეტიანებს ნებას აძლევენ, ის სასმელი დალიონ, სადაც „შაქრის შემცველობა ნულია“. არადა, ამით კიდევ უფრო მეტი ზიანი ადგება ორგანიზმს.

ცალკე საკითხია ე.წ. ტარა. თუნდაც ქართული მინერალური წყლები ავიღოთ, რომლებიც შუშის გარდა, პოლიეთილენის ბოთლებშიც ისხმება, რაც არ არის გამართლებული. უკანასკნელი კვლევები მოწმობს, რომ ადამიანის ორგანიზმი „გატენილია“ მიკროპლასტმასით, რაც სერიოზული დაფიქრების საგანი უნდა იყოს.

**— რამდენად მავნებელია შოკოლადები, კანფეტები, სხვადასხვა სახის ფერად-ფერადი სასუსნავი?**

— ნუ იყიდით! ამ შოკოლადებში კაკაო ძალიან მცირე რაოდენობითაა და, ძირითადად, პალმის ზეთის ბაზაზე მზადდება, არადა, მთლიანად კაკაოთი უნდა მზადდებოდეს, მაგრამ ასეთი შოკოლადები ძალიან ძვირია და საქართველოში თითქმის არასოდეს შემხვედრია. მშობლებმა განსაკუთრებით თავი უნდა შეიკავონ პატარა ბავშვებისათვის ფერადი კანფეტების, ჟელიბონებისა და მარმელადების ყიდვისაგან, რადგან სინთეტიკური პიგმენტებით არის გაჯერებული და ძალიან უარყოფით გავლენას ახდენს, განსაკუთრებით, ზურგისა და თავის ტვინზე.



# «ნუ იყიდით!»



„მაღალ დონეზე გამოსაძიებელი საკითხია, ვინ დააკანონა ამ შხამის საქართველოში შემოტანა, ვინ „დაკრიშა“ ეს ბიზნესი და რა მიიღო სანაცვლოდ? ამ საკითხით სუსი უნდა ინტერესდებოდეს!“

**— რამდენად სრულყოფილია პურპროდუქტები?**

— პური მზადდება თერმოფილური საფუარით და იწვევს (განსაკუთრებით ბავშვებში!) კუჭ-ნაწლავის ისეთ პრობლემებს, რაც გასულ საუკუნეში, ფაქტობრივად, არ არსებობდა! ტყუილია, როდესაც პურზე გვხვდება წარწერა **„უსაფუარო“!** ყველა პური მაგ საფუარით მზადდება. გასულ საუკუნეში თბილისში იყო მცენარეული საფუარის წარმოება, რომელიც მოშალეს. თანაც, ამ საფუარით პურის ცხობა შედარებით რთული ტექნოლოგია იყო და საქმე ადამიანების ჯანმრთელობის ხარჯზე გაიმარტივეს.

**— ისეთი სურათი დახატეთ, რომ ჯობს, შიმშილით მოვკვდეთ, ვიდრე შხამებით. ყოველდღიურად რა შევიძინოთ, რით დანაყრდეს საშუალო ბიუჯეტის მქონე ოჯახი?**

— ძნელი სათქმელია. სოსისების ყიდვას, მართლაც ჯობს, ძროხის ხორცი შეიძინოთ. ჯობს, იშვიათად და ცოტა მივირთვათ, ოღონდ, შედარებით ჯანმრთელი პროდუქტი.

მიირთვით წითელი თევზი, ქამა სოკო, ეს საკვები საკმაოდ კალორიული და სასარგებლოა, თანაც, შხამებს ნაკლებად შეიცავს. არჩევანი შეაჩერეთ ხილზე, რომელსაც არ შხამავენ. იმპორტული ვაშლი დაშხამულია, ამიტომ, მიირთვით თუნდაც გარეგნულად უსახური ქართული, უწამლავი ვაშლი. მიირთვით სოფლის ქათამი და ღორის ხორცი, რომელიც ჰორმონებით არ არიან გაზრდილი. თევზი სასარგებლოა, ოღონდ ოკეანეში დაჭერილს გირჩევთ, რადგან სატბორე მეურნეობებში ჰორმონალური საკვები გამოიყენება. შესაძლებლობის ფარგლებში ხშირად შეიძინეთ წითელი თევზი. ბურღულეულიდან შედარებით უსაფრთხოა წიწიბურა, ბრინჯთან, განსაკუთრებით იმპორტულ ნაწარმთან — სიფრთხილეა საჭირო, რადგან იყო შემთხვევები, როცა ჩინეთიდან პლასტმასის ბრინჯი შემოაპარეს.

რძე შეიძინეთ სოფელში, რათა დარწმუნებული იყოთ, რომ ახალი მოწველილია და ნატურალური. დალიეთ მხოლოდ ნატურალური ჩაი. პური ჯობს, ტოსტერში გახუხოთ და ისე მიირთვათ, რათა თერმოფილური საფუარი განადგურდეს. გახსოვდეთ — **ძვირფასი კარაქის შემადგენლობაშიც კი პალმის ზეთი ურევია.** ასევე ნუ ენდობით თურქეთიდან შემოტანილ ასაწონ კარაქს. ნამდვილი ყველის შოვნა ძალიან ძნელია და ძვირიც ეღირება. სიფრთხილე გამოიჩინეთ და ეცადეთ, შეიძინოთ ჯანმრთელი და ნატურალური პროდუქტი, თუნდაც ცოტა რაოდენობით და თუნდაც შედარებით ძვირად.

„ე.წ. კარტოფილის ჩიფსები სულაც არ არის კარტოფილის პროდუქტი, არამედ დაპრესილი სახამებლისგან იწარმოება, რასაც ათასგვარი ქიმიური ნაერთი და გემოს გამაძლიერებელი ემატება!“



# ვიდრე შხამებით!

*ესაუბრა*
**ზაზა დავითაია**

# მერაბ კოსტავას მეუღლის

დასაწყისი იხ. „ა–დ“. 2024 წლის №10–12

*რუსუდან ბერიძე შარშან 83 წლის ასაკში მიაბარეს მიწას. ტრაგიკულად შეწყდა მისი ერთადერთი შვილის, 24 წლის პოეტ ირაკლი კოსტავას სიცოცხლე. მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტად. 1992-95 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი. ისტორიას შემორჩა მისი სევდიანი დღიური, რომელსაც „ასავალ-დასავალის“ მკითხველი დიდი ინტერესით ეცნობა. საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას მეუღლემ მისი დაღუპვის შემდეგ 33 წელი იცოცხლა.*



## რუსუდან ბერიძე:

## რატომ მოვიქეცი ასე? მიყვარდა მერაბი? მიჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა!

გადავწყვიტეთ, ხმა არ ამოგვეღო **ზვიადის მონანიებაზე.** იმ საღამოს ტელეფონი განუწყვეტლივ რეკავდა ჩვენს სახლში. ნაცნობები და უცნობები კითხულობდნენ — მართალი იყო თუ არა, რომ ზვიადმა მოინანია. ჩვენ ვპასუხობდით, რომ ეს ტყუილია, სასამართლო ხვალ გაგრძელდება და ზვიადი საბოლოო სიტყვას იტყვის. მართალი გითხრათ, ამ იმედს ვერ ველეოდით. მეორე დღეს სასამართლოში მე და **ოლიკო** შევედით. მერაბს ძალიან უყვარდა, როცა მე თეთრი კაბა მეცვა, ამიტომ თეთრი კაბა ჩავიცვი. მერაბმა რომ დამინახა, სახე გაუბრწყინდა. ცერა თითი ამიწია, რა კარგად გამოიყურებიო, ტუჩებით თქვა. მეც სახე მიბრწყინავდა. **მეამაყებოდა მერაბის გაუტეხლობა. განაჩენი გამოაცხადეს. ორი წელი ბანაკი და სამი წელი გასახლება.** მერაბის სახაზინო ადვოკატი **ოთარ ნიკოლაიშვილი** ჩემი სტუდენტის მამა აღმოჩნდა. კასაციის შესახებ განცხადების თაობაზე მასთან სახლში მივედი. მერაბი მეორე დღეს უნდა ენახა. წერილი გადავეცი და ვთხოვე, პასუხი მოეტანა. **მერაბს ვწერდი, რომ მიხარია და ვამაყობ მისით. ვწერდი, რომ თანახმა ვარ, ისევ გავხდე მისი ცოლი და ეს მძიმე წლები, სანამ ის პატიმარია, გავიზიარო მისი გაჭირვება.** წერილი ასე მთავრდებოდა: **„როცა შენ გამოხვალ და თავისუფალი იქნები, მაშინ ერთად გადავწყვიტოთ, გვინდა თუ არა ერთად ცხოვრება. ეს წლები კი მინდა გვერდით დაგიდგე“.** ოთარ ნიკოლაიშვილმა პასუხი მოიტანა. მერაბი თანახმა და ბედნიერი იყო, რომ **მე მესამედ (!) ვხდებოდი მისი მეუღლე.** განცხადება შევიტანე სუკის სახელზე, რომ მინდოდა, ხელი მომეწერა მერაბ კოსტავასთან. აღმოჩნდა, რომ საქართველოს სუკში ჯერ ასეთი ქორწინება არ ყოფილა. არ ვიცი, ჩათვალეს, რომ ცოლი „დადებით“ გავლენას მოახდენდა მერაბზე და მერაბი მოინანიებდა, თუ სუკის თანამშრომლებში ქართულმა ხასიათმა იმძლავრა და მოეწონათ ჩემი საქციელი ან, იქნებ, მერაბის მიმართ პატივისცემის გრძნობამ განაპირობა ან, იქნებ, ყველაფერი ეს ერთად იყო, მაგრამ **ჩვენი ქორწინება საკმაოდ არაოფიციალურად ჩატარდა სუკის საგამომძიებლო ნაწილის უფროსის ალექსანდრე მირიანაშვილის კაბინეტში.** ნება მოგვცეს, საჭმელი მიგვეტანა (სასმელი, რა თქმა უნდა, აგვიკრძალეს). თან წამოვიყვანეთ მმაჩის ბიუროს წარმომადგენელი ქალბატონი და მე, **ოლიკო, ქეთინო და ავთო ბერიძეები** წავედით სუკში. ქეთინოს და ავთოს ჰკითხეს: **„თქვენ ვინ ბრძანდებითო?“. „ჩვენ ხელისმომკიდეები ვართო“,** — ავთომ უპასუხა. ხელს **„პატარძალს“** ჩვენ თვითონ მოვკიდებთო და შეგვიყვანეს მე და ოლიკო შენობაში. ამოიყვანეს **მერაბი და ზვიადი.** ამ დროისთვის ისინი უკვე ერთ საკანში ისხდნენ (სასამართლოს შემდეგ მოათავსეს ერთ საკანში). **ჩატარდა ხელის მოწერის ცერემონიალი. მერე იქვე მაგიდაზე სუფრა გავშალე. მაგიდაზე წყლით სავსე სურა და ჭიქა იდგა. მერაბმა ჩამოასხა წყალი ჭიქაში, ჭიქა ასწია და სუკის თანამშრომლებს** (ა. მირიანაშვილი, ხაზალია) **მიმართა: „ამ შენობაში თავისუფალი საქართველოს სადღეგრძელო დაგვილევიაო“... სუკის ორივე თანამშრომელი გათეთრდა...**

**ეს იყო 1978 წლის 24 ივნისი.**

რატომ მოვიქეცი ასე? მიყვარდა მერაბი? მიჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. **ჩვენს ურთიერთობაში უკვე იმდენი ტკივილი იყო დაგროვილი, რომ იქ სიყვარულისთვის ადგილი აღარ იყო.** მაგრამ იყო რაღაც მისტიკა ჩვენს ურთიერთობებში, რომელიც გარკვეული დროის გავლის შემდეგ ერთმანეთისკენ გვიზიდავდა.

მერაბი, როგორც პიროვნება, ძალიან მომწონდა. ასეთი სუფთა, უზადო ბუნების კაცი მე არც მინახავს და, ალბათ, არც უნდა იყოს ჩვეულებრივი მოკვდავი ასე განწმენდილი ყოველგვარი შურის, პატივმოყვარეობის, უკეთურობისგან, როგორც მერაბი იყო და, მიუხედავად ამისა, ჩვენი ერთად ყოფნა არ გამოდიოდა. ყოველი ახალი ერთად ყოფნა გვარწმუნებდა ამაში და მაინც ერთმანეთს ვერ ველეოდით. **ახლა დარწმუნებული ვარ, მერაბს რომ კიდევ ეცოცხლა, ჩვენ კიდევ ერთხელ შევრიგდებოდით.** მერაბი სასამართლოზე რომ არ ყოფილიყო, როგორიც იყო, შეიძლება არ მეფიქრა მასთან ყოფნაზე. **მოკლედ, მე მერაბის — გმირის გვერდით ყოფნა მომინდა.** იყო კიდევ ერთი უზარმაზარი ფაქტორი — **მერაბს** ირაკლის მეტი პატრონი არ ჰყავდა. ჩემს შვილს ციმბირის გზებზე სახეტიალოდ მარტოს ვერ გავუშვებდი...

ეს ყველაფერი ერთად მოგროვდა და კიდევ ბევრი რამ. ვიცოდი თუ არა, რომ ეს ძალიან საშიში იყო? რა თქმა უნდა, ვიცოდი და ყველა შესაძლებელი შედეგისთვის მზად ვიყავი.

**სასამართლოს შემდეგ ზვიადი ტელევიზორში გამოვიდა და თავისი მონანიების ტექსტი წაიკითხა. დაღლილი, ნაწამები და არეული სახე ჰქონდა. ლაპარაკობდა, როგორ ასწავლა მამამისმა კონსტანტინე გამსახურდიამ საბჭოთა ხელისუფლების სიყვარული...**

საშინელება იყო. **ხალიჩაზე ვიჯექი და მოთქმით ხმამაღლა ვტიროდი. ვერ ვპატიობდი საკუთარ თავს იმას, რომ წინასწარ გავთვალე, რაც მოხდებოდა.**

შემდეგ იყო უცხოელი ჟურნალისტების საჯარო სასამართლო მოსკოვში. კიდევ ერთი შანსი ჰქონდა ზვიადს. დარბაზში 400 ჟურნალისტი იჯდა სხვადასხვა ქვეყნიდან. **ზვიადი საშინლად გამოვიდა. ფაქტიურად, დაასმინა უცხოელი ჟურნალისტები. ქართული დისიდენტური მოძრაობა უსუსური აღმოჩნდა. ახლა მერაბს მარტოს უნდა ეტვირთა ამ სამარცხვინო ლაქის ჩამორეცხვა.**

ამ დროიდან **მანანა არჩვაძემ** შეიძულა **მერაბ კოსტავა,** მისი ოჯახი, მისი შვილები. **ამ პატივმოყვარე ქალმა ვერ აპატია მერაბს, რომ ამ დღიდან მერაბი ზვიადზე მაღლა დადგა და აღარ არსებობდა უკვე არაფერი, არც მიწიერი და არც ზეციური, რომელიც ზვიადს მერაბთან გაათანაბრებდა...**

სასამართლოს შემდეგ ერთხელ, ნახევარი საათით ვნახეთ მე და ირაკლიმ **მერაბი** (მართლა, ირაკლის დამოკიდებულება ჩვენი ქორწინების მიმართ: **22 ივნისს ირაკლის და ელიკოს ვუთხარი, ვთხოვდები-მეთქი. ირაკლის სახე აემღვრა: „ვის მიჰყვები?“ — მკითხა გამოგონილი სიმშვიდით. მამაშენს-მეთქი, ვუთხარი.** „ეს შენგან მსხვერპლია და არა სიყვარული. მამაჩემს ეს მსხვერპლი არ უნდა მიეღო. ისე შენი ნებაა“, — მითხრა ირაკლიმ).

აგვისტოს პირველ რიცხვებში **მანანა არჩვაძემ** შეგვატყობინა, რომ მერაბს ეტაპით აგზავნიდნენ. სადგურზე გავედით მე, **ირაკლი, ოლიკო, ავთო ბერიძე, ელიკო გოგუაძე.** ყარაულებს ფული მივეცით და თითქმის ორი საათი მერაბს ვესაუბრებოდით, ვამხნევებდით (უფრო სწორი იქნება, რომ ვთქვა, მერაბი გვამხნევებდა). მერე მატარებელი დაიძრა და მერაბი თავისი გოლგოთის გზაზე წაიყვანა...

იმ ზაფხულს მე, დედაჩემი, ოლიკო და ირაკლი წაღვერში წავედით. წაღვერიდან რომ დავბრუნდით, ოფიციალური უწყება მოვიდა.

**დაწესებულება BC3/89/37 გვამცნობდა, რომ კოსტავა მერაბ ივანეს ძე 1978 წლის 16 აგვისტოს ჩავიდა ამ დაწესებულებაში, მისამართი პერმის ოლქი, ჩუსოვაის რაიონი, დაბა პოლოვინკა.**

რამდენიმე დღეში მერაბის წერილი მოვიდა, რომ გრძელვადიანი პაემანი დანიშნულია **2 სექტემბერს.**

დავიწყეთ მზადება წასასვლელად. მოვაგროვეთ კონსერვები, ძეხვები, შებოლილი სულგუნები, არაყი. დაახლოებით, 60 კგ. ბარგი მოგროვდა. მე კი მესმოდა, რომ ამას ყველაფერს მერაბისთვის არავინ გადაგვაცემინებდა, მაგრამ ოლიკომ დაიჟინა და ხათრი ვერ გავუტეხე. დედა იყო, შვილი მშიერი ეგულებოდა და როგორ მეთქვა, არ წავიღოთ-მეთქი.

ჩავფრინდით მოსკოვში. იქიდან გადავფრინდით პერმში. ტაქსით მოვიარეთ ქალაქის სასტუმროები, მერე ცირკის სასტუმროში ვიშოვეთ ერთი ნომერი. დილით მე და ირაკლი წავედით სადგურში, რომ გაგვერკვია, სად იყო დაბა პოლოვინკა და როგორ უნდა გვემგზავრა. ვიპოვეთ დაბა პოლოვინკა მატარებლების განრიგში და ის იყო ბილეთები უნდა აგვეღო, ეჭვი შემეპარა და ირაკლის ვუთხარი, მოდი, მილიციაში წავიდეთ და გავარკვიოთ, სწორად მივდივართ თუ არა-მეთქი? **აღმოჩნდა, რომ პერმის ოლქში ოთხი პოლოვინკა არის და ჩვენ სულ საწინააღმდეგო მიმართულებით ვაპირებდით წასვლას.** ვიყიდეთ ბილეთები სადგურ ჩუსოვაიამდე. ჩუსოვაიაში საღამოს ჩავედით. სადგურის შენობა ხისგან არის აგებული და დროჟამისგან მთლიანად ჩაშავებულია. სადგური სავსე იყო ხალხით. ყველა — ქალი, კაცი თუ მოზარდი გონდაკარგული მთვრალი იყო. ავტობუსი პოლოვინკაში განთიადისას მიდიოდა. ის ღამე სადგურში, ღამის გასათევ ოთახებში ვათიეთ. ორი დიდი ოთახი იყო, ერთი — მამაკაცებისთვის, მეორე — ქალებისთვის. ერთ ოთახში 40 ვიწრო რკინის საწოლი იდგა. ვერ აგიწერთ, რა სუნი იდგა: არყის, სიგარეტის, ჭუჭყიანი და ოფლიანი სხეულების... ამდენი უცენზურო სიტყვა ჩემს სიცოცხლეში ერთად არ გამიგონია, იქ მყოფი ქალები რომ ერთმანეთს ეუბნებოდნენ. ადამიანი ყველაფერს ეჩვევა. დაღლილები ვიყავით და დაგვეძინა. დილით ავტობუსით წავედით პოლოვინკაში. პოლოვინკა აღმოჩნდა პატარა დაბა, რომლის მცხოვრებლები, ძირითადად, შრომა-გასწორების ბანაკების მომსახურე პერსონალი იყო. აქ ირგვლივ ძალიან ბევრი ბანაკი იყო. „ჩვენს“ ბანაკამდე გზა ორი კილომეტრი იყო და ფეხით უნდა წავსულიყავით. ავიკიდეთ ჩვენი 60 კგ ბარგი მე და ირაკლიმ და სამივენი გავუდექით გზას. ბანაკის პირდაპირ გრძელი ერთსართულიანი შენობა იყო — ბანაკის სამმართველო. პირველად მეგონა, ეს სამმართველო ყველა ბანაკს ემსახურებოდა, რომელიც ამ არემარეში იყო. ძალიან გაგვიკვირდა, როცა გავიგეთ, რომ ეს მხოლოდ 37-ე ბანაკის „მომვლელი“ სამმართველო იყო (100-მდე თანამშრომელი მაინც იქნებოდა). 37-ე ბანაკი პოლიტპატიმართა სპეციალური ბანაკი იყო. იქ სასჯელს იხდიდნენ პროფესორები, ჟურნალისტები, მწერლები — მოკლედ, ინტელექტუალური ელიტა. თვითონ ბანაკს ჯერ დიდი გალავანი ჰქონდა შემოვლებული, შიგნით კიდევ მეორე მავთულხლართებიანი გალავანი. ბანაკში იმ დროს იჯდა 18 პატიმარი... მხოლოდ. ბანაკს კიდევ თავისი მომსახურე პერსონალი ჰყავდა: ყარაულები, მზარეული, მრეცხავი და ა.შ. თქვენ წარმოიდგინეთ, კვებაც უკეთესი იყო ბევრად, ვიდრე ჩვეულებრივ ბანაკებში (ჩვეულებრივ ბანაკში — 37 კაპიკი ერთ პატიმარზე, ხოლო აქ — 1 მან. 10 კაპ., თითქმის ასეთი თანხა გამოიყოფოდა დასასვენებელი სახლის ერთ დამსვენებელზე, თვეში 3 ლიტრ რძესაც აძლევდნენ, „უფრთხილდებოდა“ საბჭოთა სახელმწიფო თავის ინტელექტუალურ ელიტას...).

ვზივართ სამივენი სამმართველოს დერეფანში სკამებზე და ველოდებით, როდის მოგვცემენ პაემანს... ყველაფერი გაგვიფორმეს, მაგრამ ლოდინი კვლავ გრძელდება. თურმე პერმიდან

## კვირგვინოსნები

**დათო ევგენიძე**
*მუსიკოსი, კომპოზიტორი*



არასოდეს დამავიწყდება, **მაცხოვრის ტაძარში, ჩემს ხელში იერუსალიმის თეთრი სანთლები თავისით რომ აინთო** და ამის მომსწრე უამრავი იქ მყოფი ადამიანი გახდა. **შეწყდა გალობა, მამაომ წამით შეწყვიტა ლაღადი და ყველა მე მიყურებდა.**

„თბილისელები“

**ფრიდონ სულაბერიძე (უფროსი)**
*მოცეკვავე*



როდესაც გაიგეს, რომ **ცეკვა დავიწყე და მამაჩემის გზას ვაგრძელებდი,** ვიგრძენი, ძალიან ბევრს არ ესიამოვნა. მე და **დათუნიკა სხირტლაძე,** ფაქტობრივად, 24 საათი ვვარჯიშობდით. ეს ადამიანი რომ არ გამეცნო, შეიძლება, მოცეკვავე არ გავმხდარიყავი და ეს საქმე პროფესიად არ მექცია.

„თბილისელები“

**ნუცა თოფურია**
*მომღერალი*



**მომღერალ ნუცა თოფურიას** ხომ ჰყავდა თაყვანისმცემლები, ახლა როგორც **მოცეკვავეს და მსახიობსაც** გაუჩნდა და სამივე ერთად საკმაოდ ბევრი გამოდის.

„თბილისელები“

**გივი სიხარულიძე**
*მოცეკვავე, მწვრთნელი, მსახიობი*



დღეს ჩვენ **მანდილოსნები** კი არა, **ტრუსიკოსანი ქალები** გვყავს.

„სარკე“

# უცნობი დღიურები

სუკის წარმომადგენელს ველოდებით. მოვიდა, შეგვიყვანა თავის კაბინეტში და ერთსაათიანი ლექცია ჩაგვიტარა. გავიგეთ, რომ, თუ ჩვენ ბანაკიდან რაიმე ინფორმაციას გამოვიტანთ, კოდექსის რაღაც მუხლით აგვიყვანდნენ პატიმრობაში და მოგვისჯიდნენ 3 წელს. მოგვაწერინეს ხელი, რომ ეს „რჩევა-დარიგებები" მოვისმინეთ და წაგვიყვანეს ბანაკში.

გადავწყვიტეთ, ჯერ **ირაკლი და ოლიკო** შევიდოდნენ რამდენიმე საათი, მერე ისინი გამოვიდოდნენ, პერმში დაბრუნდებოდნენ და იქ სასტუმროში დამელოდებოდნენ. მე გარეთ დავრჩი.

**გავიდა დაახლოებით 5 საათი და ირაკლი და ოლიკო გამოვიდნენ. ირაკლი საშინლად აფორიაქებული და აღელვებული იყო. „დედა, ჩქარა ტუალეტში წავიდეთ".** შეშინებული გავყევი, პერანგი გაიხადა. ზურგი მთლიანად აჭრელებული ჰქონდა წარწერებით. **„დედა, ეს სასწრაფოდ გადაიწერე, ეს ინფორმაცია მოსკოვში უნდა ჩავიტანოთ".** მართალი გითხრათ, ძალიან გავბრაზდი მერაბზე. ირაკლი მაშინ 17 წლის იყო. მე შესასვლელი ვიყავი ბანაკში. თუ ვინმეს რისკი უნდა გაეწია, ეს უფრო ბუნებრივი იყო, მე ვყოფილიყავი და არა ირაკლი. სასწრაფოდ გავუწმინდე ზურგი და ვუთხარი „მაგ ინფორმაციას მე თვითონ მოვუვლი, შენ დამშვიდდი".

ირაკლი და ოლიკო სასწრაფოდ გაბრუნდნენ, რომ ჩუსოვიაში მიმავალი ავტობუსისთვის მიესწროთ. სანამ ისინი მერაბთან იყვნენ, დამლაგებელი ქალი გავიცანი, მომიყვა, ქმარი ლოთი მყავს, 4 შვილი მყავსო. მე ამ დროისათვის უკვე ვიცოდი, რომ ამანათს მერაბისთვის არ გადამაცემინებდნენ (სასჯელის ნახევარი ვადა რომ გავიდოდა, მხოლოდ მერე ჰქონდა ამანათის უფლება), ამდენ ბარგს უკან ხომ ვერ წამოვიღებდი.

ვუთხარი ამ დამლაგებელ ქალს — წაიღე ეს კონსერვები და ძეხვები, შენს შვილებს აჭამე-მეთქი. მითხრა — ჩემს შვილებს ძეხვი ერთი წელია, თვალით არ უნახავთ, მაგრამ ვერ წავიღებ, რომ გამიგოს სამმართველოს უფროსობამ, სამსახურს დავკარგავო. ეს ის პერიოდია, როცა საბჭოთა კავშირში ყველაფერი მორღვეული და დაშლილი იყო, მაგრამ პოლიტპატიმართა ბანაკში ჯერ კიდევ სტალინის დროიდან შემორჩენილი წესრიგი სუფევდა.

შევედი ბანაკში. კონტროლიორი ქალი იყო. ხელით არ შემხებია. თუმცა მომამადლა: „აი, გენდეთ მე თქვენ, თორემ ვალდებული ვიყავი, გინეკოლოგიურადაც კი გამეჩხრიკეთო". შეურაცხყოფამ სული შემიხუთა, როცა ეს სიტყვები გავიგონე. ჩამომართვეს ყველაფერი, რაზედაც შეიძლებოდა დაწერილიყო რაიმე და რითაც შეიძლებოდა დაწერილიყო. პარფიუმერიის ნივთებიც ჩამომართვეს, დილით დაგვიკაკუნეთ, კარებს გაგიღებთ და შეიძლება ჩვენი მეთვალყურეობით თქვენი პირადი ნივთებით ისარგებლოთო. ამ „სასიამოვნო" საუბრის შემდეგ შემიყვანეს გრძელვადიანი პაემნისთვის განკუთვნილ ბინაში. ეს იყო ორი პატარა ოთახი, სამზარეულო, აბაზანა, ტუალეტი. საკმაო სისუფთავე იყო. კედლები მუქი რუხი საღებავით იყო შეღებილი, პატარა ფანჯრები გისოსებში იჯდა. ღიად იყო ჩამონტაჟებული მოსასმენი აპარატურა ოთახებშიც, დერეფანშიც, სამზარეულოშიც, ტუალეტშიც... **ცხადია, ამ აპარატურის დამალვა მარტივად შეიძლებოდა, მაგრამ ესეც ფსიქოლოგიური ზემოქმედებისთვის კეთდებოდა. შემოვიდა მერაბი. ის ძალიან საფუძვლიანად გაჩხრიკეს, მაგრამ მაინც მოახერხა პასტის შიგა გულის პატარა ნაგლეჯის შემოტანა.**

მერაბი კარგად გამოიყურებოდა. მხნე და გაუტეხელი მომეჩვენა. გაცილებით დაწყნარებული იყო, ვიდრე დაპატიმრებამდე. პირველი ჩემი კითხვა ზვიადზე იყო. **„რას იზამ", — მითხრა მერაბმა, — ყველა ადამიანს თავისი შესაძლებლობის ზღვარი აქვს. მაგრამ მე ვპატიობ ზვიადს და საქართველოშიც მითუმეტეს უნდა აპატიონ".** მერე მითხრა, რომ აქ პატიმრებს დიდი ვადა აქვთ მისჯილი და ცოტა არ იყოს, ალმაცერად მიყურებენ, შენ ასე ცოტა რატომ გაქვს მისჯილიო, მაგრამ მე მათ დავუმტკიცებ, რომ მე მათზე ნაკლები მებრძოლი არა ვარო. ძალიან მიჭირს მათთვის ზვიადის საქციელის ახსნა, ხომ იცის, ასეთ რამეს პატიმრები როგორ უყურებენო.

ახლა ვიმსჯელოთ ლოგიკურად. მე, ირაკლი და ოლიკო ვიყავით პირველი ადამიანები, ვისთანაც მერაბს პირადი საუბარი შეეძლო სასამართლოს შემდეგ. **თუ ზვიადი და მერაბი მოლაპარაკებულნი იყვნენ „ტაქტიკური მოსაზრების" გამო, როგორც შემდეგ ზვიადმა თქვა, ზვიადს მოენანიებინა და მერაბი ციხეში დარჩენილიყო, რატომ არ მითხრა მერაბმა მე ეს, რომ საქართველოში ამბავი ჩამეტანა და ხალხისთვის მეცნო?** მითუმეტეს, მე მერაბს მოვუყევი, მოსკოვში სასამართლოს შემდეგ როგორ დაკარგა ზვიადმა ყოველგვარი ავტორიტეტი. მერაბი, რომელსაც ზვიადი საკუთარ თავზე მეტად უყვარდა, არ დაგვავალებდა ჩვენ, სამივეს, რომ სიმართლე გვეთქვა და ზვიადი დაგვეცვა? და თუ დაგვავალებდა, როგორ ფიქრობთ, მერაბის დავალებას არ შევასრულებდით? **სამწუხაროდ, მერაბმა ყველაზე კარგად იცოდა, რომ ზვიადმა მოინანია ადამიანური სისუსტის გამო და აპატია მას, როგორც მეგობარმა მეგობარს.** შემდეგ, როცა ზვიადი კოჩუბეიდან დაბრუნდა, სადაც რამდენიმე თვე გადასახლებაში იყო **(შეწყალების თხოვნა დაწერა და ვადაზე ადრე დააბრუნეს საქართველოში)**, მან **(ზვიადმა) თვითონ დაწერა წერილი, რომელიც თითქმის მერაბის დაწერილი იყო.** ამ წერილში მერაბი ყვებოდა, როგორ მოილაპარაკეს მან და ზვიადმა, რომ მერაბი ციხეში დარჩებოდა და ზვიადი მოინანიებდა. ეს წერილი ზვიადმა გაავრცელა ინტელიგენციის წრეებში. ზვიადს ინტელიგენციამ არ დაუჯერა და მოსთხოვა მას, **მერაბის ცოლმა დაადასტუროს, რომ ეს მართალიაო. ზვიადმა იცოდა, რომ მე მერაბის სახელით ტყუილს არ ვიტყოდი და გაავრცელა ჭორი, რომ მე სუკის აგენტი ვარ და ამიტომ არ დავადასტურებდი ამ წერილის ნამდვილობას.**



**ამ დროიდან მანანა არჩვაძემ შეიძულა მერაბ კოსტავა, მისი ოჯახი, მისი შვილები. ამ პატივმოყვარე ქალმა ვერ აპატია მერაბს, რომ ამ დღიდან მერაბი ზვიადზე მაღლა დადგა და აღარ არსებობდა უკვე არაფერი, არც მიწიერი და არც ზეციური, რომელიც ზვიადს მერაბთან გაათანაბრებდა...**

შემდეგ ზვიადი, **ელიკო გოგუაძე და ირაკლი** წავიდნენ ციმბირში, როცა მერაბი კვიტოკში იყო თავისუფალ გადასახლებაში. **მე ელიკოს დავაბარე, მერაბს არ დაედასტურებინა ზვიადისთვის მოლაპარაკების ამბავი.** მე ვიცოდი, რომ ხალხი მაინც არ დაიჯერებდა ამას და მერაბის ავტორიტეტი ამ ტყუილით საქართველოში შეილახებოდა. **მერაბმა მართლაც არ გამოატანა ზვიადს წერილობითი დასტური ამის შესახებ. შემდეგ, როცა მერაბი საქართველოში დაბრუნდა, ზვიადის დაჟინებული თხოვნით დათანხმდა და დაუწერა ზვიადს საჭირო წერილი და „Гласность"-ში გამოაქვეყნა.**

ვიცი რა, რა მართალი და პატიოსანი კაცი იყო მერაბი, წარმომიდგენია, როგორ გაუჭირდა მას ამ აშკარა ტყუილზე ხელის მოწერა. აქ ორმა ფაქტორმა ითამაშა უდიდესი როლი: ჯერ ერთი, **იმ დროისათვის მერაბს მოეჩვენა, რომ ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას სჭირდებოდა ისეთი ლიდერი, როგორიც ზვიადია და მეორე — მისი უდიდესი სიყვარული და ერთგულება ზვიადისადმი.** ასე თუ ისე, მერაბი ზნეობრივ კომპრომისზე წავიდა. ახლა უკვე ჩანს, რომ ეს მისი დიდი პოლიტიკური შეცდომა იყო. **აცხონოს ღმერთმა მერაბის სული, მაგრამ ახლა, როცა აქეთ-იქიდან მესმის, რომ მერაბის ბრალია ზვიადის აღზევება, რომ ზვიადი პოლიტიკური გვამი იყო და მერაბმა გააცოცხლა, გული მტკივა. მერაბი შეცდა, მაგრამ მისი შეცდომის მიზეზი მისი პიროვნული სიწმინდე, მისი უდიდესი მიმტევებლობა იყო...**

•

ვუბრუნდები ჩემს პირველ პაემანს მერაბთან. ორი დღე ძალიან ჩქარა გავიდა. ორივენი განუწყვეტლივ ვლაპარაკობდით. სალაპარაკო არ ილეოდა. **პასტის ნაგლეჯით ცხვირსახოცზე მერაბმა დამიწერა ინფორმაცია, რომელიც ბანაკიდან უნდა გამეტანა და მოსკოვში „ქრონიკის" რედაქციაში მიმეტანა.** მეც სამი დღე ვიზეპირებდი გვარებს, სახელებს, თარიღებს, ბანაკში ჩატარებულ აქციებს. მეხსიერება კარგი მაქვს და უამრავი რამ დავისწავლე ამ სამ დღეში. გათენდა მესამე დღე. დილიდანვე ორივეს გული დაგვიმძიმდა. შუადღეზე უკვე პაემანი მთავრდებოდა. ორივენი დავდუმდით. თითქოს სათქმელი არაფერი აღარ იყო. ახლა ჩვენ ორი სხვადასხვა პლანეტის წარმომადგენლები ვიყავით თითქოს. მე კარს გავაღებდი და თავისუფალი ვიქნებოდი, ის ციხეში დარჩებოდა. დავემშვიდობეთ ერთმანეთს. მე აქ ჩემი და მერაბის მიწერ-მოწერასაც ჩავრთავ, ჩემს წერილში მოყოლილია, როგორ ვიმგზავრე უკანა გზაზე. მხოლოდ იმას დავუმატებ, რისი წერილში დაწერა არ შეიძლებოდა. ჩუსოვაია-პერმის მატარებელში როგორც კი დავჯექი, ქაღალდზე გადავიტანე ბანაკიდან გამოტანილი ინფორმაცია.

მოსკოვში მე და ირაკლიმ ვცადეთ **ა. სახაროვს** დავკავშირებოდით, მაგრამ ტელეფონი სულ დაკავებული იყო. ჩკალოვის ქუჩაზე სახაროვის სახლთან მივედით, მაგრამ მილიცია იდგა და ვერ შევედით. მერე გადავწყვიტე, თბილისში წავსულიყავი და მერე მარტო ჩამოვსულიყავი მოსკოვში. დავბრუნდით თბილისში. აქ ერთი ჩემი მეგობრისგან **(ზულიკა ესმაია)** გავიგე, როგორ დავკავშირებოდი „ქრონიკის" რედაქციას. ავიღე დილით მოსკოვის ბილეთი და ჩავფრინდი. დავურეკე **იური ბასტევს.** შევხვდით. მე გადავეცი ჩემი ინფორმაცია, ზეპირად ვუკარნახე, რაც ვიცოდი, მან დაბეჭდა და მერე „ქრონიკების" რედაქტორთან მივიტანეთ **(მე ჩავიტანე მოსკოვში, მაგალითად, ამბავი, რომ სერგეი კოვალევი 37-ე ბანაკში იყო). მშვიდობიანად დავბრუნდი თბილისში.**

ჯავახიშვილის ქუჩაზე, მერაბის სახლში, ყველაფერი დანგრეული იყო. დედაჩემმა ფული

გაგრძელება 28-ე გვერდზე

## კვირგვინოსნები

**ნანა ლორთქიფანიძე**
*მსახიობი*



დაკვირვებული ვარ, **ძალიან ლამაზი ქალები ვერ ეგუებიან ასაკს.** უფრო ხშირად მიმართავენ პლასტიკურ ოპერაციებს და ზოგჯერ თავს იმახინჯებენ. **მე ნამდვილად არ მაქვს ასაკთან დაკავშირებული ფსიქოზი, შიში.** შეიძლება ეკრანზე ჩემი თავი არ მომეწონოს, მაგრამ რა ვქნა, ამას უნდა შევეგუო.

„სარკე"

**ნოდიკო ტატიშვილი**
*მომღერალი*



თუ უცხოეთში სადმე ვიცხოვრებდი, სწორედ **ნიუ-იორკში,** თუმცა, ვფიქრობ, ხან იქით ვიქნები, ხან აქეთ. ის სტატუსი, რაც ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა მომანიჭა, ამის შესაძლებლობას მაძლევს. **მე მიყვარს ამერიკა, თუმცა, ჩემი სამშობლო არის საქართველო და ამას ვერაფერი შეცვლის.**

„სარკე"

**მარიკა თხელიძე**
*მომღერალი*



ათი წლიდან ჩემი **დამოუკიდებელი ფინანსები** მაქვს.

„თბილისელები"

**ლიზი დარასელია**
*მომღერალი*



**ბაბუამ თავისი სახელი დატოვა, მე ჩემი უნდა დავტოვო.** არასდროს მითქვამს ასეთი რამ: გამარჯობა, **მე ვარ ლიზი დარასელია, ვიტალი დარასელიას შვილიშვილი.**

„თბილისელები"

# მერაბ კოსტავას მეუღლის

## რუსუდან ბერიძე:

## მერაბი სასამართლოზე რომ არ ყოფილიყო, როგორიც იყო, შეიძლება არ მეფიქრა მასთან ყოფნაზე. მე მერაბის – გმირის გვერდით ყოფნა მომინდა!

*დასაწყისი 26-ე გვერდზე*

მომცა და დავიწყე მერაბის ბინაში რემონტის კეთება. თან საქმეს ვაკეთებდი, თან დრო გამყავდა...

**დეკემბერში მეორე შეხვედრა გვეკუთვნოდა. 4-საათიანი საუბარი. ველოდებოდი ამ შეხვედრას...**

ფსიქოლოგიური განწყობა — წყენა და ტკივილი. **რატომ გაიმეტა მერაბმა ირაკლი ასე დაუფიქრებლად. ხომ შეიძლებოდა ირაკლი გამოსვლისას გაეჩხრიკათ და დაეპატიმრებინათ.** და კიდევ სულში გაუმხელელი პატარა ეჭვი — არა, უკვე მერაბი აღარ მიყვარს. ეს, რაც გავაკეთე, მხოლოდ პატივისცემისა და მეგობრობის გრძნობა იყო. წერილს მოუთმენლად ველოდებოდი. მოვიდა პირველი წერილი.



რუსუდან ბერიძე შვილთან – ირაკლი კოსტავასთან ერთად

### წერილები

გამარჯობათ!

პაემნის შემდეგ მივიღე ოლიკოს წერილი. თუმცა შინაარსს უკვე მომიყვა ოლიკო, მაინც აღელვებით გადავიკითხე. ველი სხვა წერილებს. წერილების წერის შემთხვევა ადრე თითქმის არც მქონია. მათი მიღება-გაგზავნის საჭიროებას ახლა ვგრძნობ უცხადესად. აქ წერილზე მეტად არაფერი გაახარებს კაცს. მაფიქრებს თქვენი ამბავი. როგორ იმგზავრეთ აქედან, რასა იქმთ, როგორა ხართ. ისე, საიმედო კავალერი კი გახლდათ.

იმის შემდეგ აქ მხოლოდ რამდენჯერმე გამოიხედა მზემ, დანარჩენი დრო სულ წვიმს. უკვე თოვლს ელიან, ჩვეულებისამებრ სექტემბრის ბოლოდან, რომელიც აპრილის ბოლომდე დევს ხოლმე. სიცივე მაინცდამაინც არ მაწუხებს, მის გაძლებაში ჩრდილოელ სკვითებს არ ჩამოვუვარდები. როგორც ყველგან, საინტერესო და კარგი ხალხი აქაც მოიძებნება, ოღონდ ესაა, ღვინის მაგიერ ჩაის შემოვუსხდებით ხოლმე. ვმუშაობ ქარხანაში, ჩარხებს ვაზანზარებ, თავისუფალ დროს ვკითხულობ, ან დავდივარ ეზოში და ვფიქრობ თბილისზე, თქვენზე, ნაცნობ-მეგობრებზე.

**რუსუდან!** ირაკლი როგორ სწავლობს, ხომ არის ჭკვიანად. ირაკლი! აბა შენ იცი, როგორ ამოუდგები მხარში დედაშენს და ოლიკოს. ისედაც ათასი საზრუნავი აქვთ და ათასმეერთეს ნუ დაუმატებ. შენ უკვე დასრულებული კაცი ხარ და კაცურად მოიქეცი ყველაფერში. ბურჯად ამოუდექი შენიანებს. **რუსუდან!** ჩემზე არ იდარდო. მე, ხომ იცი, **ცხრა** მთას გადავლახავ, **ცხრა** დედას პურს და **ცხრა** კოკა ღვინოს ჩავნთქავ, **ცხრა** დღე-ღამეს ვიძინებ **ცხრა**მუხის ქვეშ, **ცხრა**წყაროთი პირს დავიგრილებ, **ცხრა** ისარს ჩავიდებ კაპარჭში, **ცხრა**კლიტულს დავლეწავ და ისე მოვალ შენთან. ჩვენი ბოლო შეხვედრა არ მშორდება თავიდან. მოკლევადიან პაემნამდე წინასწარ მიდეპეშე. ოლიკოს ნუ წამოიყვან. გზაზე, ამ სიცივეში ძალიან გაწვალდება.

დედა! მოკლევადიან პაემანზე არ წამოხვიდე. ამაში დამიჯერე, იცოდე. კიდევ გიმეორებთ! ჩემზე ნუ იდარდებთ. თავს მოუარეთ და ეს იქნება ჩემი დახმარება. ჩემგან მოიკითხეთ პერსონალურად ყველა, ვისაც კი ნახავთ ჩემს ნაცნობსა და მეგობარს.

**რუსუდან,** განსაკუთრებით მომიკითხე დედაშენი და შენი ნათესაობა.

**ირაკლი! ჭკვიანად იყავი, სადარდებელს ნუ დამიმატებ. გაიხედ-გამოიხედე ირგვლივ, თბილისში შველივით გოგოები დადიან. ჩემს რჩევას თუ აინუნში ჩააგდებ, ცოლს ნუ მოიყვან ინსტიტუტის დამთავრებამდე; ჯერ საკუთარ თავში გამკვიდრდი, საკუთარ ტერფებზე მაგრად დადექი.** საკუთარ თავზე ბევრი იმუშავე, სრულჰყავი იგი ზნეობრივად, გონებრივად. საკუთარი ცოდნით ნუ გაყოყოჩდები, ნუ დასცინებ და ზემოდან ნუ დაუწყებ ცქერას შენზე დაბლა მდგომებს, არაფრით აგრძნობინო შენი უპირატესობა. გარშემო მყოფებში დადებითი თვისებები ეძიე უფრო, ვიდრე უარყოფითი. ნურავის ბოღმას გულში ნუ ჩაიდებ. გიხაროდეს, რაც უფრო მეტ ადამიანს შეხვდები ცხოვრებაში შენზე ღირსეულს, რადგან იმათგან მოდის სტიმული შენივე და სხვათა წინსვლისა. გამოიმუშავე შენში ხასიათის სტაბილურობა: ცოცხალი, ნათელი, მხიარული, სერიოზულობის ნიშნით აღბეჭდილი, მრავალგზის ნაწრთობი ფოლადივით სტაბილური ხასიათი, გარემოს ნებისმიერი შემოტევისას ნირშეუცვლელი. დარდისგან, მძიმე თრობის „პახმელიიდან“, იუმორის მსუბუქი ღვინით გამოხვიდოდე, უზრუნველობისა და ტაშფანდურობის უსაძირკვლო სიმსუბუქეს, ცხოვრების საფუძველთა პოვნას, ადამიანისა და პირადად შენი დანიშნულებისა და საზოგადოებაში მისსიის პოვნისა და გაცნობიერების მეოხებით ჰმატებდე წონას.

**ოლიკო!** შენ ჩემი სწავლება და გამხნევება აღარ გჭირდება. იმედია, თავს მოუვლი.

**რუსუდან!** საბოლოო იმედი შენზეა. შენ იცი, როგორ მომწყემსავ ორივეს. უთხარი, შენ დაგიჯერონ. შენ ჭკუა არ გაკლია (არც სილამაზე!) და არც ზომიერების გრძნობა. ოლიკოს ჯანმრთელობა და ჭირვეულობა მადარდებს, ირაკლის კი — ჯერ გამოუცდელობა და უმწიფრობა, შენი კი, ის დიდი ტვირთი, შენ რომ დაგაწვა ძალაუნებურად კისერზე. გისურვებ ცხოვრებაში სიკეთეს ყოველნაირს, რაც შეიძლება სასურველს უსურვოს მოსურნემ მისამ. ძალზე მენატრები და სანატრელის ამგვარი ნატვრა მეტად მძაფრია. სიმძაფრეს ფიქრებისას არ ვუძალიანდები, რადგან მონატრულისაგან სანატრელის ნატვრას საოცარ დინამიკაში წარმომიდგენენ ისინი. კმარა! ასაკს ჩვენსას არ შეჰფერის გრძნობების ესოდენ გაშიშვლება, მაგრამ თავად შიშვლდებიან ისინი, ანაზდეულად გვტაცებენ სადავეს და გვაოცებენ ძნელადგასახედნი ბუნებით.

**ახლა დროებით გემშვიდობებით, მხოლოდ წერილში! გისურვებთ სიკეთეს. ვუსურვებ ბარათსაც მალე გადმოელახოს მანძილი, რათა დროზე გაუწყოთ ჩემი ამბავი.**

*გკოცნით თქვენი მერაბი*
*26.IX.1978 წ.*

მიმოწერა ძალიან მძიმედ მიდიოდა საერთოდ. ამიტომ წერილები, რომელთაც მოვიყვან, იშვიათად გამოდის ერთმანეთის პასუხი. აგვიანებდა მერაბის წერილები და ჩვენ ვნერვიულობდით, აგვიანებდა ან საერთოდ არ მიდიოდა ჩემი წერილები და მერაბი ნერვიულობდა.

ჩემო მერაბ! გკოცნი ძალიან ბევრს. ძალიან მენატრები. რა ბედნიერი და დაუვიწყარი იყო პირველი ორი დღე და რა მწარე იყო მესამე დღე — განშორების.

უკვე თბილისში ვარ. მოგიყვები, უკან როგორ დავბრუნდით. ბანაკიდან რომ გამოვედი, ის ორი კილომეტრი ძალიან ჩქარა მივდიოდი, მეშინოდა ავტობუსზე არ დამგვიანებოდა. მთელი სიმძიმე რაც მქონდა, იქვე ეზოში დავტოვე. მაინც გზაში დამძიმდა ჩანთები. ვიღაც სოფლელი კაცი წამომეწია და ერთი ჩანთა წამომიღო, კიდევ კარგი. მივედი და ნახევარ წუთში ავტობუსიც გავიდა. როცა შენთან მოვდიოდი, მოქუფრული, წვიმიანი დღე იყო. უკან დაბრუნებისას მზე ანათებდა. ძალიან ლამაზი გზაა პოლოვინკიდან ჩუსოვაიამდე. მაქ ხომ უკვე შემოდგომაა. წითელი, ყვითელი ფერები, უზარმაზარი აშოლტილი არყის ხეები. მთელი გზა ბუნებას ვუყურებდი, რომ არაფერზე მეფიქრა. ჩუსოვაიაში ჩამოვედი. ბილეთი ავიღე პერმში წასასვლელი 12 საათისთვის. ბარგი შევინახე. დავჯექი. უცხო ქალაქი, უცხო სახეები. ამოდენა ტკივილი გულში. მარტოობა. ერთადერთი სურვილი, რომ ხმამაღლა ტირილი დავიწყო... ძალიან მწარე იყო ის სამი საათი ჩუსოვაიას სადგურზე... მერე მატარებელში ჩავჯექი და დღის ხუთ საათზე სასტუმროში მივედი. ოლიკოს არ ეძინა. მთელი ღამე ჩაცმული მელოდებოდა საწყალი. ირაკლიმაც გაიღვიძა. ცოტა მომეშვა გულზე. მეორე დღეს თბილისში დავრეკეთ ელიკოსთან და ქეთინოსთან. ვუთხარით, რა რეისითაც მოვდიოდით. დაგხვდებით აუცილებლადო. 10-ში პერმში ნისლიანი დილა გათენდა. ნისლი 10 საათამდე არ გაიფანტა და გაფრენა დაგვიანდა. მოსკოვში რომ ჩავფრინდით, ჩვენი თვითმფრინავი თბილისზე უკვე მიფრინავდა. გვითხრეს, ხვალ საღამომდე არ არისო ბილეთები. ოლიკო ძალიან დაიღალა და თუ შენკენ მომავალ გზაზე ერთხელაც არ დაუწუწუნია, უკანა გზაზე უკვე ძალიან აგვიწუწუნდა. როგორც იქნა, ერთი ბილეთი ძლივს ვიშოვე შემდეგ რეისზე და ოლიკო გამოვუშვით. ამაზედაც გაგვიბრაზდა, რატომ მიშვებთო. იქ ვიღაც თბილისელები იყვნენ და იმათ ჩავაბარეთ. კიდევ კარგი, გამოვუშვით. მე და ირაკლიმ აეროპორტში სკამზე დამსხდრებმა გავათენეთ ღამე და მხოლოდ დილით გამოვფრინდით. ამასობაში ელიკო და ქეთინო ყოველ რეისზე გვხვდებიან თურმე. მე ოლიკოს დავაბარე, რომ ჩახვალ, დაურეკე-მეთქი. ოლიკოს ნომერი დავიწყნია და არ დაურეკავს. კინაღამ გაგიჟებულან. კიდევ კარგი, გვიან ღამით მე და ირაკლიმ დავრეკეთ, თორემ უკვე მოსკოვში გამოფრენას ფიქრობდნენ, რაღაც მოუვიდათო.

თბილისში ყველაფერი წესრიგში დაგვხვდა. სამსახურში გავედი და ყოველდღე ვატარებ ლექციებს, გაცდენილი საათები რომ ავანაზღაურო. ვცდილობ, ყოველდღიური ცხოვრების რიტმში ჩავდგე. ჯერჯერობით არ გამომდის. ფიზიკურად აღარა ვარ მაქ, მაგრამ შიგნით ისეთი განწყობა მაქვს, თითქოს ერთად ვართ. სულ რაღაცას გელაპარაკები, გეალერსები, იმ თბილ სიტყვებს გეუბნები, მაქ რომ თქმა ვერ მოვასწარი. ღმერთო, რამოდენა დროა, სანამ კიდევ გნახავ.

მერაბ, შენი ხველება რომ მომაგონდება, გული მეწვება. შენი ჭირიმე, მოუარე ჯანმრთელობას.

დოდოს **(ვიქტორ რცხილაძე)** სასამართლო ჩატარდა. 2 წელი გასახლება მიუსაჯეს და 3 წელი პირობითი. პრესაში იყო ინფორმაცია პროცესზე. დანაშაული აღიარა და მთლიანად მოინანია. ჩემი წარსული სამარცხვინოა და იმედით ვუყურებ მომავალსო. სასამართლომ მხედველობაში მიიღო მისი მონანიება და როგორც ხედავ, სასჯელიც რბილი გამოუტანეს. სად გაასახლებენ, ჯერ ცნობილი არ არის. **ზეინაბს (ვ. რცხილაძის მეუღლე)** ველაპარაკე ტელეფონით და ჯერ არ იცოდა, სად გააგზავნიან.

პირველი, რაც სახლში შემოსვლისას დავინახე, შენი წერილი იყო. უკვე მოსულიყო. ისე გამიხარდა, თითქოს იმ წერილიდან ახალ რამეს გავიგებდი.

გუშინ საწყალი **გურამ გოგავას** დაბადების დღე იყო. სასაფლაოზე გავედით მე და ირაკლი. მერე ლამარასთან ვიყავით. დიდი სიყვარულით მოგიკითხა ყველამ: ნათესავებმა და მეგობრებმა.

გკოცნი ძალიან ბევრს. გისურვებ ჯანმრთელობას, კარგად ყოფნას, აბა შენ იცი, როგორ ჭკვიანად იქნები.

*შენი რუსუდანი*
*1978. IX*

ჩემო მერაბ! ლოდინით გული გადამელია, შენი წერილი არა და არ არის. რატომ არა მწერ? ავად ხომ არა ხარ? უკვე 20 დღეა, რაც წამოვედი, ხომ უნდა მოსულიყო შენი წერილი?

ჩვენ კარგად ვართ ყველანი. დედაშენმა მუშიოს სმა დაიწყო და ძალიან გამოყოჩაღებულია. წინა შაბათ-კვირას გურიაში ვიყავი, დედაჩემთან. კარგად არის. დიდი მოკითხვა შემოგითვალეს გურულმა მოყვრებმა სონია მამიდამ, მიშა ბიძიამ, ქეთო კუნჭულიამ, ალიოშამ და ა.შ.

**თბილისში ახალი არაფერია. ზვიადმა დამირეკა კოჩუბეიდან** (ასე ჰქვია აულს, სადაც ის არის). **შენს ამბებს კითხულობდა დაწვრილებით, ალბათ, წერილს მოგწერს.**

მაქეთ უკვე სიცივეებია, ყოველ საღამოს ვისმენ ამინდის ბიუროს ცნობებს. კიდევ გახველებს? მიდი რა ექიმთან, რაიმე წამალს მოგცემს.

ძალიან აფორიაქებული ვარ, წერილი რომ არ არის. არც კი ვიცი, რა მოგწერო. ყველაფერი უმნიშვნელოდ მეჩვენება, იმასთან შეადარებით, რომ შენი ამბავი არ ვიცი.

ჩემს სურათს გიგზავნი. მინდოდა, მხიარულს გადამეღო, მაგრამ არ გამომივიდა. განწყობის თეორია ხომ გაგიგონია?

გკოცნი ბევრს, ძალიან ბევრს. ძალიან მენატრები. ამდენი ფიქრი თუ შეიძლებოდა ადამიანზე, არც კი მეგონა. სხვამ რომ არაფერმა, ჩემმა ფიქრმა და წუხილმა უნდა დაგიფაროს ყველანაირი გაჭირვებისგან. კიდევ გკოცნი.

*რუსუდანი*
*28.IX.1978 წ.*

**ჩემო მერაბ, დარდებს ჩვენთან რა უნდა. ეს დრო ხომ მალე გაივლის და ისევ ერთად ვიქნებით. მე მგონი, უკვე აღარასოდეს აღარ ვიჩხუბებთ** (მერა „მოჩხუბარი“ ვიყავი, ხომ გახსოვს), ოღონდ შენ დაბრუნდი და თბილისის ქუჩებში გავლილი დაგინახო, გეფიცები, ერთ „სკანდალს“ აღარ მოგიწყობ. მერაბ, გენაცვალე, შემოგევლე, ვატყობ, რომ ჩემი წერილები, თუ ისინი მიიღე უკვე, სულ ჩემს შინაგან განწყობას გადმოსცემენ, შენ კი, ალბათ, ამბები გაინტერესებს აქაური „кто женился, кто замуж вышел, чья корова отелилась...“ მე კი მაგიდასთან წერილის დასაწერად რომ დავჯდები, ყველაფერი წვრილმანი, რაც მინდა მოგწერო, თავიდან ამომიფრინდება.

თბილისში მზიანი, ნათელი შემოდგომაა. შემოდგომის სუსხი ჯერ არ გვიგრძნია. უნივერსიტეტში ყველაფერი ძველებურადაა. ერთი სტუდენტი მყავს ყველა მათემატიკური პრობლემის (ჯერ ამოუხსნელის) ამოხსნას აპირებს და როგორც თვითონ ამბობს, უმეტესობა უკვე ამოხსნილი აქვს. ჯერ ვერ დავადგინე გიჟია, გენიოსი თუ შუაში რაიმე. მათემატიკაში ვმუშაობ. ამ თვეში ერთი შრომა გავაკეთე, რომელიც დასაბეჭდად გამოდგება. ირაკლი ბევრს კითხულობს, მაგრამ, სამწუხაროდ, თავის პროფესიაში არაფერს აკე-

**ლაპარაკი მხოლოდ რუსულად, თემა — ოჯახი, ყოფა. არავითარი პოლიტიკა. ჩვენ საუბარს ვიწყებთ. სამივეს ენა გვებმება. ასე მეჩვენება, რომ რუსული ენა, რომელიც პრინციპში სრულყოფილად ვიცი, უცხო ენაა, რომელზედაც არასოდეს მისაუბრია. მეც, მერაბიც, ირაკლიც ქართულ ენაზე გადავდივართ. უხეშად გვაწყვეტინებენ — რუსულად ილაპარაკეთ!**

# უცნობი დღიურები

თებს. ვერ შევაგნებინე, რომ მე-20 საუკუნე, უპირველეს ყოვლისა, პროფესიონალიზმის საუკუნეა და მერე ზოგადი განათლების. მოსწერე ამის შესახებ ერთი ორი წინადადება. **ლექსების წერა დაიწყო. ამაზე ნურაფერს მოსწერ, ჯერ მეც კი არ მაჩვენებს. ერთი ორი ლექსი შემთხვევით მომხვდა ხელში.** ძალიან პესიმისტური განწყობები აქვს, ძალიან მოქცეულია თანამედროვე ევროპული ლიტერატურის გავლენის ქვეშ. ეგზისტენციალიზმი, აბსურდის ლიტერატურა და ა.შ. მოკლედ, სრული ქაოსი აქვს თავში. იმის იმედი მაქვს, ჭკვიანი ბიჭია და თვითონ გაინათებს ამ ქაოსს. დედაჩემი დიდი სიყვარულით გითვლის მოკითხვას. წერილიც მოგწერა. ოლიკო კარგადაა, ჯანმრთელად. ჩვენზე არ ინერვიულო. გაკოცებ ბევრს, ძალიან ბევრს. მომწერე რომელ რიცხვებში გაძლევენ წერილის მოწერის უფლებას, რომ არ ვინერვიულო. გკოცნი.

*რუსუდანი*
*12.X.78*

ირაკლის შევეკითხე, ახლა რაიმე ახალი ანეკდოტი მითხარი-მეთქი, მაგრამ ისეთი „უზრდელური" ანეკდოტები მითხრა, ვერ მოგწერ.

ასე რომ, ანეკდოტიც ვერ გითხარი.

გკოცნი ბევრს, ბევრს, გელოდები, ვფიქრობ შენზე ხშირად და დიდხანს...

*რუსუდანი*
*19.X.1978 წ.*

გამარჯობათ!

**რუსუდან:** ამჟამად მივიღე შენი და დედაჩემის წერილი — სექტემბრის ბოლომდელი, შენი ფოტოთი. გულით გავიხარე. ფრიად ახალგაზრდად და ლამაზად გამოიყურები, როგორც სინამდვილეში. ვარ თუ უკეთ არა, ისე მაინც, რომ შემიძლია ვთქვა: „მე იგივე ვარ მარად და მარად!" **ამჟამად აქ ისევ თოვს, მაგრამ ზამთარი წინამდებარე წლებზე თბილია; თუმცა ამინდის გუნებას ვინ გაიგებს. ასე რომ, თბილად და საფუძვლიანად** გიჩხუბიათ, ისევ და ისევ დავიჯერებ სასწაულების არსებობას, ახალი რძალ-დედამთილიანის სიუჟეტად გამოდგების. ზვიადის და დოდოს ასავალ-დასავალი თუ რამ შეიტყო, გამაგებინე. თუ კარგი რამ წიგნი გამოჩნდეს წიგნების ბაზარზე, მოიხელთე, ჭკვიანი გოგო ხარ და ამის სწავლება არ გჭირდება. შენს წერილში მოხსენებულ მომკითხველებს მოკითხვა ჩემგან, სხვა ახლობელ-შორებლებსაც, სადაც ვინ შეგეჩეხოს. ირაკლის წერილი ერთიც არ მიმიღია. მწერს თუ არა ეს მამაძაღლი? ოლიკომ თავს და ჯანმრთელობას მოუაროს, ნერვები არ დაიჩლუნგოს, ჩემს გასაცურს მარჯვედ და ღირსეულად გადავცურავ. შენც მოუარე თავს, იყავი მარად მხნე, სულიერად და ხორციელად ჯანმრთელი და ახალგაზრდა. გისურვებთ მხოლოდ სიკეთეს და ბედნიერებას.

*გკოცნით თქვენი მერაბი*
*17.XI.1978 წ.*

რაბის ღირსებისთვის საზიანო რომ აღმოჩნდება-მეთქი. ამჯერზე შემპარავი ღიმილით მეუბნება: **„ქალბატონო რუსუდან, ასეთ მძიმე გზაზე 4 საათით შესახვედრად მიდიხართ მერაბთან. ძალიან ცოდვები ხართ. იქნებ მე დავრეკო და ვთხოვო, სამდღიანი შეხვედრა მოგცენ".** რეაქცია მომენტალური მაქვს (მაინც კარგია, რომ პროფესიით მათემატიკოსი ვარ): **„ბატონო ალექსანდრე, მერაბს გრძელვადიანი პაემანი წელიწადში ერთხელ ეკუთვნის და უკვე ვიყავით ასეთ პაემანზე სექტემბერში. ახლა მერაბს კიდევ რომ გრძელვადიანი პაემნის ნება მისცენ, რას იფიქრებენ პატიმრები მასზე ან განა თვითონ მერაბი დაუშვებს ამას?"** სახეზე ცოტათი იმედგაცრუებას ვამჩნევ ბატონ ალექსანდრეს. **„ხო, მართალი ხართ, იცით, მე მაგაზე კი არ მიფიქრია!" „ქალბატონო რუსუდან, იქნებ დაწეროს მერაბმა ერთი წინადადება, ან ერთი თხოვნა**




**რუსუდან! ჩემზე არ იდარდო. მე, ხომ იცი, ცხრა მთას გადავლახავ, ცხრა დედას პურს და ცხრა კოკა ღვინოს ჩავთქავ, ცხრა დღე-ღამეს ვიძინებ ცხრამუხის ქვეშ, ცხრაწყაროთი პირს დავიგრილებ, ცხრა ისარს ჩავიდებ კაპარჭში, ცხრაკლიტულს დავლეწავ და ისე მოვალ შენთან!**

ჩემო მერაბ! გკოცნი ძალიან ბევრს. ძალიან მენატრები. თვენახევარში ალბათ გნახავ. მერაბ, მომწერე რა ამინდებია მაქეთ დეკემბერში, რამდენ გრადუსს აღწევს ხოლმე ყინვა.

როგორ ხარ? ჩვენ კარგად ვართ. მე ახლა წერილს გწერ. ირაკლი და ოლიკო როიალთან სხედან და ოთხ ხელში უკრავენ. ძალიან იუმორისტული სანახაობაა. ცუდია, რომ აქ არა ხარ. ირაკლი ძალიან მიეძალა ამ ბოლო დროს ფორტეპიანოს. სამწუხაროდ, ნიჭში (მუსიკალურში) ირაკლი ძირითადად მე მგავს (ამიტომაა ცუდი გენეტიკური ნაკლით შემკული ქალის ცოლად შერთვა, თუნდაც იმ ქალს ყველა სხვა თვისება ისეთ „იდეალურ" დონეზე ჰქონდეს, როგორც მე მაქვს). ჩემო მერაბ, შენ ალბათ უკვე გცივა. ჩვენთან ისევ მზეა და სითბო. წელს ძალიან კარგი მოსავალი იყო საქართველოში და ბაზარი გასაოცრად ლამაზი სანახავია. მე, მოგეხსენება, ბაზარში სიარულით თავს დიდად არ ვიწუხებ. გუშინ ვიყავი. ალიოშა დავაწვინე საავადმყოფოში და მისთვის ხილის საყიდლად ვიყავი. ისეთი ჭრელი, „იმპრესიონისტული" სანახავია ბაზარი, ერთი სამი წუთი ვიდექი და ვუყურებდი. გაგეცინება, ბაზრის ესთეტიკაზე ამდენს რომ გწერ, მაგრამ მართლაც ერთი დიდი საუცხოო ნატურმორტი იყო სიკერიოსის სტილში შესრულებული. თანაც ასე მგონია, გაგეხარდება, ამ ნაცნობი და მშობლიური სურათის აღდგენა...

გასაოცარი თვისება დამჩემდა: ყველაფერს ან შენი თვალით ვუყურებ, ან გულის დაწყვეტის გრძნობა მომყვება ხოლმე, რომ ამას შენ არ უყურებ. არა უშავს, დრო საერთოდ, ხომ ჩქარა გარბის? ეს წლებიც გაირბენს, აბა სხვა რა გზა აქვს? შენ მხოლოდ თავს მოუარე, მხნედ და ჯანმრთელად იყავი.

**მერაბ, სექტემბერში ხომ ორი წერილი უნდა მოგეწერა? მეორე წერილი არ მიგვიღია. ვინმე სხვას ხომ არ მისწერე?**

ისწავლე ზეინკლობა (თუ ხარატობა)? როგორი წარმატებები გაქვს? წიგნებს თუ კითხულობ. თუ გინდა წიგნები წამოგიღო? გინდა ო. ჭილაძის „ყოველმან ჩემმა მპოვნელმან" წამოგიღო? აი, რომ გეუბნებოდი, შესანიშნავი რამ გამოუვიდა-მეთქი? თუ არ შეიძლება წიგნების ჩამოტანა?

თბილისში საინტერესო, მე მგონი, არაფერი მომხდარა. მე არ გამიგია ყოველ შემთხვევაში.

**ჩაიცვი და ისე წამოდი.** წიგნებს ნუ წამოიღებ, აქ საკითხავი იშოვება და თავისუფალი დროც საკმაოდაა. განწყობაც არის. წერილებს ყოველთვე წყვილად ვაგზავნი, რა თქმა უნდა, მხოლოდ თქვენკენ, სხვაგან არსად. მოდის თუ არა, ჩემზე არაა დამოკიდებული. მხოლოდ სექტემბერში გამოვგზავნე ერთი. ამისთვის ჩემს თავსვე ვტუქსავ, მაგრამ ასე გამომივიდა, სიზარმაცეში ან უგულობაში არ ჩამომართვა. მიხარია, თუ კარგად ხართ და არაფერს მიმალავთ. **ამასწინ ზედიზედ ორჯერ მესიზმრე. ერთხელ თითქოს მე ვიყავი მანდ, შენ სამოცი წლისას ჰგავდი. მეორედ პირიქით, შენ აქ იყავი ძალიან საყვარელი, თეთრად და იასამნისფრად მორთული — ოცი წლის წინანდელი იერით.** საძილისშორისო შინაარსებს აღარ მოვყვები, ამბავი გამიგრძელდება. ესაა რომ სიზმრების არსს ბოლომდე ვერც კი ჩავწვდი, შენი ფოსტის მიღებას მოასწავებს, თუ რაიმე სხვას: მენატრებით თბილისიც და თბილისელებიც, ნოემბრის ჟინჟლიც და გვიანი შემოდგომის მონოტონურობაც, თქვენი საბურთალოს ქარებიც. შენ და ოლიკოს დღემდე ერთხელაც თუ არ

●

1 ნოემბერს მოკლევადიანი პაემანი გვეკუთვნოდა.

პაემანზე წასვლის წინ **ალექსანდრე მირიანაშვილმა** დამიბარა **სუკში.** სუკის საგამოძიებლო ნაწილის უფროსი იყო, მერაბის და ზვიადის საქმეს იძიებდა. ზვიადის მონანიებაში მისი დიდი „დამსახურება" იყო. უაღრესად ჭკვიანი კაცი იყო და მაღალი კლასის პროფესიონალი. 1978-87 წლებში რამდენჯერმე მქონდა მასთან ურთიერთობა. ყოველთვის მერაბის მიმართ ღრმა პატივისცემას ამჟღავნებდა. **უნდოდა, ცხადია, მერაბს მონანიება დაეწერა, ორჯერ ციმბირში თანამშრომელი გააგზავნა, იქნებ რამეს მივაღწიოთო. ეს მისი პროფესიული მოვალეობა იყო, ძალიან ცდილობდა, მიეღწია ამისთვის. მაგრამ, ფსიქოლოგიურად, ამის გარდა ხომ არსებობს გაუტეხელი და უდრეკი მტრის პატივისცემა, აი, ამ პატივისცემას მერაბის მიმართ ვგრძნობდი მისგან ყოველთვის.**

**ა. მირიანაშვილი** რომ ძალიან ჭკვიანი იყო, ამას პირველივე შეხვედრაზე მივხვდი და საშინლად დაძაბული ვხვდებოდი ყოველთვის. რამე ისეთი არ მათქმევინოს ან გამაკეთებინოს, მე-

**პატიების შესახებ. მე და თქვენს გარდა ამის შესახებ არავის არ ეცოდინება".**

მე ვიღიმები: **„ბატონო ალექსანდრე, თქვენ ხომ კარგად იცით, რომ მერაბი არაფერს არ დაწერს".** ამით დამთავრდა ჩვენი საუბარი. მთხოვა, ჩამოსვლის შემდეგ მივსულიყავი და მერაბის მდგომარეობა მემცნო.

28 ნოემბერს თბილისიდან გავფრინდით მე და ირაკლი. მოსკოვის აეროპორტმა არ მიგვიღო. როსტოვში ჩავფრინდით. ღამე იქ გავათენეთ. მეორე დილით მოსკოვში გავფრინდით, დომოდედოვოს აეროპორტი 3 დღით დაკეტილი დაგვხვდა. გიჟებივით გამოვცვივდით რკინიგზის სადგურში. 3 საათი რიგში ვიდექით. მშივრები, დაღლილები, დაქანცულები.

ვიყიდეთ ბილეთი საფირმო მატარებელზე **მოსკოვი-პერმი,** ვიშოვეთ „СВ". ერთი საათის შემდეგ სუფთა, ლამაზ ორადგილიან კუპეში შევედით. ერთი საათი გაუნძრევლად ვიწექით და ხმის ამოღების თავი არ გვქონდა. გუშინ დილით წამოსულებს დღეს საღამოს ძლივს გვეღირსა ამოსუნთქვა. პერმამდე კარგად ვიმგზავრეთ. **პერმში მეტრამდე თოვლი და 30 გრადუსი ყინვა დაგვხვდა.** ღამის 10 საათზე ჩუსოვაიასკენ მიმავალ ელექტრომატარებელში გადავჯექით. ვაგონი ძველი და ჭუჭყიანი იყო. ვაგონში რამდენიმე მოხუცი კაცი და ქალი იყო. მატარებელი ტყეში მიდიოდა.

**ერთ პლატფორმაზე მატარებელში ხუთი მთვრალი ახალგაზრდა ამოვიდა. ალკოჰოლისაგან გონდაკარგული ბოროტი სახეები ჰქონდათ. ირაკლი თვალში არ მოუვიდათ. მოგვიახლოვდნენ და „Выходи в тамбур, барчук", — ჩაისისინეს. განწირულების გრძნობა დამეუფლა. ირაკლის ავეფარე, არ გამოვუშვებ-მეთქი. „დედა, გამიშვი". ირაკლის თავისი მუშტების იმედი აქვს. მატარებელი გაჩერდა.** ჩავიდნენ. გადავრჩით. მთელი ტანი მიცახცახებს. „არა, ირაკლის მეტს აღარ წამოვიყვან, მარტო წამოვალ", — ვეუბნები საკუთარ თავს. ჩუსოვაიაში ისევ ჩვენს „ჰილტონში" გამოვიძინეთ 40 მთვრალ ქალთან ერთად **(ჩუსოვაიას სადგურზე იყო დიდი სტენდი, სადაც აკრავდნენ იმ ადამიანთა გვარებს, მთვრალები მატარებლის ბორბლებქვეშ რომ აღმოჩნდნენ. დაახლოებით, 40-მდე ადამიანის გვარს და სახელს. უკან რომ ვბრუნდებოდით ორი დღის შემდეგ, სტენდი გამოცვლილი გვხვდებოდა — ახალი გვარები იყო გამოკრული.**

რუსი მწერალი **ვიქტორ ასტაფიევი** ჩუსოვაიაში ცხოვრობდა. ისეთი გაუბედურებული, უბადრუკი და გაჩანაგებული ადგილია, ძალიან კარგად მესმის, რატომ იყო ასეთი გაბოროტებული თვითონ მწერალი. ეს ხომ მისი ხალხია, მისი უბედურებაა. მე მტკიოდა გული, მათ რომ ვუყურებდი და თვითონ მას რა მოუვიდოდა...);

დილით „მშობლიურ" პოლოვინკაში წავედით. 2 საათზე **მერაბთან** შესახვედრად შეგვიყვანეს. ოთახი, რომელშიც შეხვედრა შედგა, გაურემონტებელი, ჭუჭყიანი და უფანჯრო იყო. იდგა ერთი მაგიდა. მაგიდის ორივე მხარეს სკამები იდგა. შემოიყვანეს მერაბი. მაგიდის ერთ მხარეს მერაბი დასვეს, მეორე მხარეს — მე და ირაკლი. ორი მცველი მაგიდის ერთ თავში დადგა, მეორე მხარეს მათი უფროსი, ლეიტენანტი, რომელმაც შეხვედრის წესები გაგვაცნო. **ლაპარაკი მხოლოდ რუსულად, თემა — ოჯახი, ყოფა. არავითარი პოლიტიკა.** ჩვენ საუბარს ვიწყებთ. სამივეს ენა გვებმება. ასე მეჩვენება, რომ რუსული ენა, რომელიც პრინციპში სრულყოფილად ვიცი, უცხო ენაა, რომელზედაც არასოდეს მისაუბრია. **მეც, მერაბიც, ირაკლიც ქართულ ენაზე გადავდივართ. უხეშად გვაწყვეტინებენ — რუსულად ილაპარაკეთ!** ბოლოს სამივეს ყელში გვაწვება. დამცირებულად და შეურაცხყოფილად ვგრძნობთ თავს. მე და მერაბი ერთმანეთს ვესაუბრებით და **ირაკლი** გვავიწყდება. ირაკლი მთელი ამ სიტუაციით საშინლად გაღიზიანებულია. მე მწარე სიტყვებს მეუბნება. მერაბი უჯავრდება. **აბსურდის თეატრს ჰგავს ეს ყველაფერი. სამივენი უბედურები ვართ. ჩვენი მცველები მორალურად გვანადგურებენ. ოთხი საათი გავიდა. ვემშვიდობებით ერთმანეთს. მერაბის თვალებში უკიდეგანო სევდაა...**

გარეთ გამოვდივართ. საღამოა. **ყინვა 32 გრადუსამდე.** გალავანთან მარხილი დგას, რომელმაც პოლოვინკიდან რძე მოიტანა. მარხილზე რძის ბიდონები აწყვია. მარხილის პატრონი გვთავაზობს მარხილზე დაჯდომას. ვსხდებით. პოლოვინკაში რომ ჩავედით, რძის ბიდონებზე მიყინულები ძლივს ავდექით. სასადილოში შევედით. მორალურად და ფიზიკურად გაყინულები ვართ. ირაკლის ვეუბნები, იქნებ ერთი ჭიქა არაყი მომიტანო-მეთქი. ჩემს სიცოცხლეში არაყი არ დამილევია. ახლა ძალიან მინდა. მაგრამ არაყი 7 საათის შემდეგ აღარ იყიდება. ავტობუსი ჩამოდგა. ვსხდებით ავტობუსში და სადგურ სკალნში მივემგზავრებით. სადგურის მოსაცდელში მთვრალი ხალხი გნიასებს. მე და ირაკლის ლაპარაკის თავი არა გვაქვს...

ჩამოსვლიდან ორი დღის შემდეგ **ა. მირიანაშვილმა** დამირეკა და მისვლა მთხოვა. მივედი. კაბინეტში სუკის მაღალი ჩინის წარმომადგენელი იჯდა. ნაჯახით გათლილი სახე ჰქონდა. ვიწრო, ბოროტი და უსიამოვნო თვალები. ა. მირიანაშვილმა რუსულად მკითხა, როგორ იმგზავრეთო. მე ვუპასუხე, რომ ძალიან მძიმე გზა გვქონდა. სუკის რუსმა თანამშრომელმა მითხრა: „Вам еще повезло. В России есть места, куда только на собаках можно добраться". **მირიანაშვილმა უხერხულად იგრძნო თავი და ამიხსნა, საკავშირო სუკის წარმომადგენელია, საქართველოს სუკს კურატორობსო.** მერე ისევ რუსულად მკითხა — **რა განწყობაზეა მერაბი?** მე ვუპასუხე, რომ **მერაბი აზრს არასოდეს შეიცვლის და პატიების თხოვნას არასოდეს დაწერს-მეთქი.**

**ჩემო მერაბ, დარდებს ჩვენთან რა უნდა. ეს დრო ხომ მალე გაივლის და ისევ ერთად ვიქნებით. მე მგონი, უკვე აღარასოდეს აღარ ვიჩხუბებთ...**

გაგრძელება შემდეგ ნომერში



# მიხეილ ცაგარელი: ზოდიაქოს ნიშნების ანგელოზები და დემონები

*— რას ცდილობს და რისკენ გვიბიძგებს დემონი ანდა, პირიქით, რას გვასწავლის და რისგან გვიცავს მფარველი ანგელოზი? ნათელი ადამიანი რით არის დაჯილდოებული, განსხვავებით იმათგან, ვინც მანკიერებას სულის კარს გაუღებს? ვინ არის ვერძის თანავარსკვლავედის მფარველი ანგელოზი ანდა ვინ იმალება მის ზურგს უკან? ვერძის ნიშნით დაბადებულში ბნელი ძალები რის პროვოცირებას ახდენენ და სანაცვლოდ მფარველი ანგელოზი რას ასწავლის და რაში ეხმარება? რითი გამოირჩევა თევზების ნიშნით დაბადებული მძღოლი, რას შეიგრძნობს ქვეცნობიერად და რისი უნარი აქვს? მიუხედავად ამისა, რა არის იმის მიზეზი, რომ ხშირად ბედი არ სწყალობს ანდა როდის მართებს განსაკუთრებული სიფრთხილის გამოვლენა? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.*

**— როგორც აღნიშნეთ, ჩვენი ცხოვრების ტემპი ჩქარია და დღითი დღე უფრო იმატებს, რის შედეგადაც ხშირად მოვლენათა გააზრებას ვერ ვასწრებთ და მშვიდად ფიქრისა თუ განსჯისათვის დრო არ გვრჩება. ამას სტრესიც ემატება, რაც მომავლის შიშს გვიძლიერებს და უიმედობა გვიპყრობს, თუმცა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ გამოსავალი ყოველთვის არსებობს, მით უფრო, თუ გვეცოდინება, რას უნდა მოვერიდოთ ანდა რა უნდა გავიძლიეროთ. ამ მიმართებით, ზოდიაქოს ამა თუ იმ ნიშნის წარმომადგენელთან დაკავშირებით, ზოგადად, რა რჩევები უნდა გავითვალისწინოთ?**

— მოგეხსენებათ, **თითოეულ ადამიანს მოეძებნება, როგორც ღირსებები, ძლიერი სულიერი თვისებანი, ისე ღია თუ ფარული მანკიერებები და სისუსტეები.** ეს უკანასკნელი ჩვენი დემონის ხრიკებია, რომელიც მუდმივად ცდილობს, შეცდომა დაგვაშვებინოს, დაგვასუსტოს, შეგვაცდინოს, რათა წყვდიადისკენ გადმოგვიბიროს. მას წინააღმდეგობას უწევს ჩვენი ანგელოზი, რომელიც ცდილობს, პირიქით, საშიშროება აგვაცილოს, ავისგან დაგვიცვას, სული და სინდისი განწმინდოს და სიკეთისკენ, ნათლისკენ წაგვიყვანოს. უნდა აღინიშნოს, რომ ნათელი ადამიანი დაჯილდოებულია უფრო მაღალი სულიერი თვისებებით, ვიდრე ის, ვინც თავისი სულის კარს გაუღებს მანკიერებას და სჩადის საქციელს, რომელიც მხოლოდ დემონურ ძალებს გაახარებს. ყოველ ჩვენგანს ჰყავს თავისი პერსონალური ანგელოზი და დემონი. **ამჯერად საუბარი გვექნება იმ ანგელოზებზე, რომელნიც უფრო ძლიერნი არიან, რამეთუ თითოეული მათგანის განკარგულებაში გახლავთ მთელი ზოდიაქური თანავარსკვლავედი და, შესაბამისად, ამ ზოდიაქოს წარმომადგენლები.** დავიწყოთ ტრადიციულად პირველი ნიშნით.

**1. ვერძის ზურგს უკან ზიზღისა და ეგოიზმის დემონი იმალება, რომელსაც წინააღმდეგობას გულღიაობის, გულახდილობის და სიკეთის ანგელოზი უწევს.** ვერძის ნიშნით დაბადებულში ბნელი ძალები ახდენენ მრისხანების, მოუთმენლობის პროვოცირებას, რის შედეგადაც მას საკუთარი შეცდომის აღიარება არ სურს და გარშემო მყოფებს უპატივცემულოდ და უხეშად ექცევა, მაგრამ **მფარველი ანგელოზი ბაქარიელი** ასწავლის მას ადამიანების პატივისცემას, გულახდილობას, ტყუილ-სიცრუის მიუღებლობას. სწორედ **მფარველი ანგელოზის ბაქარიელის** დახმარებით **ვერძს** ძალუძს სასიცოცხლო ენერგიით დამუხტვა, ნებისმიერ რთულ საქმესთან გამკლავება, სირთულეების ოპტიმისტურად აღქმა და წარმატების მიღწევა.

## ასტროლოგია და ავტომობილის მართვა

**— განვაგრძოთ საუბარი ამა თუ იმ ზოდიაქოს ნიშნით დაბადებული ადამიანის, როგორც მძღოლის უნარისა და თავისებურებების შესახებ. ამ მიმართებით, რით გამოირჩევა თევზების ნიშნით დაბადებული?**

— **12. თევზების ნიშნით დაბადებული მძღოლის ამპლუაში განსაკუთრებულად ინტუიციურია და წინასწარ გრძნობს შესაძლო სირთულეებს:** იქნება ეს საცობები, მანქანათა სიმჭიდროვე, დაძაბულობა თუ პრობლემები. შესაბამისად, ცდილობს, დროულად გაენერიდოს. გარდა ამისა, **თევზი-მძღოლი ქვეცნობიერად შეიგრძნობს სხვა მძღოლების განწყობას, სურვილებსა თუ ჩანაფიქრს. და ეს შეიმჩნევა არამარტო გამოცდილ მძღოლში, არამედ ახალბედაშიც, რაც მეტად მომგებიანია და საშუალებას აძლევს, რთული სიტუაცია დროულად თავიდან აირიდოს. უნდა ითქვას, რომ ისეთ ვითარებაშიც კი როდესაც ეს-ესაა ავარია უნდა მოხდეს, თევზი-მძღოლი ბოლო მომენტში ახერხებს მანევრის ჩატარებასა და მდგომარეობის განმუხტვას. თევზები** თავის თავს მძღოლთა ელიტად მიიჩნევენ, ამიტომ ცდილობენ, გამოცდილი, პროფესიონალი მძღოლების გვერდით იმოძრაონ, სადაც თავს მშვიდ გარემოში გრძნობენ. მიუხედავად ყოველივე ამისა, **მათ ხშირად ბედი არ სწყალობთ. ამის მიზეზი კი გახლავთ ძლიერი წარმოსახვის უნარი, სხვადასხვა როლის მორგების სურვილი, რეალობის იოლად დავიწყება და ზედმეტი ემოციურობა.** ამის გამო, თევზებისა და გარშემო მყოფთა ურთიერთობა გზებზე ხშირად კონფლიქტურია და ქაოსს იწვევს. განსაკუთრებული სირთულე კი მაშინ წარმოიქმნება, როცა გზაზე ერთმანეთს ამ ზოდიაქოს ნიშნის ორი წარმომადგენელი შეხვდება, რომელნიც განსხვავებულ ტაქტიკასა და მანევრს ირჩევენ. **თევზებს** რაიმე გამორჩეული პრიორიტეტები არა აქვთ. ზოგიერთი მათგანი განმარტოებით, დამოუკიდებლად, ზოგი კი მანქანების ნაკადში მოძრაობს, სადაც სხვებს აუღელვებლად მიჰყვებიან. ნიშანდობლივია ისიც, რომ **თევზი-მძღოლი** ხშირად მანქანაში რადიოს ან მუსიკას უსმენს, რაც პერიოდულად უყურადღებობის მიზეზი შეიძლება გახდეს. იგი ჩვეულებრივ საკმაოდ თავმდაბალია და მანქანის მართვისას დაწინაურებას არ ცდილობს, მაგრამ პატივმოყვარეა და ფეთქებადი, თუმცა, საკმაოდ გონიერია და შინაგან წონასწორობას ინარჩუნებს. მიუხედავად ამისა, შესაძლოა, მშვიდი მოძრაობისას მოულოდნელად მიმართულება შეიცვალოს, რაც სხვა მძღოლების უკმაყოფილებას გამოიწვევს. რეკომენდაციის სახით უნდა ითქვას, რომ **კარგი იქნება, თუ თევზი-მძღოლი განსაკუთრებულ ყურადღებას გამოავლენს გზაჯვარედინებზე და მოსახვევებში სწრაფად არ შეუხვევს.** მას ასევე განსაკუთრებული სიფრთხილე მართებს მოყინულ გზებზე მოძრაობისას.

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## 18 - 24 მარტის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
**ენერგია მოიმატებს და განწყობაც გაგიუმჯობესდებათ. კარგი პერიოდია ცვლილებებისთვის. წარმატების მისაღწევად კი ბევრი მუშაობა და გეგმაზომიერი მოქმედებაა საჭირო. შესაძლოა, კვალიფიკაციის ამაღლებაც დაგჭირდეთ. სასიყვარულო ურთიერთობისას ერთად გატარებული დრო და რომანტიკული გარემო გრძნობას გააძლიერებს. მოგზაურობის დროსაც სასიამოვნო სიახლეები გელოდებათ.**

**კურო** (21.04-20.05)
**მეტად დინამიკური და ენერგიული პერიოდია ბევრი შეხვედრა-გადაადგილებებით. საქმეში წარმატებას მოგიტანთ უახლესი მეთოდებისა და ტექნოლოგიის გამოყენება. პოპულარობა დამატებითი შემოსავლის მიღებაში ხელს შეგიწყობთ, მაგრამ ფინანსურ საკითხში სიმშვიდის შენარჩუნება გაგიჭირდებათ. რომანტიკის მოთხოვნილება სიყვარულის მორევში ჩაგითრევთ, რაც მეტად მოგადუნებთ და შესაძლოა, გულმავიწყობაც გამოიწვიოს.**

**ტყუპი** (21.05-22.06)
**მშვენიერი ფიზიკური და სულიერი მდგომარეობა ახალი კონტაქტების დამყარებას გაგიადვილებთ. გამჭრიახობა და ქმედითუნარიანობა მოგემატებათ. პირადი და საქმიანი ურთიერთობებისას არსებული ხარვეზის გამოსწორებას იოლად შეძლებთ. სასიყვარულო სარბიელზეც უფრო თამამი და მგრძნობიარე გახდებით და ბევრ თაყვანისმცემელს შეიძენთ. მოგზაურობა კი ჯობს, მალე დაასრულოთ, რათა პრობლემები არ შეგექმნათ.**

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
**ფინანსური მდგომარეობის შეცვლა თქვენს სამუშაოზე პირად და საქმიან კონტაქტებზეც აისახება. მოიმატებს თავისუფლების შეგრძნებისა და პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების სურვილი, რაც მეუღლის ან შეყვარებულის უკმაყოფილებას გამოიწვევს. მოთმინება გამოავლინეთ, რათა ახლობლებთან ურთიერთობა არ გაიფუჭოთ. კონფლიქტისგან თავის ასარიდებლად კარგი იქნება სადმე გამგზავრება, განმარტოება და დახარჯული ენერგიის აღდგენა.**

**ლომი** (23.07-23.08)
**პოზიტიური განწყობა ყველა პრობლემას დაგაძლევინებთ, მათ შორის, ფინანსურსა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებულსაც. კარგი იქნება, თუ გართობასა და საყიდლებზე ბევრ ფულს არ დახარჯავთ. გადაადგილებებისა და კონტაქტების რაოდენობა გაიზრდება. ახალი კავშირები შემდგომ პერსპექტიული აღმოჩნდება. კარგი პერიოდია პირადი თუ სასიყვარულო ურთიერთობების გასაძლიერებლად. სასიყვარულო ურთიერთობაც მშვიდი და ჰარმონიული იქნება.**

**ქალწული** (24.08-23.09)
**თქვენი გავლენის არეალი გაფართოვდება და პოზიციებიც გამყარდება. შრომა დაგიფასდებათ და ახალი სიმაღლეების დაპყრობა გაგიადვილდებათ. ამ პერიოდში ყველაფერს, რასაც შეეხებით, დადებითი ფინალი ექნება და მატერიალურ მდგომარეობას გაგიუმჯობესებთ. სიტუაციის სწრაფი ცვლილება კი ცხოვრებას გაგიხალისებთ. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა სიმშვიდეს მოგიტანთ და მომავალი წარმატების იმედსაც გაგიჩენთ.**

## 18 - 24 მარტის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
**საკმარისი ენერგია გექნებათ, რაც ხელს შეგიწყობთ შემოქმედებით მუშაობაში. რისკისა და ავანტიურისკენ ლტოლვაც მოგემატებათ. ახალი იდეებისა და პროექტების რეალიზება გაგიადვილდებათ პარტნიორთა დახმარებით. ფინანსური პრობლემის მოგვარებისთვის კი გავლენიანი პირები დაიხმარეთ. ოჯახური და სასიყვარულო პრობლემის მოგვარებას მხოლოდ მოთმინებითა და ურთიერთგაგებით შეძლებთ. მოგზაურობაც დადებითად ჩაივლის.**

**მორიელი** (23.10-22.11)
**მეტი თავისუფალი დრო გექნებათ და განმარტოება და ფიქრი მოგინდებათ, ინტუიცია და წინათგრძნობა გაგიძლიერდებათ. კარგი პერიოდია სწავლის გასაგრძელებლად ან დამატებითი ცოდნის მისაღებად. მიღებულ ინფორმაციას კი შემოწმების გარეშე ნუ გამოიყენებთ. მოგების მიღების მიზნით, ენერგიას ახალ საქმეებზე ნუ დახარჯავთ და ეცადეთ, კონფლიქტის გარეშე იურთიერთოთ პარტნიორებთან. ამ კვირაში ჯანმრთელობაზე ზრუნვაც განსაკუთრებით ნაყოფიერი იქნება.**

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
**გადაადგილება-შეხვედრების რიცხვი მოიმატებს. მეგობრებთან და საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობა გაგიუმჯობესდებათ და არსებული გარემოებების დახმარებით დასახული მიზნის მიღწევას შეძლებთ. პირადი ურთიერთობისას არსებული წინააღმდეგობის გადალახვაში გაზრდილი ინტუიცია და თავდაჯერება დაგეხმარებათ. მოგზაურობებს მოერიდეთ და ეცადეთ, კონკრეტული საქმეები შეასრულოთ. თავისუფალი დრო კი ფიქრსა და დასვენებას დაუთმეთ.**

**თხის რქა** (22.12-19.01)
**სამსახურის საქმეებსა და ბიზნესში დროულად გადადგმული ნაბიჯები პოზიციის გამყარებასა და საწადელის მიღწევას ხელს შეუწყობს. გაურკვეველი სიტუაციებისას დახმარება ავტორიტეტულ პირებს სთხოვეთ. არასაკმარისი ცოდნის შემთხვევაში კი კოლეგები დაიხმარეთ. უთანხმოებას შეყვარებულთან გააქარწყლებთ მასთან პირისპირ სერიოზულად და გულღია საუბრით. ამ პერიოდში უცხოელებთან ურთიერთობა ახალ პერსპექტივებს დაგანახებთ.**

**მერწყული** (20.01-18.02)
**დრო დაუთმეთ ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას. მიზნის მისაღწევად, აუცილებელი იქნება ბევრი შრომა და შედეგსაც დაინახავთ. უჩვეულო სიტუაციაში ცოტაოდენი რისკი გამართლებული იქნება. კარგი პერიოდია დაწყებული მშენებლობის ან რემონტის დასასრულებლად. შესაძლოა, ძველ ნაცნობთან ადრინდელი რომანტიკული ურთიერთობა აღიდგინოთ. შორეული მოგზაურობა კი ჯობს, გადადოთ და თავისუფალ დროს დაისვენოთ.**

**თევზები** (19.02-20.03)
**ინტენსიური შეხვედრების, ახალი ნაცნობობის, ინტელექტუალური კავშირებისა და ინფორმაციის გაცვლის დროა. შეხვედრა-გადაადგილებები პოზიტიურად ჩაივლის. ფინანსური საკითხების მოგვარებაში დახმარებას ხელმძღვანელი პირები და კოლეგები გაგიწევენ. შესაძლოა, ახალი რომანტიკული გრძნობა უეცრად ჩამოგიყალიბდეთ. ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად სასიკეთოა ვარჯიში. კარგი პერიოდია იმიჯის შესაცვლელადაც.**



**მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია**
**18, 21, 22 და 24 მარტი**
**10 მარტი - ახალმთვარეობა, პიკი - 13.03 საათზე.**
**25 მარტი - სავსემთვარეობა, პიკი - 10.03 საათზე.**
**მთვარის დაბნელება, პიკი - 11.13 საათზე.**

## 18 მარტი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.07 საათზე, ჩადის 18.11 საათზე. **მთვარე** კირჩხიბის ზოდიაქოშია. ამოდის 11.16 საათზე, ჩადის 19 მარტს 02.45 საათზე (მთვარის მე-9 დღე იწყება 11.20 საათზე. მე-2 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** პროვოკაციული დღეა, ნებისმიერი მიღებული ინფორმაცია შეამოწმეთ. დღეს ჩადენილი საქციელი უკან ბუმერანგივით დაგიბრუნდებათ. შედეგიანი იქნება ძვლოვანი სისტემის, ხერხემლის, სახსრების, მუხლების, კბილების, კანის მკურნალობა. კარგი დღეა საოჯახო-სანათესაო ურთიერთობებისთვის, ვაჭრობისთვის, ტრადიციებში ჩასაღრმავებლად, საყოფაცხოვრებო ნივთების, ანტიკვარიატის შესაძენად, ბავშვის ჩასახვისთვის, მცენარეების დარგვა-გადარგვისთვის, კულინარიული საქმიანობისთვის, სასამართლო პროცესის დასაწყებად. ურთიერთობისას იმატებს ეჭვიანობა, უკმაყოფილება, განაწყენება. არ არის სასურველი ქორწინება, სესხის აღება-გაცემა, ბინის შეცვალა, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. მაღალია ფინანსური შეცდომების ალბათობა. საბუთები ხელმოწერამდე შეამოწმეთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია მკერდი, კუჭი, ნაღვლის ბუშტი, ღვიძლი. **ქვები:** ზურმუხტი, აქატი, ოპალი, მარჯანი, მალაქიტი, რაუხტოპაზი. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, მერწყულისთვის.

## 19 მარტი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.06 საათზე, ჩადის 18.12 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (23.46) ლომის ზოდიაქოში. ამოდის 12.19 საათზე, ჩადის 20 მარტს 03.32 საათზე (მთვარის მე-10 დღე იწყება 12.33 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 22.35 საათიდან 23.34 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს გაზრდილი ემოციურობა ურთიერთობისას მეტ სიღრმეს შეიტანს. შედეგიანი იქნება ძვლების, ხერხემლის, კბილების, სახსრების, მუხლების, კანის მკურნალობა. კარგი დღეა საოჯახო-სანათესაო ურთიერთობებისთვის, ბავშვის ჩასახვისთვის, საყოფაცხოვრებო ნივთების შესაძენად, კულინარიული საქმიანობისთვის, დალაგება-დასუფთავებისთვის, ვაჭრობისთვის. აკონტროლეთ საკვებისა და სასმლის ხარისხი. არ არის სასურველი ქორწინება, ბინის შეცვლა, სესხის აღება-გაცემა, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, წვრილმანში ჩაძიება და ეჭვიანობა. მაღალია ფინანსური შეცდომების ალბათობა. ამიტომ საბუთები ხელმოწერამდე კარგად შეამოწმეთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია კუჭი, მკერდი, ღვიძლი, კუჭქვეშა ჯირკვალი. **ქვები:** ზურმუხტი, მარგალიტი, ამეთვისტო, ოპალი, აქატი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის.

## 20 მარტი, ოთხშაბათი

**მზე** გადაინაცვლებს ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 06.04 საათზე, ჩადის 18.13 საათზე. **მთვარე** ლომის ზოდიაქოშია. ამოდის 13.24 საათზე, ჩადის 21 მარტს 04.09 საათზე (მთვარის მე-11 დღე იწყება 13.53 საათზე. მე-2 ფაზა). **ტენდენციები:** დღეღამტოლობისა და გაზაფხულის ბუნიობის საკრალური დღეა. ასტროლოგიური თვალთახედვით ახალი წელი იწყება. სასიკეთოა ლოცვა, ყველას დალოცვა, სურვილების ჩათქმა. **დღეს მზე გადაინაცვლებს ვერძის ზოდიაქოში.** ადამიანებში გააძლიერებს ენერგიას, ქმედითუნარიანობას, ორგანიზებულობას, მებრძოლ სულისკვეთებას, ლიდერულ თვისებებს, სამართლიანობისკენ და პრინციპულობისკენ მიდრეკილებას და ასევე სულსწრაფობას, უყაირათობას, სიჯიუტეს, პირდაპირობასა და აგრესიულობასაც. დღეს განეწყვეთ ოპტიმისტურად და დაიცავით სიმშვიდე. მიტევებისა და ურთიერთობების აღდგენის დღეა. სასურველია, ნებისმიერი საქმიანობისას და მოქმედებისას მეტი ყურადღება გამოიჩინოთ. კარგი დღეა კულტურული ღონისძიებებისთვის, მეგობრული კონტაქტებისთვის, საჩუქრებისა და ძვირფასი ნივთების შესაძენად. არ არის სასურველი ქორწინება, ბინის შეცვლა, ფინანსური გარიგება, ემოციურ-ფიზიკური გადაღლა, ნერვიულობა. გულს გაუფრთხილდით. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, ქარვა, სარდონიქსი, სერდოლიკი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, თხის რქისთვის.

## 21 მარტი, ხუთშაბათი

**მზე** ვერძის ზოდიაქოშია. ამოდის 06.02 საათზე, ჩადის 18.15 საათზე. **მთვარე** ლომის ზოდიაქოშია. ამოდის 14.28 საათზე, ჩადის 22 მარტს 04.39 საათზე (მთვარის მე-12 დღე იწყება 15.13 საათზე. მე-2 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** კარგი დღეა ახალი სამსახურის დასაწყებად, ახალი თანამდებობის დასაკავებლად, კულტურულ-გასართობი და საბავშვო ღონისძიებებისთვის, ხელმძღვანელ პირებთან კონტაქტისთვის, იურიდიული საკითხებისა და საქმეებისთვის, საჩუქრებისა და ძვირფასი ნივთების შესაძენად. მოერიდეთ ფიზიკურ-ემოციურ გადაღლას, ნერვიულობას, სიმძიმეების აწევას. არ არის სასურველი ქორწინება, ბინის შეცვლა, სესხის აღება-გაცემა, ფინანსური გარიგება, ხელშეკრულების დადება, მცენარეების დარგვა-გადარგვა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, სარდონიქსი, ქარვა, სერდოლიკი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, ღრიანკალისთვის.

## 22 მარტი, პარასკევი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 06.01 საათზე, ჩადის 18.16 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (11.50) ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 15.31 საათზე, ჩადის 23 მარტს 05.03 საათზე (მთვარის მე-13 დღე იწყება 10.32 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 10.35 საათიდან 14.43 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** შედეგიანი იქნება მხედველობის, ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის, ლიმფური სისტემის მკურნალობა. სასიკეთო დღეა სახლში კომფორტის შესაძენად. შესაძლებელია რთული საკითხისა თუ მოვლენის გადაწყვეტა. კარგი დღეა საქმიანი მიმოწერისთვის, აუდიტისთვის, კულინარიული საქმიანობისთვის, დალაგება-დასუფთავებასა და წესრიგის დასამყარებლად, საფინანსო-საბანკო ოპერაციებისთვის, ვაჭრობისთვის, სწავლისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, სასიყვარულო კონტაქტები, ახალი ნაცნობობა, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, თვითგვემა, წვრილმანში ჩაძიება, სარისკო ქმედება, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა. **ქვები:** ყვითელი და მწვანე იასპი, მალაქიტი, აქატი, ქრიზოპრაზი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.

## 23 მარტი, შაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.59 საათზე, ჩადის 18.17 საათზე. **მთვარე** ქალწულის ზოდიაქოშია. ამოდის 16.33 საათზე, ჩადის 24 მარტს 05.24 საათზე (მთვარის მე-14 დღე იწყება 17.48 საათზე. მე-2 ფაზა). **ტენდენციები:** დღეიდან ქმედითუნარიანობის მმართველი პლანეტა **მარსი** გადაინაცვლებს **თევზების** ზოდიაქოში (30 აპრილამდე), რაც ადამიანთა მოქმედებისას გააძლიერებს მგრძნობელობას, არტისტულობას, ინტუიციას, თანაგრძნობას, შემოქმედებით და ქორეოგრაფიულ შესაძლებლობებს, ქველმოქმედებას, გულმოწყალებასა და რელიგიურ-ეზოთერიული საკითხებით დაინტერესებას. დღეს კარგია ფინანსური ოპერაციები, აუდიტი, საქმიანი მიმოწერა, დალაგება-დასუფთავება, საშუამავლო საქმიანობა, ვაჭრობა. არ არის სასურველი სარისკო ქმედება, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება, წვრილმანებში ჩაძიება, ახალი ნაცნობობა, ქორწინება, უძრავი ქონებით ვაჭრობა. გამოცდის ჩაბარება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია კუჭქვეშა ჯირკვალი, ნაწლავთა სისტემა, ელენთა. **ქვები:** ყვითელი და მწვანე იასპი, მალაქიტი, ონიქსი, ოპალი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 24 მარტი , კვირა

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.57 საათზე, ჩადის 18.18 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (23.38) სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 17.34 საათზე, ჩადის 25 მარტს 05.43 საათზე (მთვარის მე-15 დღე იწყება 19.03 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 19.50 საათიდან 23.59 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** იმატებს კონფლიქტების ალბათობა. ურთიერთობისას დაიოკეთ ზედმეტი ეჭვიანობა, მეწვრილმანეობა, კრიტიკულობა. კარგი დღეა საქმიანი მიმოწერისთვის, საფინანსო-საბანკო ოპერაციებისთვის, დალაგება-დასუფთავებისთვის, მედიკამენტებისა და ჰიგიენისთვის საჭირო საგნების შესაძენად, სწავლისთვის, ვაჭრობისთვის, კულინარიული საქმიანობისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, ახალი ნაცნობობა, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, სარისკო ქმედება, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება. მაღალია მოტყუების, ინტრიგის ალბათობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა. **ქვები:** მწვანე და ყვითელი იასპი, ზურმუხტი, აქატი, ოპალი. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის.

---

**18 მარტი. ორშაბათი. დიდმარხვის დასაწყისი.** მოწამისა კანონ ისავრიელისა; მოწამისა **ონისესი;** მოწამისა **კონონ მებაღისა,** გალილეის ნაზარეთელისა; მოწამისა **ევლოგი პალესტინელისა;** მოწამისა **ევლამპისა;** ღირსისა **მარკოზისა;** პოვნა წმიდათა ნაწილთა კეთილმსახურთა მთავართა: **თეოდორე სმოლენსკელისა** და ძეთა მისთა **დავითისა** და **კონსტანტინესი,** იაროსლაველ სასწაულმოქმედთა; ღირსისა **მარკოზ ათენელისა;** მოწამეთა: **არქელაოსისა, კირილესი, ფოტისა** და მათთანა 150-თა; წმიდისა **დიადოხოსი,** ეპისკოპოსისა ფოტიკელისა ილირიკეს შინა, რომელმან დაწერა ასი თავი სწავლა სამონაზვნო; მღვდელმოწამისა **თეოფილესი,** კესარიის ეპისკოპოსისა; მოწამისა **ევლამპი პალესტინელისა;** მოწამისა **ევლოგი პალესტინელისა;** ღირსისა **კონონი კვიპრელისა;** მოწამისა **იოანე ბულგარელისა,** ათონელისა; ახალმოწამისა **გიორგისა,** რაფსანელისა; **ნიკოლოზისა, ოქრიდისა** და **ზიჩის ეპისკოპოსისა.**



**22 მარტი - ხსენება 40-თა მოწამეთა, სებასტიას ტბასა შინა წამებულთა**

✝ **19 მარტი. სამშაბათი. მღვდელმოწამისა დოსითეოზისა, ქუთათელი მიტროპოლიტისა;** 42-თა ამორეველ მოწამეთა; პოვნა პატიოსნისა ჯვარისა და პატიოსანთა სამსჭვალთა წმიდისა **ელენე დედოფლის** მიერ იერუსალიმში; ღირსმოწამეთა: **კონონისა** და ძისა მისისა კონონისა; ღირსისა **ევსუქი სასწაულმოქმედისა,** გალატიელისა; მოწამისა **ევფროსინესი;** ღირსმოწამისა **მაქსიმესი.**

✝ **20 მარტი. ოთხშაბათი.** მღვდელმოწამეთა, ქერსოვნეთელ ეპისკოპოსთა: **ბასილისა, ეფრემისა, ევგენისა, აღათოდორესი, ელპიდისა, ესთერისა, კაპიტონისა;** ღირსისა **პავლე წრფელისა;** მოწამეთა **ემილიანესი, იაკობისა** და **მარიანოსისა,** რომში წამებულთა; **ეფრემისა,** ანტიოქიის პატრიარქისა; **იოანე** იორკის ეპისკოპოსისა; ღირსისა **ლავრენტი მეგარეოსელისა; არკადისი** და **ნესტორისი,** კვიპროსის ტრიმითვინტელ ეპისკოპოსთა; მოწამეთა: **ვებულესი** და **ივლიანე** მკურნალისა.

✝ **21 მარტი. ხუთშაბათი.** ღირსისა **თეოფილაქტე აღმსარებელისა,** ნიკომიდიელი მთავარეპისკოპოსისა; მოციქულისა **ერმესი,** 70-თაგანისა; ღირსისა **დომენტისა; პავლე აღმსარებლისა,** პრუსიადელი ეპისკოპოსისა; მოწამისა **დიონოსისი;** მღვდელმოწამისა **კირილესი;** მოწამეთა **ფელიკიტესი, ერენიასი, როგატოსისა, ფელიქსისა, მეორე როგატოსისა, ბეატოსისა, ურბანოსისა, სილვანოსისა და მამილოსისა,** აფრიკაში წამებულთა.

✝ 22 მარტი. პარასკევი. **ორმოცთა მოწამეთა,** სებასტიას ტბასა შინა წამებულთა: **კირიონისა, კანდიდესი, დომნესი, ისიხისა, ირაკლისა, სმარაგდესი, ევნოიკესი, უალენტისა, ვივიანესი, კლავდისა, პრისკესი, თეოდულესი, ევტიქისა, იოანესი, ქსანთისა, ილიანესი, სისინისა, ანგიასი, აეტისა, ფლაბისა, აკაკისა, ეკდიკისა, ლისიმაქესი, ალექსანდრესი, ელიანესი, გორგონისა, თეოფილესი, დომეტიანესი, გაიოზისა, ლეონტისა, ათანასესი, კირილესი, საკერდონისა, ნიკოლოზისა, უალერისა, ფილოქტიმონესი, სევერიანესი, ქუდიონისა, მელიტონისა და აგლაისა;** მოწამისა **ურპასიანესი;** წმიდისა **კესარი მკურნალისა,** გრიგოლ ღმრთისმეტყველის ძმისა; წმიდათა მოწამეთა: **ბაბუასი, ბებიასი, მამისა და დედისა და ორთა შვილთა მათთა.**

✝ 23 მარტი. შაბათი. **დიდმოწამისა თეოდორე ტირონისა;** თევდორობა; ღირსისა **იოანე ხახულელისა,** ოქროპირად წოდებულისა; მოწამისა **კოდრატე კორინთელისა** და მისთანა ხუთთა მოწამეთა: **კვიპრიანესი, დიონისესი, ანეკტოსი, პავლესი და კრისკენტოსი;** ღირსისა **ანასტასია პატრიკიასი.**

✝ 24 მარტი. კვირა. **მართლმადიდებლობის ზეიმი. დიდმარხვის I კვირა. სოფრონ იერუსალიმელი** პატრიარქისა; მღვდელმოწამისა **პიონისი,** ზმირნელი ხუცისა და მისთანათა; აღმოყვანება წმიდათა ნაწილთა მოწამისა ეპი**მაქესი; სოფრონ ვრაჩანელი** ეპისკოპოსისა; ღირსისა **იოანე მოსხისა.**

## ბერის რჩევები ერში მცხოვრებ ქრისტიანს

● თუმცა ჩვენთვის დაფარულია ღვთის განგებულება, მაგრამ ყველაფერი, რაც ყოვლადბრძენი და კაცთმოყვარე ღვთის განჩინებით ხდება, უსათუოდ მოსაწონი უნდა გახდეს. ღმერთმა უწყის, ვისთვის რა უფრო სასარგებლოა და რატომაა საჭირო სიცოცხლის სხვადასხვაგვარი ხანგრძლივობა. ზოგიერთები ადრე მიდიან ამქვეყნიდან, სხვები კი დიდხანს ცხოვრობენ მრავალსალმობიერი სიცოცხლით, ხოლო მიზეზი კაცთათვის მიუწვდომელია.

● ყოველ გაზაფხულზე, როცა დედამიწას ახალი სიცოცხლე მოევლინება, მცენარეები და ათასობით გაყინული, მკვდარი მწერი გაცოცხლდება. განა მიწა არ წარმოადგენს საყოველთაო აღდგომისა და ახალი, უკვდავი ცხოვრების წინასახეს?

● სულისთვის სასიკეთოდ, ამპარტავნებისა და მზვაობრობის შესამუსრად უფალმა სხეული ხრწნადი გახადა.

● როგორც ყვავილებს აჭკნობს სიცივე, ასევე ცოდვილი აზრები და სურვილები სიკვდილზე ფიქრში სუსტდებიან.



● ბედნიერების საძებრად ცხრა ზღვასა და ცხრა მთას იქით მიდიან, მსოფლიოს ირგვლივ მოგზაურობენ. ბედნიერება კი ჩვენშია, ჩვენს გულში, სადაც თითქმის არასოდეს ვიხედებით.

● მორჩილების შენარჩუნება მაშინ არის ძნელი, როცა უბედურებაში მყოფს უეცრად ბედნიერება ეწვევა.




## მაღაზია «ბუკვიცა»

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს1945 წლამდე

574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90

მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.

## მადლობა მკურნალ ლამარა თოდუას!

თოდუების საგვარეულო მალამოებითა და წამლებით ქალბატონმა ლამარამ ათასობით ადამიანი გამოაჯანმრთელა. ის 100-პროცენტიანი გარანტიით კურნავს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, დარჩენილ ნაწიბურებს, ნაწოლებს, გამაგრებულ ნანემსრებს, თმის ბუდობრივ ცვენას, ბუასილს, დისბაქტერიოზს (შეკრულობას, აშლილობას). მისი მალამოები სწრაფად შეგიხორცებთ დაჩირქებულ ჭრილობებს (დიაბეტიანებს), მოგირჩენთ ჰაიმორიტს (ქრონიკულს), მოგაშორებთ ქერტლს, ტილებს (ერთი პროცედურით). სწრაფად და წარმატებით კურნავს სოკოვან დაავადებებს, ფრჩხილების გასქელებას, დახეთქილ ქუსლებს, ჩირქოვან გამონაყარს კანზე, მწერების ნაკბენს (პირველივე წასმაზე ქრება ქავილიც და სიწითლეც).

**ტელეფონები: 599-16-10-82, 593-99-62-52, 230-62-52**


### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. კალასი; 7. ვოლვო; 12. რეიგანი; 13. პორტიე; 14. ჯალაბი; 15. ზორგე; 16. ბროკერი; 17. როსინი; 18. დუქანი; 21. ტენგე; 22. თიკანი; 25. ტრანსი; 26. მორტირა; 27. მოლა; 29. ლალიონი; 30. სილიო; 33. ანგიომა; 34. მარსო; 35. რონდელი; 36. კინტო; 37. არაქისი; 41. ნიასა; 42. შაპიტო; 45. რეისი; 47. ბარაკუდა; 48. ნირი; 50. ვერსალი; 51. არა; 53. საფირონი; 57. ქალამანა; 58. ჰეტერო; 59. კარამბოლი; 60. ზოგან; 61. ტარიფი; 62. დოლი; 63. პიროლიზი; 64. ადანი.

შვეულად: 2. აკაჟუ; 3. აბაკა; 4. ირიბი; 5. გიბონი; 6. ხარება; 7. ვიზიტი; 8. ლორენცო; 9. ოპერეტა; 10. ტრისტანი; 11. პიანისტი; 18. დამბაჩა; 19. ქარაგმა; 20. ნეირონი; 22. თალარი; 23. კალანდა; 24. ნეოგენი; 27. მიმინო; 28. ლარნაკი; 30. სოკარი; 31. ლანდი; 32. ობოლი; 38. რიანა; 39. ქსანი; 40. სკუდო; 42. შავი; 43. პორში; 44. ტრაპეცია; 46. სპანიელი; 48. ნიქოზია; 49. რელიგია; 51. ამინდი; 52. რა; 53. სოკო; 54. ფორდი; 55. რემბო; 56. ნამი; 58. ჰიტი.

**მალაყირასინიორაგულივერიკოკორიდორიანკარადა**
**პანიკაბალადარაბატირადამესიაბელინისანიტარი**

| ყირაზე გადასვლა | ფრანგი დრამატურგი | თევზის სახეობა | ...ანჯაფარიძე | დერეფანი | მუსიკოსი პოლ ... | უკრაინის პარლამენტი |
|---|---|---|---|---|---|---|

| ხერხემლის ძვალი | ხელებზე და თავზე დაყრდნობით დგომა | ქალბატონო (იტალ.) | ჯ. სვიფტის პერსონაჟი | გაშლილი ყვავილი | უაილდი – „... გრეის პორტრეტი“ | ავეჯის სახეობა |
|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 1. ბერძენი მომღერალი ქალი; 7. შვედური ავტომობილი; 12. აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი; 13. სასტუმროს მოსამსახურე; 14. ოჯახი, სახლეული; 15. სსრკ-ის მზვერავი იაპონიაში; 16. შუამავალი ვაჭრობაში, მაკლერი; 17. იტალიელი კომპოზიტორი; 18. წვრილი სავაჭრო, პატარა სასადილო (ძვ.); 21. ყაზახეთის ფულის ერთეული; 22. თხის ნაშიერი; 25. ფსიქიკური აშლილობის ერთ-ერთი ფორმა; 26. მოკლელულიანი ქვემეხი; 27. მუსლიმანთა რელიგიური კულტის მსახური; 29. ქართველი მწერალი; 30. ერთგვარი საჭმელი სოკო; 33. კეთილთვისებიანი სიმსივნე; 34. ფრანგი მიმი; 35. ქართველი კინორეჟისორი („მამლუქი“); 36. ძველი თბილისის კოლორიტული ფიგურა; 37. მიწის თხილი; 41. ტბა მოზამბიკსა და ბოლივიაში; 42. მოძრავი ცირკი; 45. გზა, რომელსაც გადის გემი, თვითმფრინავი; 47. მტაცებელი თევზი („ზღვის ვეფხვი“); 48. ზნე, ხასიათი; 50. ქალაქი საფრანგეთში; 54. თუთიყუშის სახეობა; 53. ლურჯი, ძვირფასი ქვა; 57. ერთუჯრედიანი მიკროსკოპული ცხოველი; 58. რთული სიტყვის ნაწილი, ნიშნავს სხვას; 59. ბილიარდის წითელი ბურთი; 60. აქა-იქ, ანუ; 61. ნიხრი; 62. ბატკნის მოგების დრო; 63. ორგანულ ნივთიერებათა გადამუშავება; 64. ფრანგი კომპოზიტორი.

შვეულად: 2. ტროპიკული მცენარე; 3. საფეიქრო ბანანი; 4. დახრილი, ალმაცერი; 5. მაიმუნის სახეობა; 6. ფილმი „... და გოგია“; 7. სტუმრობა; 8. იტალიელი მწერალი, სახელმწიფო მოღვაწე ... მედიჩი; 9. მიუზიკლი; 10. იზოლდას სატრფო (ლიტ.); 11. ფორტეპიანოს დამკვრელი მუსიკოსი; 18. ხელით ცეცხლსასროლი ძველებური იარაღი; 19. ძველ ხელნაწერებში ნიშანი სიტყვის თავზე (~); 20. ნერვული უჯრედი; 22. ვაზის ხეივანი; 23. ახალი წელი გურიაში (ძვ.); 24. დედამიწის ისტორიის მესამეული პერიოდის მეორე ნახევარი; 27. ქართული ფილმი (დანელია); 28. ყვავილების ვაზა; 30. აზერბაიჯანის ნავთობკომპანია; 31. აჩრდილი; 32. უდედმამო; 38. ბარბადოსელი მომღერალი; 39. სოფელი მცხეთის რაიონში; 40. ძველებური იტალიური ოქროს და ვერცხლის მონეტა; 42. სტენდალი — „წითელი და ...“ 43. გერმანული ავტომობილი; 44. გეომეტრიული ფიგურა; 46. ძაღლის ჯიში; 48. კვიპროსის დედაქალაქი; 49. სარწმუნოება (ზოგ.); 51. სინოპტიკოსების შესწავლის „ობიექტი“; 52. თამაში — „...? სად; როდის?“; 53. სპოროვანი მცენარე; 54. ამერიკული ავტომობილი; 55. ფილმი ს. სტალონეს მონაწილეობით; 56. მოდელი ... კემპბელი; 58. სეზონის მოდური სიმღერა.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| უეცარი შიში, თავზარი | მცირე ზომის სტროფული ლექსი | საქონელზე ფასნამოკლება მუდმივი პარტნიორისთვის | აიდას სატრფო | კაენის მსხვერპლი | იაპონური ავტო | რისამე სახელური |
|---|---|---|---|---|---|---|

| მემამულე ძვ. პოლონეთში | მონური დამოკიდებულება | ფანჯრის ხის საფარი | პათოსით წარმოთქმული სიტყვა | ზეციური მხსნელი | ვენეციელი მხატვარი | მედიცინის უმცროსი მუშაკი |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

ასავალ დასავალი

2024 წლის 18 – 24 მარტი №13 (1531)

გამოდის ორშაბათობით

2 009882 637296

მეცნიერებაჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:
**mail@asavali.com**

„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**

ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**

გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**

